საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№10 (622)
23 - 29 მარტი, 2022
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
geworld@inbox.ru



## საქართველოს სამოციქულო 21 ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღე

# თეთრი ხელთათმნების ფილოსოფია 2-3




## ახალი მსოფლიოს კონტურები

მამა ბასილი (მკალავიშვილი):



## 7 საშინელება, რომელიც დღეს უკრაინაში ხდება, ამერიკაში დაიგეგმა




## ევროპულ ფეხებზე 11 დაკიდებული ქართული კანონი

## მრგვალი მაგიდა თემაზე – მზად არის თუ არა საქართველო ახალი გამოწვევებისთვის

4-5





6

## თბილისში 2022 წლის 22 მარტს გამართული მრგვალი მაგიდის მონაწილეთა ერთობლივი განცხადება უკრაინის მოვლენებზე



The American Conservative: 8-9
## უკრაინაში სპეცოპერაციის დაწყება დასავლეთის პროვოცირებულია

10



## მედლის მეორე მხარე



18-19

## ვაი უმეცრებისგან

«მარტოკაც უნდა ვიომო»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ამ უბედურების ინიციატორი აშშ და კოლექტიური დასავლეთია. მათ რუსეთი გლობალურ ავანტიურაში ჩაითრიეს, ხოლო საომარი მოქმედებების სცენად უკრაინა აირჩიეს. მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით ვაშინგტონისა და მოსკოვის თავზე ბომბები არ ცვივა, მესამე მსოფლიო ომი, პრაქტიკულად, დაწყებულია. ე.წ. ეკონომიკური სანქციები ბომბებზე ნაკლებად როდი სკდება მსოფლიოს თავზე. არ აქვს მნიშვნელობა, ვინ აწესებს და ვის უწესებენ სანქციებს. ეს სანქციები აზიანებს პლანეტის მოსახლეობას. ასე რომ, მსოფლიო ომის დაწყება უკვე რეალობაა, რომელიც, არ არის გამორიცხული, თანდათან გამწვავდეს და გაცილებით მასშტაბური სახე მიიღოს.



# დაფინანსებული თვითმკვლელობა და თეთრი ხელთათმნების ფილოსოფია

## მესამე მსოფლიო ომი კრემლის ფანჯრებზე აკაკუნებს

## ახალი მსოფლიოს კონტურები

ვალერი კვარაცხელიას პუბლიცისტური წერილები. საავტორო გვერდი

### მეათე გამოშვება

### „რამ მოაფიქრებინა ეს?!“ ჭაბუა ამირეჯიბი

„ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“, პოლიტიკურ-სოციალურ-ისტორიული თემატიკის პარალელურად, ღრმა ფსიქოლოგიზმით აღსავსე მხატვრული ნაწარმოებია. რომანის საფინალო აპოთეოზი ამ სამ სიტყვაშია თავმოყრილი — „რამ მოაფიქრებინა ეს?!“. მთავარი მოქმედი გმირის, დათა თუთაშხიას, ეს უკანასკნელი ამოკვნესა, როდესაც მას ჯერ კიდევ უმწიფარმა შვილმა ტყვია დაახალა, სასიკვდილოდ დაჭრილი კაცის ტრაგიზმზე მეტად გაოცებას გამოხატავს. მტერმა მამის წინააღმდეგ შვილი აამხედრა, ანუ უაღრესად გამჭრიახი გონების პატრონ დათა თუთაშხიას ხაფანგი იქ დაუგო სწორედ, სადაც ვერაფრით იგუმანებდა და ეჭვს ვერ მიიტანდა. უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ისეთი რამ მოუწყო, რაც მისი გონებისთვის მიუწვდომელი იყო. დათა თუთაშხიას გაოცება იმით კი არ არის გამოწვეული, რომ მან ვერ იაზრა ეს საფრთხე, არამედ იმით, რომ მტერმა ისეთი რამე მოიფიქრა, რაც, წესით, ადამიანს არ უნდა მოსვლოდა თავში. **დათა თუთაშხიამ მხოლოდ სიკვდილის წინ გააცნობიერა, რომ მისი მტერი ბოროტი ადამიანი კი არ იყო, რაღაცით აღემატებოდა ბოროტ ადამიანს. ბოროტ ადამიანზე აღმატებული ძალა სატანური ძალაა. ღმერთი თუ ყოვლად კეთილი, ყოვლის მცოდნე და ყოვლის შემძლეა, სატანა ყოვლად ბოროტი და ყოვლის მკადრებელია. სიკვდილთან პირისპირ დარჩენილ თუთაშხიას სწორედ ამ ყოვლისმკადრებლობით შეძრწუნებამ, ამ ყოვლისმკადრებლობის გამო გაკვირვებამ და გაოცებამ დაასმევინა ის რიტორიკული შეკითხვა — რამ მოაფიქრებინა ეს?!**

არ არსებობს სატანური ბოროტების ფსკერი, რომლიდანაც კოლექტიური დასავლეთის ბოსები ბნელი აზრებისა თუ მათი რეალიზაციის მეთოდების ამოღებას ითაკილებენ;

არ არსებობს რამე შინაგანი შემაკავებელი, რაც კოლექტიური დასავლეთის ბოსებს თუნდაც აბსოლუტური ბოროტების ჩადენისას შეაყოყმანებთ;

არ არსებობს დაცემა, რომელსაც კოლექტიური დასავლეთის ბოსები ხელს არ მოაწერენ;

არ არსებობს სიმდაბლე, რომელსაც კოლექტიური დასავლეთის ბოსები არ იკადრებენ.

**სატანას მრავალი სინონიმი აქვს, მათ შორის, „ჯოჯოხეთის მთავარი“, „სიცრუის მამა“ და სხვ. დასავლეთი მსოფლიოსგან ჯოჯოხეთის იმპერიის შექმნას ცდილობს და მის საშენ მასალად გლობალურ სიცრუეს იყენებს. მსოფლიოზე გაბატონების ამ საშინელ ჩანაფიქრს დემოკრატიით, ადამიანის უფლებების დაცვითა და თავისუფლებით ნიღბავს. მუდმივად წახალისებული, შეუზღუდავად დაფინანსებული და აბსოლუტის რანგში აყვანილი სიცრუე, რომელიც მათი მედიასაშუალებების სახით ავთვისებიანი სიმსივნის მეტასტაზებივით შემოჰხვევია მსოფლიოს, საზოგადოებრივ ცნობიერებაზე უსაზღვრო მანიპულირების საშუალებას იძლევა.** როდესაც პრესა, რადიო, ტელევიზია, ინტერნეტი გემორჩილება, თეთრის შავად და შავის თეთრად გასაღება სირთულეს არ წარმოადგენს. მით უფრო, თუკი მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს სპეციალური სამსახურები უმაგრებენ ზურგს.

რუსეთი და უკრაინა ერთმანეთთან სამკვდრო-სასიცოცხლოდ დააპირისპირო და ერთი საფუძვლისა და ერთი ისტორიის მქონე ხალხს ერთმანეთი დაახოცინო — ეს ხომ ის სატანური გეგმაა, რომელმაც შვილის მიერ სასიკვდილოდ დაჭრილ დათა თუთაშხიასავით უნდა გაგაოცოს და გათქმევინოს: **რამ მოაფიქრებინათ ეს?! დასავლეთის სპეცსამსახურებმა არამხოლოდ მოიფიქრეს, არამედ განახორციელეს კიდეც ეს მზაკვრული გეგმა. მათ „ფერადი რევოლუციებისა“ თუ სისხლიანი სახელმწიფო**



**გადატრიალებების გზით უკრაინის სათავეში მოიყვანეს ნეოფაშისტთა ჯგუფი, რომლითაც რუსი და უკრაინელი ხალხებისთვის ერთმანეთთან მისასვლელი ყველა გზა მოჭრეს, ყველა უკანდასახევი ჩახერგეს და მხოლოდ და მხოლოდ ომის გზა დატოვეს. ესეც არ იკმარეს, უკრაინის ხელისუფლებაში მათ მიერვე მოყვანილ ნაცისტებს დღემდე აიარაღებენ და აფინანსებენ, რათა თუნდაც მათი მარცხის გამო არ დასრულდეს დასავლეთისთვის ასე სასურველი სისხლიანი პროცესი.**

კოლექტიური დასავლეთი ცდილობს, ეს პროცესი გააჭიანუროს, რათა მსხვერპლიც მეტი იყოს და ერთმანეთის მიმართ გაჩენილი სიძულვილიც. **რუსეთი უკრაინაში ომს არ აწარმოებს, იგი სპეციალურ სამხედრო ოპერაციას ატარებს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისთვის ეს მტრულად განწყობილ სახელმწიფოში შეჭრა კი არ არის, არამედ მოძმე ხალხისა და სახელმწიფოს მტრისგან გათავისუფლების ოპერაციაა. ამ ორ მოვლენას შორის პრინციპული განსხვავებაა. მტერ სახელმწიფოსთან ომის წარმოებისას შემაკავებელი ფაქტორები ნაკლებია — ასეთ შემთხვევაში არც მსხვერპლს ერიდებიან და არც ნგრევას.**

მიუხედავად იმისა, რომ იუგოსლავია არც ამერიკელებისთვის და არც ევროპელებისთვის მტერი სახელმწიფო არ ყოფილა, მას ნატოს წევრი ცხრამეტი სახელმწიფო 78 დღე-ღამის განმავლობაში განუწყვეტლივ ბომბავდა. ასე იქცეოდნენ ისინი ერაყში, ლიბიაში, სირიაში და სხვაგან. ეს სხვა მიდგომაა, რომლისგანაც რუსეთის მიდგომა უკრაინაში თვისებრივად განსხვავდება. ამ განსხვავებას არამხოლოდ ზნეობრივი პრინციპებისადმი რუსეთისა და ნატოს სახელმწიფოების სხვადასხვანაირი დამოკიდებულებები, არამედ მათი სრულიად სხვადასხვანაირი მიზნები განაპირობებს. **აშშ და ნატო განმათავისუფლებლის მისიით არსად არასდროს შესულან, რუსეთი კი უკრაინაში უკრაინელი ხალხის გათავისუფლების მისიით შევიდა, ვინაიდან ნაცისტურმა ხელისუფლებამ, 2014 წლიდან მოყოლებული დღემდე, უკრაინის ტერიტორიაზე თხუთმეტი ათასამდე რუსი ეროვნების მოქალაქე დახოცა. გარდა ამისა, უკრაინის ფაშისტურ ხელისუფლებას აშშ რუსეთის წინააღმდეგ ომის დასაწყებად აქეზებდა, რის შემდეგ რუსეთი გაცილებით უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა, ვიდრე დღეს არის. ეს გეგმა უკვე გაშიფრული და გასაჯაროებულია.**

ამ უბედურების ინიციატორი აშშ და კოლექტიური დასავლეთია. მათ რუსეთი გლობალურ ავანტიურაში ჩაითრიეს, ხოლო საომარი მოქმედებების სცენად უკრაინა აირჩიეს. მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით ვაშინგტონისა და მოსკოვის თავზე ბომბები არ ცვივა, მესამე მსოფლიო ომი, პრაქტიკულად, დაწყებულია. ე.წ. ეკონომიკური სანქციები ბომბებზე ნაკლებად როდი სკდება მსოფლიოს თავზე. არ აქვს მნიშვნელობა, ვინ აწესებს და ვის უწესებენ სანქციებს. ეს სანქციები აზიანებს პლანეტის მოსახლეობას. ასე რომ, მსოფლიო ომის დაწყება უკვე რეალობაა, რომელიც, არ არის გამორიცხული, თანდათან გამწვავდეს და გაცილებით მასშტაბური სახე მიიღოს. დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრმა **ბორის ჯონსონმა** განაცხადა: **„უკრაინაში გამარჯვებული რუსეთი უკრაინით არ შემოიფარგლება. იგი საქართველოსა და მოლდოვას გადასწვდება“. უნდა დავეთანხმო ბატონ ჯონსონს. მეტსაც ვიტყვი: დასავლეთი საკუთარ უგუნურებასა და უსინდისობას თუ არ მოთოკავს, რუსეთი უკრაინა-საქართველო-მოლდოვასთან ერთად ევროპასაც ალაგმავს მისი აღმოსავლეთითა და დასავლეთით; მისი სანქციებითა და გარყვნილებით; მისი ფაშისტური იდეოლოგიითა და სისხლის დაუოკებელი წყურვილით. ამერიკა კი ასეთ შემთხვევაში უკანალსაც (მომიტევეთ) არ გაანძრევს ევროპის დასაცავად,** პირიქით, რუსეთთან ვაჭრობას გამართავს და, როგორც სამოცდაჩვიდმეტი წლის წინათ მის მიერვე გამოჩეკილი ჰიტლერი გაწირა და მეორე ფრონტი გაუხსნა, ევროპასაც თვალისდაუხამხამებლად გაწირავს, ოღონდ მსოფლიოს ამ ახალ გადანაწილებაში ყველაფერი რუსეთს არ ერგოს და თვითონ წილის გარეშე არ დარჩეს. ასეთია ბურჟუაზიის ბუნე- ▶

**დასავლეთის სპეცსამსახურებმა არამხოლოდ მოიფიქრეს, არამედ განახორციელეს კიდეც მზაკვრული გეგმა. მათ «ფერადი რევოლუციებისა» თუ სისხლიანი სახელმწიფო გადატრიალებების გზით უკრაინის სათავეში მოიყვანეს ნეოფაშისტთა ჯგუფი, რომლითაც რუსი და უკრაინელი ხალხებისთვის ერთმანეთთან მისასვლელი ყველა გზა მოჭრეს, ყველა უკანდასახევი ჩახერგეს და მხოლოდ და მხოლოდ ომის გზა დატოვეს. ესეც არ იკმარეს, უკრაინის ხელისუფლებაში მათ მიერვე მოყვანილ ნაცისტებს დღემდე აიარაღებენ და აფინანსებენ**

«მარტოკამ უნდა ვიომო»
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მიუხედავად იმისა, რომ იუგოსლავია არც ამერიკელებისთვის და არც ევროპელებისთვის მტერი სახელმწიფო არ ყოფილა, მას ნატოს წევრი ცხრამეტი სახელმწიფო 78 დღე-ღამის განმავლობაში განუწყვეტლივ ბომბავდა. ასე იქცეოდნენ ისინი ერაყში, ლიბიაში, სირიაში და სხვაგან. ეს სხვა მიდგომაა, რომლისგანაც რუსეთის მიდგომა უკრაინაში თვისებრივად განსხვავდება.**

◀ბა, რომელიც, **ლენინის** თქმისა არ იყოს, მის ჩამოსახრჩობ თოკს თვითონვე მოგყიდის, ოღონდ ამ გარიგებაში მოგება და გამორჩენა ერიოს. ნუ გავუსწრებთ მოვლენებს. კაცმა არ იცის, რა მოხდება და როგორ, მაგრამ, რასაც უკვე ვხედავთ, ისიც საკმარისია იმ დასკვნის გასაკეთებლად, რომ კაცობრიობა მესამე მსოფლიო ომის ჩიხში შეიყვანეს. როგორი საკვირველიც უნდა იყოს, **კოლექტიური დასავლეთი არ ცდილობს ამ ჩიხიდან გამოსვლის გზების გამონახვას. პუტინი ამხელს მათ: „ჩვენთვის ასევე ნათელია, რომ დასავლელი მფარველები კიევის ხელისუფლებას უბიძგებენ სისხლისღვრის გაგრძელებისკენ. მათ აწვდიან შეიარაღების ახალ და ახალ პარტიებს, ამარაგებენ სადაზვერვო მონაცემებით, ეხმარებიან სამხედრო მრჩევლებისა და დაქირავებულთა გამოგზავნით“. მართალია ეს ყველაფერი და ამას თავად ამერიკელებიც ადასტურებენ.** აშშ-ის პრეზიდენტი **ბაიდენი,** ნაცვლად იმისა, რომ სიტუაციის განმუხტვის მიზნით რუსეთთან კონსტრუქციულ მოლაპარაკებებს მართავდეს, ცეცხლზე ნავთსასხამს: „ჩვენ საქმე გვაქვს წმინდა წყლის ბანდიტთან და სიკვდილის მთესველ დიქტატორთან, რომელიც დამპყრობლურ ომს აწარმოებს უკრაინელ ხალხთან“, — აცხადებს იგი ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე. აქედან გამომდინარე, პრეზიდენტმა ბაიდენმა კონკრეტული გადაწყვეტილებაც მიიღო: „აშშ ამ კვირას კიევს ერთი მილიარდი დოლარის ღირებულების შეიარაღებას მიაწვდის, მათ შორის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებსა და ტანკსაწინააღმდეგო სისტემებს“. ბაიდენის ეს განცხადება შეიძლება შეფასდეს როგორც უკრაინის თვითმკვლელობის დაფინანსება, ვინაიდან ეს უკრაინის ფაშისტურ ხელისუფლებას გამარჯვებას ვერ მოუტანს, მაგრამ უკრაინელი ხალხისთვის ბევრი სისხლისა და ცრემლის მომტანი იქნება. ზუსტად ასეთივე შეაფას ეს ფაქტი ჩინეთის ოფიციალურმა წარმომადგენელმა **ჩჟაო ლიცზიანმა: „ჩინეთის ხელისუფლება წინააღმდეგია აშშ-ის მიერ უკრაინისთვის სამხედრო დახმარების გაწევისა, ვინაიდან კიევისთვის ლეტალური იარაღის მიწოდებით დარტყმის ქვეშ დგება მშვიდობისა და სტაბილურობის აღდგენა. ამას ახალ მსხვერპლამდე მივყავართ. ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანები ხვდებიან, რომ უკრაინას ახლა ყველაზე ნაკლებად იარაღის მიწოდება სჭირდება“. რაც შეეხება სანქციების დაწესებას, ჩინელებმა ეს ღონისძიება „შეშით ხანძრის ჩაქრობის“ მცდელობას შეადარეს.** „სანქციები, რომლებიც არ არის გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ დამტკიცებული, უკანონოა და ზიანს აყენებს მსოფლიოს“, — ასეთია ჩინეთის მიერ ამ მოვლენების შეფასება. უკრაინას დიდი ხნის განმავლობაში ამზადებდნენ თვითმკვლელობისთვის. მას ბევრი ისეთი ნაბიჯი გადაადგმევინეს, რომლებიც დაუსჯელი არ დარჩება. აი, რას ეუბნება პუტინი მსოფლიოს: **„უკრაინაში მოქმედებდა ათეულობით ლაბორატორიის ქსელი, რომელშიც პენტაგონის ხელმძღვანელობითა და ფინანსური მხარდაჭერით მუშავდებოდა სამხედრო-ბიოლოგიური პროგრამები; მათ შორის, ექსპერიმენტები კორონავირუსის, ციმბირის წყლულის, ქოლერის, ღორის აფრიკული ჭირისა და სხვა სასიკვდილო დაავადებათა ნიმუშებთან. ახლა ყველაფერს აკეთებენ ამ საიდუმლო პროგრამების კვალის წასაშლელად, მაგრამ ჩვენ უკვე მრავალი საფუძველი გაგვაჩნია, ვიფიქროთ, რომ უკრაინის ტერიტორიაზე, უშუალოდ რუსეთის სიახლოვეს ქმნიდნენ ბიოლოგიური იარაღის კომპონენტებს“.** ამერიკელები კი უტიფრად აცხადებენ, რომ ეს ლაბორატორიები კეთილი მიზნებისთვის ააშენეს და ამ კონკრეტულ შემთხვევაში, უკრაინელი ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნვის გამო დახარჯეს მილიარდები. თუმცა, **ვიქტორია ნულანდმა** უკვე აღიარა: **„ჩვენ შეშფოთებული ვართ და უკრაინელებთან ვმუშაობთ, რომ გამოკვლევებით მიღებული მონაცემები რუსების ხელში არ აღმოჩნდეს“.** დათა თუთაშხიას მიერ დასმული შეკითხვა ამ სიტუაციისთვისაც ხომ ზედგამოჭრილია, **რამ მოაფიქრებინათ ეს?!** იმ სიშორე ამერიკიდან რომ წამოხვედით და ამ უზარმაზარი რუსეთის ირგვლივ პირდაპირ პენტაგონის მიერ დაფინანსებული ასეთი საშინელი ლაბორატორიების რკალი შეკარით, რას ფიქრობდით, რუსეთი მათ რეალურ დანიშნულებას ვერ მიხვდებოდა? თუ იმის იმედი გქონდათ, რომ მიხვდებოდა, მაგრამ უკვე ისე გეყოლებოდათ კლანჭებში მოქცეული, თითსაც ვეღარ გაატოკებდა. როგორც ჩანს, რაღაც ვერ მუშაობს ამერიკაში გამართულად, რაღაც...

უკრაინის ერთ-ერთი ტელეკომპანიის წამყვანმა ტელეეკრანიდან უკრაინის ნაცისტური ხელისუფლების სულისკვეთების გამომხატველი ტირადა გადმოანთხია: **„მე თავს უფლებას მივცემ, დავეთანხმო ადოლფ აიხმანს (SS-ის ობერშტურმბანფიურერი, ექვსი მილიონი ებრაელის საკონცენტრაციო ბანაკებში დეპორტირებასა და განადგურებაში მხილებული სამხედრო დამნაშავე. იგი 1962 წელს გაასამართლეს და ჩამოახრჩვეს – ვ. კ.), რომელმაც თქვა, რომ ერის განადგურება თუ გსურს, პირველ რიგში, ბავშვები უნდა გაანადგურო, რადგან მშობლებს თუ გაანადგურებ, ბავშვები გაიზრდებიან და შურს იძიებენ. ბავშვებს თუ გაანადგურებ, ისინი ვერ გაიზრდებიან და ერი განადგურდება... ჩვენ გამარჯვება გვჭირდება და ამისთვის თუ თქვენი ოჯახების დახოცვა მოგვიწევს, მე ერთ-ერთი პირველი ვიქნები, ვინც ამას გააკეთებს“.** ამგვარი ფსიქოზისა და დანაშაულებრივი საზოგადოებრივი ცნობიერების ჩამოსაყალიბებლად დაშვრნენ ამერიკელები უკრაინაში. **რამ მოაფიქრებინათ ეს, რამ?!** „დღეს მთელ პლანეტას უწევს, ზღოს დასავლეთის ამბიციების გამო, მისი იმ მცდელობის გამო, რომ ნებისმიერი საშუალებით შეინარჩუნოს დომინირებული მდგომარეობა, რომელიც ხელიდან უსხლტება. სანქციების დაწესება ლოგიკური გაგრძელება და კონცენტრირებული გამო-

**ე.წ. მეხუთე კოლონა და ერის გამყიდველები, როგორც მათ პუტინმა უწოდა, ანუ «ხალხის მტრები» და «მავნებლები», როგორც მათ სტალინურ პერიოდში უწოდებდნენ, დასავლეთის მთავარ საყრდენს წარმოადგენდა და წარმოადგენს. ეს ისეთი დამანგრეველი ძალაა, რომ მათი განეიტრალების გარეშე დასავლეთთან ვერც «ცივ ომში» გაიმარჯვებ და ვერც «ცხელ ომში»**




ხატულებაა აშშ-ისა და ევროკავშირის ქვეყნების მთავრობებისა და ცენტრალური ბანკების უპასუხისმგებლო და არაშორსმხედველი პოლიტიკისა“, — აცხადებს რუსეთის პრეზიდენტი და იქვე განაგრძობს: „გაჩაღებულია უპრეცედენტო საინფორმაციო კამპანია, ამოქმედებულია გლობალური სოციალური ქსელები და ყველა დასავლური მედიასაშუალება... მივიდნენ იქამდე, რომ ამერიკის ერთ-ერთმა სოციალურმა ქსელმა პირდაპირ განაცხადა რუსეთის მოქალაქეთა მკვლელობის მოწოდების ნებადართულობის შესახებ“. ეცნობი ამ მასალებს და კვლავ იგივე შეკითხვა ტრიალებს გონებაში: — **რამ მოაფიქრებინათ ეს?!**

პუტინი არამხოლოდ ასახელებს შემზარავ ფაქტებს, არამედ ერთმნიშვნელოვან შეფასებასაც აძლევს მათ: **„14 მარტს დონეცკის ცენტრში განხორციელდა სარაკეტო დარტყმა. ეს იყო სისხლიანი ტერაქტი, რომელმაც ოცზე მეტი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა... რაც თავისი წრესგადასული ცინიზმით გრთგუნავს, ეს კიევის უტიფარი სიცრუე კი არ არის, რომ თითქოს რაკეტა რუსეთის გაშვებული იყო, არამედ ის, რომ ე.წ. ცივილიზებულმა სამყარომ, ევროპულმა და ამერიკულმა პრესამ ვერც შენიშნეს დონეცკის ტრაგედია. ვითომ არც არაფერი მომხდარა. მთელი რვა წლის განმავლობაში ისინი ასეთივე ფარისევლობით არიდებდნენ თვალს, თუ როგორ ასაფლავებდნენ დონბასელი დედები თავიანთ ბავშვებს, მოხუცებს, რომლებსაც კლავდნენ. ეს რაღაც მორალური და ზნეობრივი დეგრადაციაა, სრული არაადამიანობაა“.** პუტინი აფასებს ყოველივე ამას, წარსულსაც იხსენებს და იმის შესახებაც გვეუბნება, რა მიზანს ისახავენ ამერიკელები: „ჩვენ გვახსოვს, როგორ უჭერდნენ ისინი მხარს სეპარატიზმს, როგორ ახალისებდნენ ტერორისტებს ჩრდილოეთ კავკასიაში... ისინი ახლაც ცდილობენ, რუსეთი გადააქციონ სუსტ, დამოკიდებულ სახელმწიფოდ, დაარღვიონ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა და დაანაწევრონ რუსეთი“. ჩვენ კი, ვინც ამას ვისმენთ, ისღა დაგვრჩენია, დათა თუთაშხიასავით თავზე ხელები შემოვიჭიროთ და სიმწრით ამოვიკვნესოთ: **რამ მოაფიქრებინათ ეს?!**

ბოლოს ერთ უმწვავეს საკითხსაც უნდა შევეხო:

პრეზიდენტი პუტინი რუსეთში დასავლეთის ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენზეც ალაპარაკდა: **„ისინი ფსონს ე.წ. მეხუთე კოლონაზე, ანუ „ერის გამყიდველებზე“ დადებენ; მათზე, ვინც თანხებს აქ გამოიმუშავებენ, მაგრამ იქ ცხოვრობენ. ცხოვრობენ არა ამ სიტყვის გეოგრაფიული გაგებით, არამედ მათი აზროვნებითა და მონური ცნობიერებით“**. ურთულესი საკითხია, რომელთან მისვლაც პუტინს, ადრე თუ გვიან, აუცილებლად მოუწევდა. ხელისუფლების სათავეში მისი მოსვლის დღიდანვე ვამბობდი და ვწერდი, რომ დასავლეთის კლანჭებიდან რუსეთის დახსნა თეთრი ხელთათმნებით ვერ მოხერხდებოდა. **ე.წ. მეხუთე კოლონა და ერის გამყიდველები, როგორც მათ პუტინმა უწოდა, ანუ „ხალხის მტრები“ და „მავნებლები“, როგორც მათ სტალინურ პერიოდში უწოდებდნენ, დასავლეთის მთავარ საყრდენს წარმოადგენდა და წარმოადგენს. ეს ისეთი დამანგრეველი ძალაა, რომ მათი განეიტრალების გარეშე დასავლეთთან ვერც „ცივ ომში“ გაიმარჯვებ და ვერც „ცხელ ომში“.** იმედია, ვლადიმერ პუტინი, რომელმაც 2017 წელს მოსკოვის ცენტრში სტალინური რეპრესიების მსხვერპლთა პომპეზური მემორიალი დიდის ამბით გახსნა, „მეხუთე კოლონისა“ და „ეროვნული გამყიდველების“ წინააღმდეგ „სტალინურ რეპრესიებს“ არ მიმართავს, რადგან მის მიერ ნათქვამი ამ სიტყვების შემდეგ ეს წარმოუდგენელი მგონია: **„რეპრესიების გამართლებაც შეუძლებელია და დავიწყებაც. ნებისმიერისთვის შეეძლოთ, წაეყენებინათ შეთითხნილი და აბსოლუტურად აბსურდული ბრალდებები. მილიონობით ადამიანი ხალხის მტრად გამოაცხადეს და დახვრიტეს ან ციხეებში, ბანაკებსა და გადასახლებებში აწამეს“.** ამ სიტყვების ავტორი, მომავალშიც, ალბათ, დემოკრატად დარჩება და დასავლეთის „მეხუთე კოლონასა“ და „ერის გამყიდველებს“ სახელმწიფოს მიერ ორგანიზებული რეპრესიული მანქანით კი არ დაუპირისპირდება, მათ მიმართ ლოიალური იქნება. ასე, თეთრი ხელთათმნებით, გაიმარჯვებს იგი უკრაინელ ფაშისტებთან, ევროპასთან, ამერიკასთან და მესამე მსოფლიო ომშიც, რომელიც უკვე აკაკუნებს კრემლის ფანჯრებზე. ღმერთმა ინებოს, რომ ასე მოხდეს, მაგრამ მე თეთრი ხელთათმანების ფილოსოფიისა არ მჯერა, რადგან **აშშ-ისა და კოლექტიური დასავლეთის პოლიტიკა სატანური პოლიტიკაა, რომელიც მისთვის დამახასიათებელი ყოვლისმკადრებლობით გაიძულებს, მის მიმართ სასტიკი და დაუნდობელი იყო. წინააღმდეგ შემთხვევაში გამარჯვება მას დარჩება, ვინაიდან არ არსებობს ბოროტებისა და ვერაგობის, სისასტიკისა და დაუნდობლობის ფორმა, რომელსაც იგი ვერ მიაგნებს და ვერ მოიფიქრებს.** ახლა რუსეთის პრეზიდენტის თავშიც დათა თუთაშხიასეული შეკითხვა ტრიალებს, ალბათ, — **რამ მოაფიქრებინათ ყოველივე ეს?!**

ის, რაც „მეხუთე კოლონასა“ და „ერის გამყიდველებზე“ ვთქვი, ამ ჩემს თხრობაში ერთგვარ ლირიკულ გადახვევად ჩამითვალეთ, რომლის უთქმელობაც არ გამოდიოდა, ვინაიდან შესაძლებელია, ეს საკითხი გადამწყვეტიც კი აღმოჩნდეს მოვლენათა განვითარებაში. თუმცა, ეს არ არის ჩვენი დღევანდელი სათქმელის მთავარი მიმართულება. ამდენად, ამ საკითხის უფრო ვრცლად განხილვა მომავლისთვის გადავდოთ.

მთავარი კი, რაც დღეს უნდა ითქვას, რამდენიმე დასკვნაა, რომლებსაც, ყოველივე ზემონათქვამიდან გამომდინარე, ჩამოვაყალიბებ (ეს იმ შემთხვევისთვის, თუკი მესამე მსოფლიო ომი ცხელ ფაზაში არ გადაიზრდება):

* უკრაინის გათავისუფლების შემდეგ რუსები და ბელარუსები, უკრაინელებთან ერთად მძლავრ სამოკავშირეო სახელმწიფოებად ჩამოყალიბდებიან;
* რუსეთისა და კოლექტიური დასავლეთის ურთიერთობებში პოლიტიკური გამყინვარების ეპოქა დადგება;
* რუსეთი აღმოსავლეთისკენ იბრუნებს პირს და მის ორბიტაზე ყოფილ საბჭოთა და აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებთან ერთად ახლო აღმოსავლეთისა და აზია-აფრიკის ქვეყნებსაც გააერთიანებს;
* გაძლიერდება რუსეთისა და ჩინეთის სტრატეგიული პარტნიორობა. რუსეთის ეკონომიკაში გაიზრდება სახელმწიფოს როლი, რომელიც გეგმაზომიერი ეკონომიკისა და სოციალისტური სისტემის ჩამოყალიბებით დაგვირგვინდება;
* აღმოსავლური გაერთიანების ბაზაზე ჩამოყალიბდება ახალი საერთაშორისო მძლავრი ვალუტა. დოლარი, ევრო და გირვანქა სტერლინგი დაკარგავს მსოფლიო ფულის ფუნქციას;
* ეს პროცესები საბოლოოდ დაასუსტებს ამერიკასა და ევროპას. ევროკავშირი და ნატო, როგორც მოძველებული პოლიტიკური და სამხედრო სისტემები, თანდათანობით დაკარგავენ ისტორიულ ფუნქციას და დაიშლებიან, დღის წესრიგში აშშ-ის დაშლის საკითხიც დადგება.
* გაეროში, როგორც მსოფლიო წესრიგისა და საერთაშორისო სამართლის გარანტორ ორგანიზაციაში, ფუნდამენტური რეორგანიზაცია ჩატარდება. მსოფლიო გეოპოლიტიკურ ურთიერთობებში გატარებული კარდინალური ცვლილებების შედეგად გაეროს უშიშროების საბჭო საფუძვლიან ცვლილებებს დაექვემდებარება. აშშ, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი დაკარგავენ მუდმივი წევრი სახელმწიფოების სტატუსსა და ვეტოს უფლებასაც.

ასე მესახება მომავლის პერსპექტივა იმ შემთხვევაში, თუკი ამ ეტაპზე მესამე მსოფლიო ომის თავიდან აცილება მოხერხდება.

**P. S. ფაშიზმისგან გათავისუფლებული უკრაინელი ხალხი დიდ საყვედურს ეტყვის ყველას, ვინც მათთვის ამ უმძიმეს ჟამს ფაშისტურ რეჟიმს თანადგომას უცხადებდა სიტყვით თუ საქმით. ბევრს შერცხვება საკუთარი საქციელის გამო, მათ შორის, საქართველოშიც. მალე ყველაფერს ნათელი მოეფინება და ყველა ბოროტება გაცხადდება, რამეთუ წერია: „არ არსებობს დაფარული, რომ არ გაცხადდეს და არც რამ საიდუმლო, რომ არ გამჟღავნდეს“.**

პერსპექტივა

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ხელისუფლებას მოვუწოდებთ, შეზღუდოს ე.წ. ოპოზიციის ქმედებები, ასევე, ვეტყვით იმასაც, რომ უკრაინას ნუ განიხილავს მეგობარ სახელმწიფოდ, რადგან უკრაინის ხელისუფლება ძირს გვითხრის, სააკაშვილს გვიგზავნის არჩევნების წინ ვითარების ასარევად, გვამცირებს და დაგვცინის. ასევე მიუღებელია საქართველოდან მებრძოლების წასვლა უკრაინაში საომრად, განსაკუთრებით საქართველოს პარლამენტის წევრის, ამ შემთხვევაში ალეკო ელისაშვილს ვგულისხმობ, მას დეპუტატის მანდატი უნდა დაახიონ თავზე“.**

# მრგვალი მაგიდა თემაზე — მზად არის თუ არა საქართველო ახალი გამოწვევებისთვის

**ამა წლის 22 მარტს „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელის, გულბაათ რცხილაძისა, და არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ ხელმძღვანელის, ტარიელ გაგნიძის, ინიციატივით გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქციაში გაიმართა მრგვალი მაგიდა, სადაც რუსეთ-უკრაინას შორის მიმდინარე დაპირისპირების გამომწვევ მიზეზებზე, შედეგებზე, საქართველოს როლზე და ჩვენი ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებზე ისაუბრეს. მრგვალ მაგიდას ესწრებოდნენ: სამოქალაქო აქტივისტი ტარიელ სუხიაშვილი, „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი გულბაათ რცხილაძე, ერთიანი კომუნისტური პარტიის თავმჯდომარე თემურ ფიფია, „საქართველოს ახალგაზრდა ევრაზიელთა კავშირის“ თავმჯდომარე გიორგი ირემაძე, თადარიგის ოფიცერი ვასილ გოგალაძე, პარტია „ევროპელი სოციალისტების“ წევრი ვიქტორ ცაავა, ჟურნალისტი ვალერი კვარაცხელია, პოლიტოლოგები — ირაკლი უზილავა და გიორგი მდივანი, პუბლიცისტი დავით მხეიძე.**



**«საქართველოს უნდა თუ არა, მოუწევს, სწორი არჩევანის გაკეთება, წინააღმდეგ შემთხვევაში ამას ძალით გაგვაკეთებინებენ. წერილი, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ რუსეთისგან მიიღო, ძალაშია და ძალიან მალე ამ თემას დაუბრუნდებიან. როდესაც მეზობელი ქვეყანა წერილს გიგზავნის და გეკითხება, მტერი ხარ თუ მოყვარე, ჩამოყალიბდი და მითხარიო, ეს უკვე ჩვენი საგარეო პოლიტიკის კრახია»**

**მრგვალი მაგიდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ ხელმძღვანელმა ტარიელ გაგნიძემ გახსნა:**

— რუსეთის სამხედრო ოპერაციამ, რომელიც უკრაინაში მიმდინარეობს, ყველგან ყველაფერი შეცვალა. არსებობს ალბათობა, რომ მიმდინარე პროცესები რაღაც ფორმით საქართველოსაც შეეხება. დღეს ჩვენ აქ შევიკრიბეთ იმისთვის, რომ ვისაუბროთ, არის თუ არა მზად ჩვენი ქვეყანა გამოწვევებთან გასამკლავებლად. ვისაუბროთ, რა შეიძლება მოჰყვეს რუსეთ-უკრაინას შორის დაპირისპირებას, რა გველოდება ჩვენ და, რაც უმთავრესია, როგორ უნდა მოიქცეს საქართველო ამ ვითარებაში. სასურველია, ჩვენი ნააზრევი ხელისუფლებასა და საზოგადოებას მივაწოდოთ, რათა მეტ-ნაკლებად ყველამ ერთად დაიწყოს ფიქრი იმ ცვლილებებზე, რომლებიც გარდაუვალია ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში.

### „სამწუხაროდ და საუბედუროდ, აღმოსავლეთ უკრაინის ნაწილში სწორედ უკრაინელების მხრიდან ექმნება ადგილობრივ მოსახლეობას პრობლემა და მშვიდობიანად ვერ ტოვებს ტერიტორიას“

**გულბაათ რცხილაძე, „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელი:**

— ქუჩაში გამოსვლას აზრი არ აქვს, ამიტომ გადავწყვიტეთ, დავმსხდარიყავით, მშვიდად გვემსჯელა, მიგვეღო ისეთი გადაწყვეტილება და გაგვეკეთებინა განცხადება, რომელიც წინ აღუდგებოდა იმ ღვარცოფსა და დეზინფორმაციას, რომელიც ჩვენს ქვეყანაშია და არა მხოლოდ ჩვენთან, ცივილიზებულ სამყაროდ წოდებულ ქვეყნებშიც. ის, რა ღვარცოფი და დეზინფორმაციაც აქ არსებობს, ძალიან დიდი საფრთხის შემცველია ჩვენი ქვეყნისთვის. „საქართველო და მსოფლიო“ ერთადერთი გაზეთია, რომელიც სწორად და შეუზღუდავად წერს ქვეყნის შიგნით და გარეთ მიმდინარე მოვლენებზე, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებზე, ამიტომ ამ რედაქციაში შევიკრიბეთ.

რუსეთი არ აწარმოებს იმ ომს, რომელშიც დღეს ადანაშაულებენ. **ამბობენ, რომ რუსული არმია დამიზნებით ანადგურებს უკრაინის მშვიდობიან მოსახლეობას, რაც ტყუილია. სამწუხაროდ და საუბედუროდ, აღმოსავლეთ უკრაინის ნაწილში სწორედ უკრაინელების მხრიდან ექმნება მოსახლეობას ტერიტორიის მშვიდობიანად დატოვების პრობლემა. უკრაინული შენაერთები და უკრაინის ხელისუფლება აღმოსავლეთ უკრაინაში მცხოვრებ მოსახლეობას თავისად არ მიიჩნევს, მათ რუსებს უწოდებენ და მათი სიკვდილი პრობლემას არ წარმოადგენს.**

რუსეთის პრეზიდენტი ნაცისტებს უწოდებს უკრაინის ხელისუფლებას, ის მართალია. თუ დაკვირვებით მივადევნებთ თვალყურს უკრაინელი სამხედროების ქმედებებს, თუ ინფორმაციას მოვუსმენთ, დავინახავთ, როგორ ექცევიან ისინი რუს სამხედრო ტყვეებს, რაც ფაშიზმი, ნაციზმი და არაადამიანობაა.

უკრაინელ ხალხს ვუსურვებ, მალე გათავისუფლდნენ ფაშიზმისგან და ეს სამხედრო ოპერაცია, რომელიც რუსეთმა დაიწყო და რომელიც გაცილებით ადრე უნდა დაწყებულიყო, მართებულია. თუმცა ცოტა ადრე, 2014 წელს რომ დაწყებულიყო, უსისხლოდ ჩაივლიდა. **8 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ანტირუსული ისტერიკა უკრაინაში, ნაციონალისტები იარაღდებოდნენ, საეჭვო მოვლენები ხდებოდა ბიოლაბორატორიებში, უკრაინის პრეზიდენტმა ზელენსკიმ გამოაცხადა, რომ ბირთვული იარაღის შექმნასაც გეგმავდნენ. ყოველივე ეს საკმარისი საფუძველი იყო იმისთვის, რომ რუსეთს სამხედრო ოპერაცია დაეწყო.** რუსეთს უკან დასახევი გზა აღარ აქვს, მან ის თვითონვე მოიჭრა. პუტინმა მხოლოდ წინ უნდა იაროს. იმედია, დასავლეთში გონს მოვლენ და რუსეთთან ითანამშრომლებენ ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებაზე, და აქ საქართველომ თავისი ლეგიტიმური სარგებელი უნდა ნახოს.

ჩვენ მოგვწონს ხელისუფლების გადაწყვეტილება, რომ რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს არ შეუერთდა, თუმცა საცილოა, რა სანქციებს უნდა შეერთებოდა?! **ხელისუფლებას მოვუწოდებთ, შეზღუდოს ე.წ. ოპოზიციის ქმედებები, ასევე, ვეტყვით იმასაც, რომ უკრაინას ნუ განიხილავენ მეგობარ სახელმწიფოდ, რადგან უკრაინის ხელისუფლება ძირს გვითხრის, სააკაშვილს გვიგზავნის არჩევნების წინ ვითარების ასარევად, გვამცირებს და დაგვცინის. ასევე მიუღებელია საქართველოდან მებრძოლების წასვლა უკრაინაში საომრად, განსაკუთრებით საქართველოს პარლამენტის წევრის, ამ შემთხვევაში ალეკო ელისაშვილს ვგულისხმობ, მას დეპუტატის მანდატი უნდა დაახიონ თავზე.**

**ტარიელ გაგნიძე:** — რუსეთს რომ არ დაეწყო სპეცოპერაცია, უკრაინა დაიწყებდა ომს. უკვე ცნობილია, რომ მარტის დასაწყისში უკრაინის შეიარაღებული ძალები გეგმავდნენ სამხედრო ოპერაციის დაწყებას დონეცკ-ლუგანსკის წინააღმდეგ და რუსეთის მოსაზღვრე ტერიტორიასაც უპირებდნენ დარტყმას. ეს ინფორმაცია დადასტურებულია, მოპოვებულია რუკები, გეგმები, ბრძანებები, დატყვევებულ სამხედროთა ჩვენებები და ა.შ. რუსეთში ამის შესახებ გაიგეს და დაასწრეს, ეს სამხედრო სპეცოპერაცია, შეიძლება ითქვას, იძულებითია.

### „უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკი მართლაც კლოუნია, ის საქართველოს დასცინოდა 2008 წლის ომის დროს. ახლა მისი მინისტრები „ნახლებნიკებს“ გვიწოდებენ ქართველებს“

**ვიქტორ ცაავა, პარტია „ევროპული სოციალისტების“ წარმომადგენელი:**

— ომი, რომელიც ახლა მიმდინარეობს, 30 წელიწადია, მზადდებოდა. ამ ომისთვის ემზადებოდნენ... უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკი მართლაც კლოუნია, ის საქართველოს დასცინოდა 2008 წლის ომის შემდეგ. ახლა მისი მინისტრები „ნახლებნიკებს“ გვიწოდებენ ქართველებს, ხალხს, რომელმაც ყველა დარტყმა პირველმა მიიღო თავის თავზე საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ. ჩვენს ნაკვალევზე დადიან და „ნახლებნიკებს“ ჩვენ გვიწოდებენ...

ძალიან კარგია, რომ საქართველო სანქციებს არ შეუერთდა, მაგრამ ჩვენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ რუსული საბანკო ბარათები „მირი“ ამუშავდეს აქ, რადგან რუსეთიდან მილიონობით დოლარი შემოდის. აუცილებელია, რომ ჩვენი მოქალაქეები არ დაზარალდნენ, ოჯახები, რომლებიც რუსეთიდან შემოსული ფულით ცხოვრობენ.

### „იმის ნაცვლად, რომ ამერიკის პრეზიდენტი რუსეთის პრეზიდენტს ომის შეწყვეტაზე ესაუბრებოდეს, მკვლელს უწოდებს და მილიარდობით დოლარის შეიარაღებას აწვდის უკრაინას, რაც უკრაინის თვითმკვლელობის დაფინანსებაა“

**ვალერი კვარაცხელია, ჟურნალისტი:**

— ძალიან მძიმე რეალობაა ქვეყანაში. ეს რეალობა უნდა შეიცვალოს და ამისთვის უდიდეს ძალისხმევას წევს გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“, რისთვისაც დიდი მადლობა მათ.

ჩვენ ვალდებულნი ვართ, ვთქვათ სიმართლე. მაგალითად, გულბაათ რცხილაძემ თქვა, რომ რუსეთის მიერ დაწყებული სპეცოპერაცია ომში გადაიზარდა. მას არ დავეთანხმები. ის, რაც უკრაინაში ხდება, ნამდვილი სპეცოპერაციაა. ამერიკელების ყველა ომი, რომლებიც გვინახავს და ბევრი ვნახეთ, საზარელია. გამუდმებით იბომბება ყველა და ყველაფერი. რუსები ამას არ აკეთებენ, ყველაფერი რომ დაანგრიონ, ისევ მათი ასაშენებელი გახდება და ამაზეც ფიქრობენ. თუ სპეცოპერაცია ომში გადაიზრდება, ეს უკრაინის ხელისუფლების ბრალია. **იმის ნაცვლად, რომ ამერიკის პრეზიდენტი რუსეთის პრეზიდენტს ომის შეწყვეტაზე ესაუბრებოდეს, მკვლელს უწოდებს და მილიარდობით დოლარის შეიარაღებას აწვდის უკრაინას, რაც უკრაინის თვითმკვლელობის დაფინანსებაა.**

მესამე მსოფლიო ომი დაწყებულია, რადგან დაწესებული სანქციები ალაგ-ალაგ ბომბებივით ფეთქდება, წარმოებს საინფორმაციო ომი, რაც შეიძლება უფრო გლობალურ ომში გადაიზარდოს. თუ ეს ასე არ მოხდება, მაშინ რუსეთის შემაკავებელი ძალა არ არსებობს, მისმა პრეზიდენტმა დიდხანს ითრია ფეხი, მაგრამ უკან დასახევი გზა არ დაუტოვეს. **რუსეთის პრეზიდენტმა გადაწყვიტა, თავდაუზოგავად ებრძოლოს ე.წ. მე-5 კოლონას და ეს ბრძოლა ბოლომდე მიიყვანოს, რაც კარგია. მსოფლიოს გადარჩენა დამოკიდებულია იმაზე, გაიმარჯვებს თუ არა ამ ბრძოლა-**

# „ლიბერალური სამყარო ისეთი მძლავრია დღეს, რომ 45-მილიონიან ქვეყანაში კლოუნი ზელენსკი მოიყვანეს პრეზიდენტად, ქვეყანა ერთ დიდ ცირკად გადააქციეს. სოციალურ ქსელებში ეს რომ დავწერე, საშინელი ლანძღვა-გინება მივიღე. ასეთ მოწამლულ საზოგადოებაში რა უნდა გააკეთო ადამიანმა?“

პერსპექტივა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ში რუსეთი. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსოფლიოს ამერიკა გადაუვლის.**

ხელისუფლებას უნდა გავუგზავნოთ შეტყობინება, რომ რამდენიმე მიმართულებით გადადგას ნაბიჯები — ახლავე უნდა შეუდგეს ლუგარის ლაბორატორიის დახურვას, რადგან, თუ პროცესები ასე წავიდა, ლუგარის ლაბორატორიას ბომბი მოხვდება. ეს ლაბორატორია ჩვენთვის საფრთხეს წარმოადგენს. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაიწყოს სამხედრო წვრთნები ნატოსთან ერთად. რუსეთი უკრაინას ეუბნება, რომ აღიაროს ნეიტრალიტეტი. აქედან გამომდინარე, ჩვენმა ხელისუფლებამ ჭკუას უნდა მოუხმოს და განაცხადოს, რომ ნატოსკენ სვლას აჩერებს, რადგან მას პერსპექტივა არ მოჰყვა.

**ღარიბაშვილმა** გააკეთა სწორი განცხადება სანქციებთან არმიერთების შესახებ, მაგრამ მეორე დღეს ჩვენი ქალბატონი პრეზიდენტი გაფრინდა ევროპაში და საპირისპირო განცხადება გააკეთა. ამ ორ ადამიანს ვინც ათამაშებს, ის კაცი ზის და ფიქრობს — თუ რუსები მოიგებენ, ღარიბაშვილმა ხომ ილაპარაკა რუსეთის სასარგებლოდ; მაგრამ, თუ მეორე მხარე მოიგებს, პრეზიდენტმაც ილაპარაკა მათ სასარგებლოდ. ამას ვირეშმაკობა ჰქვია და არ ვიცი, რამდენად იმუშავებს ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ. თამაშის დრო აღარ არის, სხვა ეპოქა დადგა.

**ტარიელ გაგნიძე:**

— თებერვლის დასაწყისში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ეუთოს წევრ ქვეყნებს, რომელთა შორის ჩვენი ქვეყანაცაა, გაუგზავნა წერილი, რომელშიც ითხოვდა, ხატოვნად რომ ვთქვათ, გამოეთქვათ თავიანთი აზრი, ვის მხარეს იდგნენ. იქვე ეწერა, რომ რუსეთი ყველა მოსაზრების განხილვის შემდეგ გადაწყვეტდა, ესა თუ ის ქვეყანა მათი მტერი იყო თუ მოკეთე. **საქართველოს უნდა თუ არა, მოუწევს, სწორი არჩევანის გაკეთება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამას ძალით გაგვაკეთებინებენ. წერილი, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ რუსეთისგან მიიღო, ძალაშია და ძალიან მალე ამ თემას დაუბრუნდებიან. როდესაც მეზობელი ქვეყანა წერილს გიგზავნის და გეკითხება, მტერი ხარ თუ მოყვარე, ჩამოყალიბდი და მითხარიო, ეს უკვე ჩვენი საგარეო პოლიტიკის კრახია.** თუკი ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებამ გავლენებს თავი ვერ დააღწია და რუსეთისგან გამოგზავნილ წერილს ადეკვატურად ვერ უპასუხა, გააზრებაც კი მზარავს, რა მოხდება. იმედია, ჩვენი ხელისუფლება ფრთხილად და ქვეყნისთვის სასიკეთოდ იმოქმედებს.

## „თუ ჩვენთან გაყალბებული პლებისციტის შედეგად გამოგვიცხადეს, რომ ხალხი ნატოში გაწევრებას უჭერდა მხარს, უკრაინაში სხვაგვარად იყო — იქ მოსახლეობის დიდ ნაწილს არ სურდა ნატოს წევრობა“

**გიორგი მდივანი, პოლიტოლოგი:**

— უკრაინაში ხალხი ყოველდღე იღუპება და ეს აღმაშფოთებელია. ამ პროცესებს წინ უსწრებდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ეტაპი. მაგალითად, ნატოს გაფართოება აღმოსავლეთით, რაზეც რუსეთი აფრთხილებდა ნატოს, რომელიც ბოლო პერიოდში გამუდმებით აღმოსავლეთით ფართოვდებოდა, რაც რუსეთს აღიზიანებდა. დასავლეთი ამბობს, რომ დემოკრატიულმა ქვეყანამ თავად უნდა გადაწყვიტოს, რომელი სამხედრო ბლოკის წევრი იქნება.

ევროპაში არსებობს ქვეყნები, რომლებიც ნეიტრალური არიან, მათ შორის არის ისეთი ქვეყნები, რომელთაც რუსეთთან საზღვარი აქვს და სადავო ტერიტორიებიც. 2014 წლამდე უკრაინის უმთავრეს დოკუმენტებში — კონსტიტუციაში და სუვერენიტეტის დეკლარაცია — ეწერა სამხედრო მიუმხრობლობა. მაშინ უკრაინის ტერიტორიას მთლიანობის პრობლემა არ ექმნებოდა. ბუქარესტის სამიტზე გაკეთდა განცხადება საქართველოსა და უკრაინის ნატოში შესაძლო გაწევრების შესახებ და ყველაფერი ამის შემდეგ დაიწყო.

თუ ჩვენთან გაყალბებული პლებისციტის შედეგად გამოგვიცხადეს, რომ ხალხი ნატოში გაწევრებას უჭერს მხარს, უკრაინაში სულ სხვაგვარად იყო, იქ, მოსახლეობის დიდ ნაწილს არ სურდა ნატოს წევრობა.

ნატოს მხრიდან საქართველო და უკრაინა გამოყენებული იყო საზარბაზნე ხორცად. საქართველომ და უკრაინამ უნდა დაიწყონ მსჯელობა სამხედრო მიუმხრობლობასა და ნეიტრალიტეტზე...

## „ეს ომი არ არის რუსეთსა და უკრაინას შორის, ეს არის ომი რუსეთსა და ამერიკას შორის უკრაინის ტერიტორიაზე“

**დავით მხეიძე, პუბლიცისტი:**

— ეს ომი არ არის რუსეთსა და უკრაინას შორის, ეს არის ომი რუსეთსა და ამერიკას შორის უკრაინის ტერიტორიაზე. ომი, რომლის მომსწრენიც ვართ, ღირებულებათა ომია, ცივილიზაციებს შორის ომი. ამ სპეცოპერაციას მხარს ვუჭერ. რუსეთის პრეზიდენტს უკან დასახევი გზა აღარ აქვს, უკან დასახევი გზა მსოფლიოსაც აღარ აქვს, რადგან უკან დახევა მსოფლიოს ლგბტ-ზაციასა და სხვა ათას უბედურებას ნიშნავს.

ჩვენი ქვეყნის ბედი აქ, ჩვენს ქვეყანაშივე, ვერ გადაწყდება. იმედია, ისევ გარედან დაგვეხმარებიან. ჩვენ მოკავშირე არ გვჭირდება, ჩვენ ძლიერი მფარველი გვჭირდება და ეს რუსეთია.

## „ხელისუფლებას მივმართავთ და რჩევას ვაძლევთ, მაგრამ რა უნდა ქნას იმ ხელისუფლებამ, დესტრუქციული პარტიების ტელევიზიებსაც რომ ვერ ხურავს?“

**ვასილ გოგალაძე, თადარიგის ოფიცერი:**

## ეს არის ხელისუფლება, რომელიც ორჭოფობს გადაწყვეტილებების მიღებისას, მაშინ, როდესაც ხედავს, რა ხდება უკრაინაში. ხელისუფლება თუ გააგრძელებს ამ პოზიციაზე ყოფნას და გაურკვევლობას, ჩვენ სამოქალაქო დაპირისპირებამდე მივალთ ან იმავე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, როგორშიც უკრაინაა



— აქ შეკრებილებს რუსეთუმეებს გვიწოდებენ, რაც საშინელებაა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ახალგაზრდობა ქვეყანაში მოწამლულია და ეს ტელევიზიებმა, საინფორმაციო საშუალებებმა გააკეთეს წლების განმავლობაში. ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიდის.

ვინც გეოგრაფიაში გათვითცნობიერებულია, იცის, რომ ჩვენი ყველაზე ახლო და კარგი მეზობელი რუსეთია. ამერიკა და ევროპა ჩვენი მეზობელი არ არის, მაგრამ ტელევიზიები ისე გადმოსცემენ ინფორმაციას, რომ ამაში ახალგაზრდებს ველარ დააჯერებ. უკრაინაში ომია და ჩვენი ტელევიზიები ინფორმაციას უკუღმა გადმოსცემენ. უკრაინაში ბევრი ახლობელი მყავს და ყველაფერი ვიცი.

ხელისუფლებას მივმართავთ და რჩევას ვაძლევთ, მაგრამ რა უნდა ქნას იმ ხელისუფლებამ, დესტრუქციული პარტიების ტელევიზიებსაც რომ ვერ ხურავს, დამნაშავე პროკურორებს რომ ვერ იჭერს, „ნაცებიდან“ „ქოცებში“ პორტირება რომ ვერ ალკვეთა?

ლიბერალური სამყარო ისეთი მძლავრია დღეს, რომ 45-მილიონიან ქვეყანაში კლოუნი ზელენსკი მოიყვანეს პრეზიდენტად, ქვეყანა ერთ დიდ ცირკად გადააქციეს. სოციალურ ქსელებში ეს რომ დავწერე, საშინელი ლანძღვა-გინება მივიღე. ასეთ მოწამლულ საზოგადოებაში რა უნდა გააკეთო ადამიანმა?! აქ ვამბოთ, რომ ნეიტრალიტეტი გვინდა, მაგრამ რუსეთს თუ არ დაველაპარაკებით, არაფერი გამოვა. თუმცა, საქართველოს არ ჰყავს ადამიანი, რომელიც რუსეთის პრეზიდენტს დაუჯდება სალაპარაკოდ. ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება უცხო ქვეყნების მძევალია და იმიტომ... საქართველოში ბევრი პარტიაა, რომლებიც იმავეს ფიქრობს, რასაც ჩვენ — აქ შეკრებილები, მაგრამ ვერ გამონახეს საერთო ენა. დაქსაქსულები ვართ და ასე ვერაფერს მივაღწევთ.

## „ხელისუფლებამ უნდა გამოაცხადოს „ნაცმოძრაობა“ დამნაშავე ორგანიზაციად; სასწრაფოდ გამოცხადოს დენაციფიკაცია, სანამ ეს რუსეთს არ გაუკეთებია!“

**თემურ ფიფია, ერთიანი კომინისტური პარტიის ლიდერი:**

— ხელისუფლებამ მიმდინარე პროცესებიდან დასკვნები უნდა გამოიტანოს, თანაც, რაც შეიძლება, სწრაფად. ხელისუფლება რომ არ შეუერთდა რუსეთის წინააღმდეგ მიმართულ სანქციებს, საკმარისი არ არის, რადგან ამ ხელისუფლებამ შეინარჩუნა „ნაციონალური მოძრაობა“. **ეს არის ხელისუფლება, რომელიც ორჭოფობს გადაწყვეტილების მიღებისას, მაშინ, როდესაც ხედავს, რა ხდება უკრაინაში. ხელისუფლება თუ გააგრძელებს ამ პოზიციაზე ყოფნას და გაურკვევლობას, ჩვენ სამოქალაქო დაპირისპირებამდე მივალთ ან იმავე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, როგორშიც უკრაინაა.** ხელისუფლებამ უნდა გამოაცხადოს „ნაცმოძრაობა“ დამნაშავე ორგანიზაციად; სასწრაფოდ გამოცხადოს დენაციფიკაცია, სანამ ეს რუსეთს არ გაუკეთებია!

## „უკრაინაში არ მიმდინარეობს ომი, ეს არის რუსეთსა და უკრაინას შორის დაპირისპირება ორი იდეოლოგიური პარადიგმისა — ლიბერალურ-ინდივიდუალურისა და ტრადიციულ-კონსერვატიულის“

**ირაკლი უზილავა, პოლიტოლოგი:**

— მრგვალი მაგიდის გარშემო მსხდომი ადამიანები ერთ აზრზე ვართ. სპეცოპერაცია, რომლის მომსწრენიც ვართ, დაიწყო მიუნხენში 2007 წლიდან და დაიწყო ეს დასავლეთსა და რუსეთს შორის. რუსეთის პრეზიდენტი ასრულებს მოდერნის ეპოქას. უკრაინაში არ მიმდინარეობს ომი რუსეთსა და უკრაინას შორის, ეს არის ორი იდეოლოგიური პარადიგმის დაპირისპირება — ლიბერალურ-ინდივიდუალურისა და ტრადიციულ-კონსერვატიულის. უკრაინა დამოუკიდებელი სახელმწიფო რომ ყოფილიყო, ეს ომი არ მოხდებოდა.

## „რუსეთის მიერ უკრაინაში სპეცოპერაციის დაწყების მთავარი მიზეზი იყო კიევის მიერ გადადგმული ნაბიჯები ბირთვული იარაღის წარმოებასა და მის შესაძლო გამოყენებასთან დაკავშირებით“

**გიორგი ირემაძე, „საქართველოს ახალგაზრდა ევრაზიელთა კავშირის“ თავმჯდომარე:**

— რუსეთის მიერ უკრაინაში სპეცოპერაციის დაწყების მთავარი მიზეზი იყო კიევის მიერ გადადგმული ნაბიჯები ბირთვული იარაღის წარმოებასა და მის შესაძლო გამოყენებასთან დაკავშირებით. ასევე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ უკრაინაში მოქმედი რადიკალური, არაადეკვატური სამხედრო დაჯგუფებები გეგმავდნენ ატომური ელექტროსადგურების აფეთქებას, რომელიც რეგიონში კატასტროფას გამოიწვევდა. ამასთანავე, ერთ-ერთი მიზეზი სპეცოპერაციის დაწყებისა იყო ისიც, რომ უკრაინის მხარე ბოლო თვეების განმავლობაში ბომბავდა დონბასსა და ლუგანსკს, შემდეგ კი როსტოვის ოლქსაც დაარტყა, ეს თავისთავად უკრაინის მხრიდან რუსეთზე თავდასხმაა. ზუსტად ამ ფაქტორების ერთობლიობამ გამოიწვია სამხედრო ოპერაცია უკრაინაში, რათა განეიტრალება მომხდარიყო იმ უკრაინული რადიკალური და ნაცისტური იდეოლოგიის, უკონტროლო სამხედრო ჯგუფებისა და უცხოური დაქირავებული „ბოევიკებისა“, რომლებსაც ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორები ამზადებდნენ. აშშ და ევროპა კი აიარაღებდა ზელენსკის მთავრობას, რითაც ხელს უწყობდა კონფლიქტის გაღვივებას. უკრაინაში მიმდინარე პროცესების მიმართ საქართველოს პოზიცია უნდა იყოს მკაფიო და გასაგები. ოფიციალური თბილისი არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეუერთდეს არც ანტირუსულ სანქციებს და მით უმეტეს, უკრაინაში საომარ მოქმედებებთან, საერთოდ, არ უნდა მოხდეს რამე დაკავშირება. ნეიტრალურ პოციზიას დღეს ჩვენი ქვეყნის ინტერესებისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. რაც შეეხება ქართველ საზოგადოებას, მედიასა და ორგანიზაციებს, უნდა მოხდეს კონსოლიდაცია და მხარდაჭერა ნეიტრალური პოზიციისა. დღეს ზუსტად ასეთი კონსოლიდაცია მოხდა და საზოგადოების ჯანსაღმა ნაწილმა გავავრცელეთ ერთობლივი მიმართვა. მადლობას ვუხდი „ისტორიული მემკვიდრეობის“ ხელმძღვანელს — ტარიელ გაგნიძეს, „ევრაზიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელს — გულბაათ რცხილაძეს და ასევე სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებმაც ერთობლივად მივიღეთ აღნიშნული განცხადება.

**დასკვნითი სიტყვა არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობის“ ხელმძღვანელმა ტარიელ გაგნიძემ წარმოთქვა:**

— ჩვენი დისკუსიის შესაჯამებლად ვიტყვი: რუსულმა სპეცოპერაციამ ძალიან ძირეულ და სიღრმისეულ ცვლილებებს დაუდო საფუძველი როგორც პოლიტიკაში, ასევე ეკონომიკაში. რა იქნება მომავალში, ბუნდოვანია. ის, რაც იყო, დაინგრა, აღარ არსებობს. გარდამავალ პერიოდში ვართ, ძველიდან ახალში გადავდივართ. ახლა არის უნიკალური მომენტი, ასეთი რამ ისტორიაში იშვითად ხდება და ჩვენ ამის მომსწრენი ვართ. ახლა ქვეყნისა და ხალხის ინტერესების კარგად გააზრებაა მნიშვნელოვანი და აქედან გამომდინარე, ჩვენი ადგილის მოძებნა და დაკავება ახალ რეალობაში. ეს თუ ახლა არ გავაკეთეთ, დავრჩებით პროცესებს მიღმა და მერე უკვე ძალიან გაგვიჭირდება ჩვენი ადგილის პოვნა, თუ ეს საერთოდ შევძელით. დიდი მადლობა მობრძანებისთვის და საინტერესო დისკუსიისთვის.

**დასასრულ, მრგვალი მაგიდის წევრებმა მიიღეს განცხადება, რომელსაც გაზეთის მე-6 გვერდზე იხილავთ.**

განცხადება

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას, აღკვეთოს ქვეყანაში გაჩაღებული ანტირუსული კამპანია და ყურადღება მიაქციოს უკრაინაში არსებული რეჟიმის მიერ გადადგმულ არამეგობრულ, საქართველოსთვის ძირგამომთხრელ ნაბიჯებს. ასევე მოვუწოდებთ საქართველოს სამართალდამცველებს, აღკვეთონ ე.წ. მოხალისეთა რაზმების ფორმირება და მათი გაგზავნა უკრაინაში.**



# თბილისში 2022 წლის 22 მარტს გამართული მრგვალი მაგიდის მონაწილეთა ერთობლივი განცხადება უკრაინის მოვლენებზე

**ქართველი საზოგადოება გულისტკივილითა და შეშფოთებით ვადევნებთ თვალს უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს და მისგან გამომდინარე პროცესებს საქართველოში და საქართველოს ირგვლივ.**

უპირველეს ყოვლისა, გვინდა ვთქვათ, რომ ტრაგედიაა ის ადამიანური მსხვერპლი, რომელიც უკრაინის მოვლენებს სდევს. მწუხარებას გამოვთქვამთ თითოეული დაღუპულის გამო, რომელი ეროვნებისაც უნდა იყოს ის. დასავლეთმა ჯერ კიდევ 2008 წელს სცადა გამყიდველი სააკაშვილის ხელით საქართველოს გამოყენება რუსეთის წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ, აქაური გამოცდილების გათვალისწინებით, 2014 წელს უკრაინაში მომხდარი სახელმწიფო გადატრიალებით ასეთი ტარანის შექმნა დაიწყო უკრაინისგან. აშშ-მა დაიწყო უკრაინის ტერიტორიის სამხედრო ათვისება, ამერიკელთა პირდაპირი დირექტივებითა და ხელშეწყობით უკრაინაში გაჩაღდა თავაშვებული ნაციონალისტური პროპაგანდა, სულ ცოტა ხნისწინანდელი ფაშისტი სახელმწიფო დამნაშავეები — ბანდერა, შუხევიჩი და სხვები გამოცხადდნენ ეროვნულ გმირებად, დაიწყო რუსი ეროვნების მოქალაქეების შევიწროება, საკანონმდებლო დონეზე აიკრძალა რუსული ენის გამოყენება, განათლების მიღების შესაძლებლობა, ახალგაზრდების აღზრდა ანტირუსული ნაციონალისტურ-ფაშისტური სულისკვეთებით და მათი დაწინაურება სახელმწიფო თანამდებობებზე, უწინარესად — არმიაში, უშიშროებისა და სხვა სამართალდამცავ ორგანოებში. **უკრაინაში განლაგებული ამერიკული ბიოლაბორატორიების ქსელში გამალებით მუშაობდნენ ბიოლოგიურ იარაღზე, რომლის არსებითი შემადგენელი ნაწილი იყო სლავურ ეთნოსზე მოქმედი პათოგენების გამოყვანა. აშშ-დასავლეთის პირდაპირი მითითებით, უკრაინამ ოფიციალურად მოინდომა იმ საერთაშორისო ხელშეკრულებიდან გასვლა, რომლითაც მას უარი ჰქონდა ნათქვამი ბირთვულ იარაღზე. უკრაინის ოფიციალური პირები საჯარო გამოსვლებში პირდაპირ აშანტაჟებდნენ და ემუქრებოდნენ რუსეთს**.

დღევანდელი პრეზიდენტი **ზელენსკი** მთლიანად მოექცა აშშ-დასავლეთისა და საკუთარი ნაციონალისტურ-ფაშისტური გარემოცვის გავლენის ქვეშ, მას საღი აზრიდან გამომდინარე უმნიშვნელო ნაბიჯის გადადგმაც არ შეუძლია.

უკრაინის „მაიდნური“ ხელისუფლებებისთვის ყოველთვის ცხადი იყო, რომ უკრაინას ნატოში არ მიიღებდნენ და რომ რუსეთი არ დაუშვებდა მისდამი მტრულად განწყობილი სამხედრო ბაზების განლაგებას, მით უმეტეს, მტრულად განწყობილი ქვეყნის გაჩენას თავის საზღვრებთან და ამის თავიდან ასაცილებლად არ მოერიდებოდა სამხედრო ძალის გამოყენებას. მიუხედავად ამისა, აშშ და მათი სატელიტები ევროპაში უკრაინის მარიონეტი ხელისუფლების ხელით საზოგადოებაში მიზანმიმართულად ქმნიდნენ ნატოში შესვლის შესაძლებლობის ილუზიას. დღეს კი პრეზიდენტი ზელენსკი და მისი უახლოესი გარემოცვა უკრაინის დღევანდელი მდგომარეობის მთავარ მიზეზად ასახელებენ **პოროშენკოს** პრეზიდენტობის დროს კონსტიტუციაში გაკეთებულ ჩანაწერს ნატოში ინტეგრაციის შესახებ. ზელენსკიმ და სხვა უკრაინელმა მაღალჩინოსნებმაც არაერთხელ საჯაროდ აღიარეს, რომ უკრაინას ნატოში არ მიიღებენ, რომ ნატო უკრაინის დასაცავად არაფერს არ აკეთებს და რომ მოსახლეობა ამას უნდა შეეგუოს. უნდა აღინიშნოს, რომ მიჰყავდათ რა საქმე რუსეთის იძულებისკენ, სამხედრო ძალით აღდგომოდა უკრაინის გადაქცევას მისდამი მტრულ პლაცდარმად, კოლექტიური დასავლეთი ესწრაფვოდა შუღლის ჩამოგდებას და განხეთქილების შეტანას ორ მონათესავე სლავურ ეთნოსს შორის და მათ ეს, ჯერჯერობით, გამოუვიდათ, როგორც გამოუვიდათ ცოტა ადრე განხეთქილების შეტანა უკრაინის მართლმადიდებელ ეკლესიაში.

კოლექტიური დასავლეთის ანტირუსული პოლიტიკის პასუხად რუსეთმა გასული წლის 17 დეკემბერს აშშ-ნატოსგან მოითხოვა უსაფრთხოების იურიდიული გარანტიები და შესთავაზა ხელშეკრულების პროექტები ორმხრივი უსაფრთხოების შესახებ, ხოლო უკრაინისგან — „მინსკი 2“-ის შეთანხმებების შესრულება. რუსეთის წინადადებების არსი მდგომარეობდა იმაში, რომ უსაფრთხოება ერთი უნდა ყოფილიყო განურჩევლად ყველასთვის და რომ აშშ-ნატოს გაეყვანა უკან რუსეთის საზღვრებთან განთავსებული სამხედრო შეტევითი შეიარაღება და ინფრასტრუქტურა.

დაწყებული 2007 წლის მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე რუსეთის პრეზიდენტის ცნობილი გამოსვლიდან, რუსეთი მუდმივად აფრთხილებდა დასავლეთს, რომ ის არღვევდა უსაფრთხოების სფეროში აღებულ ვალდებულებებს, რუსეთისთვის მიცემულ პირობებს და მოითხოვდა ამის შეწყვეტას. დასავლეთი პასუხად ყოველთვის ახდენდა რუსეთის იგნორირებას. აღვნიშნავთ, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები სამხედრო ოპერაციას აწარმოებენ სამოქალაქო მოსახლეობისთვის მაქსიმალურად უსაფრთხოდ — არ ხდება დიდი ქალაქების მასობრივი დაბომბვა და შტურმით აღება. რუსეთის არმია მუდამ ღიად ტოვებს ჰუმანიტარულ დერეფნებს მშვიდობიანი მოსახლეობისთვის და კიევის რეჟიმს მოუწოდებს, არ დააბრკოლოს აღმოსავლეთ უკრაინის ქალაქებიდან ხალხის გადინება რუსეთის მიმართულებით. რუსეთის ეს მოქმედება ისტერიკას იწვევს დასავლეთში და ანტირუსული პროპაგანდა ცდილობს, ყველაფერი პირიქით წარმოაჩინოს — თითქოს რუსეთის არმია ცდილობს, განზრახ გამოიწვიოს მსხვერპლი უკრაინის მშვიდობიან მოსახლეობაში, რაც უნამუსო ცილისწამებაა. ამიტომ ყველას შევახსენებთ, რომ სამოქალაქო ინფრასტრუქტურის მიზანმიმართული ნგრევა და მშვიდობიანი მოსახლეობის მიზანმიმართული ხოცვა ომის წარმოების ამერიკულ-ბრიტანული მეთოდია. დასავლეთში აღშფოთებას არ იწვევს როგორც შედარებით შორეული ისტორია — **დრეზდენის, ჰიროსიმასა** და **ნაგასაკის** განადგურება, ისე უახლესი ისტორია — **იუგოსლავია, ავღანეთი, ერაყი, ლიბია**... ეს ქვეყნები ამერიკელებმა და ნატოში შემავალმა ქვეყნებმა მიწასთან გაასწორეს. ომი იუგოსლავიის, ავღანეთის, ერაყისა და ლიბიის წინააღმდეგ სამხედრო ავიაციისა და სარაკეტო შეტევების გამოყენებით დაიწყეს, არ ერიდებოდნენ დიდი ქალაქების მასობრივ დაბომბვასა და მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურებას, რათა შემდეგ შესულ სახმელეთო ჯარებში მსხვერპლი არ ყოფილიყო. ამერიკელი ჯარისკაცების დიდი რაოდენობით დაღუპვა ხომ საზოგადოებრივ აზრს ომის წინააღმდეგ განაწყობდა?! ამიტომ ვაშინგტონსა და ბრიუსელში ისევ მშვიდობიანი სერბების, ერაყელებისა და ავღანელების მასობრივ ხოცვა-ჟლეტას ამჯობინებდნენ. შეგახსენებთ: **არც ერთ ამერიკელ ჯარისკაცს იუგოსლავიის, ავღანეთის ან ერაყის მიწაზე ფეხი არ დაუდგამს მანამ, სანამ ავიაციამ ეს ქვეყნები რამდენიმე კვირის განმავლობაში სისხლით არ გაავსო!**

გვინდა, მხარი დავუჭიროთ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებას, არ შეუერთდეს დასავლეთის სანქციებს რუსეთის წინააღმდეგ. მიგვაჩნია, რომ ეს პრინციპული და საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებით მიღებული გადაწყვეტილებაა. აქვე დავძენთ, რომ **უკრაინა ბოლო წლების განმავლობაში არა მხოლოდ ანტირუსულ, არამედ ანტიქართულ პლაცდარმადაც გადააქციეს. ქართველი სამართალდამცველების არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, უკრაინულმა მხარემ მათ არ გადასცა სისხლის სამართლის დამნაშავეთა უდიდესი ნაწილი. მეტიც, საქართველოს კრიმინალ მოქალაქეებს უკრაინული მოქალაქეობა მიანიჭა და მაღალ სახელმწიფო თანამდებობებზე დანიშნა. 2021 წლის არჩევნების წინ უკრაინიდან ასევე შემოგზავნეს მიხეილ სააკაშვილი საქართველოში ვითარების დესტაბილიზაციის მიზნით. კიევის რეჟიმი უპატივცემულობას ავლენს საქართველოს ხელისუფლების მიმართ, არაფრად აგდებს ახლა, გაჭირვების ჟამს, საქართველოს მთავრობის მხრიდან გაწეულ ჰუმანიტარულ დახმარებას. კიევიდან ითხოვენ, რომ საქართველომ თავისი სასიცოცხლო ინტერესების წინააღმდეგ იმოქმედოს და ჩაერთოს ანტირუსულ ალიანსში. ეს და კიდევ სხვა არაერთი ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ კიევში დღეს არსებული რეჟიმი საქართველოსთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს!**

მოვუწოდებთ საქართველოს ხელისუფლებას, აღკვეთოს ქვეყანაში გაჩაღებული ანტირუსული კამპანია და ყურადღება მიაქციოს უკრაინაში არსებული რეჟიმის მიერ გადადგმულ არამეგობრულ, საქართველოსთვის ძირგამომთხრელ ნაბიჯებს. ასევე მოვუწოდებთ საქართველოს სამართალდამცავებს, აღკვეთონ ე.წ. მოხალისეთა რაზმების ფორმირება და მათი გაგზავნა უკრაინაში.

მიგვაჩნია, რომ უკრაინაში დღეს მიმდინარე პროცესებმა არსებითად შეცვალა გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება ევრაზიის კონტინენტზე და მთლიანად მსოფლიოშიც. ეს პროცესები თვალსაჩინო გაკვეთილია პირველ რიგში პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის და მათ შორის საქართველოსთვისაც. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს სწორი დასკვნები და დღეიდან მაინც ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკაში იმოქმედოს დამოუკიდებლად, ქვეყნის ძირეული ინტერესების გააზრებით და მათ შესაბამისად.

**აუცილებელია, საქართველომ დაიწყოს სამართლებრივი პროცედურები ქვეყნის კონსტიტუციის გადასახედად იქიდან ნატო-ში სწრაფვის შესახებ ყოვლად მავნებლური ჩანაწერის ამოსაღებად, გადავხედოთ ევროკავშირში გაწევრიანების ასევე მავნებლურ და უტოპიურ მისწრაფებას — 2024 წლისთვის, როგორც ეს დღევანდელი პრემიერის არცთუ შორსმჭვრეტელმა წინამორბედმა გამოგვიცხადა და რომელიც გარემოებათა გამო ეხლანდელმაც აიტაცა. გარდა ამისა, ვთვლით, რომ გასაუქმებელია „საგარეო პოლიტიკის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 29 დეკემბრის რეზოლუცია და მის მაგივრად შესამუშავებელია ახალი, დღევანდელი რეალობისადმი და საქართველოს ჭეშმარიტი უსაფრთხოებისა და განვითარების მიზნებისადმი ადეკვატური მიდგომები. და კიდევ, უნდა გავაუქმოთ ამერიკული ბიოლაბორატორიები საქართველოში, ისინი აქ საჩვენო საქმეს არ აკეთებენ, პირიქით, გვიქმნიან რეალურ საფრთხეებს ხალხსაც და ქვეყანასაც.**

**აუცილებელია, საქართველომ დაიწყოს სამართლებრივი პროცედურები ქვეყნის კონსტიტუციის გადასახედად იქიდან ნატო-ში სწრაფვის შესახებ ყოვლად მავნებლური ჩანაწერის ამოსაღებად, გადავხედოთ ევროკავშირში გაწევრიანების ასევე მავნებლურ და უტოპიურ მისწრაფებას. გარდა ამისა, ვთვლით, რომ გასაუქმებელია „საგარეო პოლიტიკის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 29 დეკემბრის რეზოლუცია და მის მაგივრად შესამუშავებელია ახალი, დღევანდელი რეალობისადმი და საქართველოს ჭეშმარიტი უსაფრთხოებისა და განვითარების მიზნებისადმი ადეკვატური მიდგომები. და კიდევ, უნდა გავაუქმოთ ამერიკული ბიოლაბორატორიები საქართველოში, ისინი აქ საჩვენო საქმეს არ აკეთებენ, პირიქით, გვიქმნიან რეალურ საფრთხეებს ხალხსაც და ქვეყანასაც.**

ორგანიზატორთა სახელით,
**ტარიელ გაგნიძე**,
ა.ი.პ. „ისტორიული მემკვიდრეობა“;
**გულბაათ რცხილაძე**,
ა.ი.პ. „ევრაზიის ინსტიტუტი“

**„ეს ორჯონიკიძეები შეგნებულად არ ეუბნებიან ხალხს, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ახლა საქართველოს მცდელობას, დაიბრუნოს სამაჩაბლო და აფხაზეთი. რომელ ეროვნულ ინტერესებზეა საუბარი, როცა ეს სულგაყიდულების სატანაური სექტა ერის ყოველგვარ გასაჭირს თავისი ბინძური ზრახვების ასასრულებლად იყენებს“.**

ხმა ბერისა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უკრაინაში მიმდინარე მოვლენების ფონზე ქვეყანაში მოქმედი დესტრუქციული ძალები ყველაფერს აკეთებენ ომში საქართველოს ჩასათრევად. ომის პროპაგანდის ავანგარდში ომწაგებული პარტიაა — „ნაცმოძრაობა“ ყველა საშუალებით ცდილობს, ხალხი დაარწმუნოს უკრაინის სამხედრო ძალითაც დახმარების აუცილებლობაში.**

# მამა ბასილი (მკალავიშვილი): საშინელება, რომელიც დღეს უკრაინაში ხდება, ამერიკაში დაიგეგმა

„ნაცმოძრაობასთან“ ერთად ომის პროპაგანდას 24-საათიან რეჟიმში ეწევა ლიბერალური მედიაც. **კეზერაშვილის** მიერ ქვეყნისთვის მოპარული ფულით დაფინანსებული „ფორმულა“, „ტვ პირველი“ და „მთავარი“ საზოგადოებას სიცრუით კვებავენ. მოსახლეობას ატყუებენ, რომ უკრაინაში მიმდინარე მოვლენები საქართველოსთვის ახალ შესაძლებლობებს აჩენს; ატყუებენ, რომ ეს ომი რუსეთისთვის სრული კრახია და „დასანგრევად განწირულ იმპერიას“ უკრაინასთან ერთად ჩვენც უნდა შევუტიოთ... არადა, ომის დაწყებიდან ოთხი კვირის თავზე აშკარაა, რომ საქართველოზე 12-ჯერ მრავალრიცხოვანმა და ძლიერმა უკრაინამ, ევროპის უდიდესმა სახელმწიფომ კატასტროფა განიცადა — ქვეყანა დატოვა მილიონობით ადამიანმა და სახელმწიფო, პრაქტიკულად, მოიშალა. რაც შეეხება დასავლეთის მხარდაჭერას, მიმდინარე ომმა ცხადყო, რომ არც უკრაინას, არც მოლდოვას და, ბუნებრივია, არც საქართველოს არ უნდა ჰქონდეს ილუზია, რომ რუსეთთან ომის შემთხვევაში მათ „ცივილიზებული სამყარო“ დაიცავს. ამის ნათელი მაგალითია ნატოს პოზიცია — ამ ორგანიზაციის ლიდერები აცხადებენ, რომ ისინი ვერ მიაწვდიან შეიარაღებას უკრაინას, რადგან ეს გამოიწვევს პირდაპირ დაპირისპირებას რუსეთთან...

**რატომ სურთ საქართველოში გარკვეულ ძალებს რუსეთთან ომი და რა გათვლები შეიძლება ჰქონდეთ მათ იმ შემთხვევისთვის, თუ მართლა ჩაითრევენ ქვეყანას ამ დაპირისპირებაში? — ამ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე გვესაუბრება გლდანის ივერიის ყოვლაწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი მამა ბასილი (მკალავიშვილი):**

— ის საშინელება, რომელიც დღეს ხდება, ათეული წლების წინათ დაიგეგმა ამერიკაში, საიდანაც იმართება ყოველივე. შეგახსენებთ **ზბიგნევ ბჟეზინსკის** სიტყვებს: „კომუნიზმის დანგრევის შემდეგ დასავლური სამყაროს პირველი მტერი მართლმადიდებლობაა“. ვიცით, როგორ ანადგურებდნენ ამერიკელები მართლმადიდებლურ ქყვეყნებს. ჯერ გაანადგურეს **იუგოსლავია,** დაბომბეს **სერბეთი,** კრედიტებით გააკოტრეს **საბერძნეთი** და სხვ.; შემდეგ წაეპოტინნენ **უკრაინას.** ამერიკასა და დასავლეთს ძალიან აწუხებთ ძლიერი მართლმადიდებელი ქვეყნები. **უკრაინაში მიმდინარე ომი მიზანმიმართული მზაკვრობაა, რადგან აღზევებულია სატანა და ბინძური საცეცებით ცდილობს, ფესვები მსოფლიო მასშტაბით გაიდგას, დაამყაროს წყობა, რომელშიც განადგურებული იქნება ყოველაფერი მორალური, ზნეობრივი, სარწმუნოებრივი, ტრადიციული. ადამიანებს ზომბებად აქცევენ, მათგან ამოშანთული იქნება ენა, თვითმყოფადობა. დაისადგურებს ქაოსი.** მე, როგორც ღვთის მსახური, 1990-იანი წლებიდან ვგრძნობდი საფრთხეს, განსაცდელს, რადგან გააქტიურებული იყო მრავალი ქვეყნიდან განდევნილი **სოროსი,** რომელმაც შემოგზავნა საქართველოში იეღოველთა სექტა **გიგა ბოკერიას** მფარველობის ქვეშ, რის სანაცვლოდაც გრანტებით ასაჩუქრებდნენ. იმხანად ჩემს მრევლსა და ბატონ **გურამ შარაძესთან** ერთად ვებრძოდი მსოფლიო ბოროტების მანქანას, რის გამოც ბატონი გურამი დახვრიტეს, მე კი ციხეში გამომაწყვდიეს. ვმადლობ უფალს, ღმერთმა მოგვივლინა მამა **ვახტანგი (მარგიანი),** რომელმაც იტვირთა ჩემი მოვალეობა და იმ შეჭირვების ჟამს ეკლესიური რიტუალების ჩატარება არ შეწყვეტილა...

საზოგადოება ვერ მიმხვდარა, რატომ დაიწყო ეს საშინელი ომი. უკრაინა პოლიგონია. წამქეზებლები კულუარებში დგანან, აწვდიან უკრაინას საბრძოლო იარაღს და შესცქერიან, როგორ ხოცავენ ერთმანეთს მართლმადიდებლები. მთავარი სამიზნე რუსეთია, რათა დაასუსტონ, დაშალონ და მერე იბატონონ. აგულიანებენ ზელენსკის, ნობელის პრემიას და რას არ ჰპირდებიან, რაც შეიძლება მეტი ხალხი რომ დაიხოცოს.

დღეს, ფაქტობრივად, მთელი დასავლეთი ებრძვის რუსეთს და აგრესორს უწოდებს, მაშინ, როდესაც თვითონ არის აგრესორი. მისი მიზანია, სხვისი ხელებით დაშალოს რუსეთი, შემდეგ კი სხვა ქვეყნების მართვა ადვილი იქნება. სხვა ქვეყნების დაპყრობა-აოხრება არახალია ამერიკისთვის: **სერბეთი, ვიეტნამი, ავღანეთი, ერაყი, ლიბია...** რომელი ერთი ჩამოვთვალოთ. სადისტურად დასაჯეს **სადამ ჰუსეინი და მუამარ კადაფი.** მეტად დასანანია და სამწუხარო, რომ უკრაინაში იხოცება მშვიდობიანი მოსახლეობა, პატარები. მეტი გონიერება მართებს უკრაინის პრეზიდენტს, აკვიატებული პრინციპებით, რომელიც ხალხს აზიანებს, ფონს ვერ გავა. ახლა ამერიკა და დასავლეთი მიზანმიმართულად აქებენ მას, მაგრამ გავა დრო და ისტორია თავისას იტყვის...

აქვე შეგახსენებთ ამერიკის ამჟამინდელი პრეზიდენტის — **ბაიდენის** სიტყვებს: **„მე არ მაინტერესებს თქვენი კულტურა, კულტურა აქვს იმ ერს, რომელიც იცავს ლგბტ საზოგადოების ინტერესებს“.** მომავალმა თაობამ ასეთ ამერიკასთან უნდა იმეგობროს? ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყირიმში ტრადიციულად იმართებოდა მართლმადიდებლობის საწინააღმდეგო კაზანტიპის ფესტივალები, უკრაინის დედაქალაქში — ლგბტ აღლუმები, იეღოველთა სექტის წარმომადგენლების ფართომასშტაბიანი შეკრებები.



**«უკრაინა პოლიგონია. წამქეზებლები კულუარებში დგანან, აწვდიან უკრაინას საბრძოლო იარაღს და შესცქერიან, როგორ ხოცავენ ერთმანეთს მართლმადიდებლები. მთავარი სამიზნე რუსეთია, რათა დაასუსტონ, დაშალონ და მერე იბატონონ. აგულიანებენ ზელენსკის, ნობელის პრემიას და რას არ ჰპირდებიან, რაც შეიძლება მეტი ხალხი რომ დაიხოცოს»**

ყველა შეჭირვებულს უნდა ეხმარებოდე და ჩვენი მთავრობაც ამ მხრივ მაქსიმუმს აკეთებს, რადგან ჩვენც ვიწვნიეთ ეს განსაცდელი. გავიხსენოთ აფხზეთიდან დევნილები. რა გაჭირვებით გამოიარეს უღელტეხილი; ყინვაში, თოვლში, შიშველი ფეხებით, აუტანელი ტანჯვა-წამებით, სანამ სამშვიდობოს გააღწევდნენ. იმხანად დუმდა დასავლეთი, ამერიკა. ჩვენს ტკივილს არავინ აღიქვამდა. **პარადოქსია, რომ საქართველოს მოღალატენი, რომლებმაც 9 წელი სული ამოჰხადეს ერს, 2012 წლის არჩევნებში დამარცხების შემდეგ გაიქცნენ და რატომღაც უკრაინაში ჰპოვეს ნავსაყუდელი. ყველა მაღალ თანამდებობაზე დანიშნა უკრაინის პრეზიდენტმა.** მოღალატეთა ყველა საიდუმლო შეხვედრა, ოპერაცია უკრაინაში იგეგმებოდა. კანონდამრღვევებს, კრიმინალებს ახლაც ნიშნავენ თანამდებობებზე. დღეს საქართველოს მოღალატენი, „ნაციონალური მოძრაობის“ სახით, ყველანაირად ცდილობენ, ქვეყანას გადაადგმევინონ ნაბიჯები, რომელთა სავალალო შედეგს ხელისუფლების წინააღმდეგ გამოიყენებენ. საინტერესოა, რა სანქციები უნდა დაუწესოს საქართველომ რუსეთს, როცა ჩვენი ტერიტორიის 20% მის ხელშია სააკაშვილის წყალობით, რუსების ხელშია ჩვენი სტრატეგიული ობიექტები. შევეკითხოთ საქართველოზე „მზრუნველ“ პატიმარ პრეზიდენტყოფილს — დარჩა რაიმე გასასხვისებელი? ან რა ომში ჩაბმაზეა საუბარი? ამას რა შედეგი მოჰყვება, ძნელი გასათვლელი არ არის. ისედაც დაბეჩავებულ, ეკონომიკურად შეჭირვებულ ქვეყანაში სწორედ ამაზე ოცნებობენ. რუსეთის გაღიზიანება კარგ არაფერს მოგვიტანს, ეს ვიწვნიეთ 2008 წლის აგვისტოში... ვნახეთ დახოცილი პირტიტველა ბიჭები, მთავარსარდალი სააკაშვილი კი — მიწაზე მხოხავი.

**— ბოლო პერიოდში ლიბერალური ოპოზიცია ეწევა პროპაგანდას, რომ, თურმე, ჩვენ ახლა გვაქვს შანსი, უკრაინასთან ერთად დავიცვათ ეროვნული ინტერესები. მსგავსი ფრაზებით ლაპარაკობენ ბოკერია, უგულავა, ბარამიძე და სხვები, რომლებმაც ხელისუფლებაში მოსვლის პირველ დღეებში ეკლესია დაარბიეს. გვახსოვს ყველა ის საშინელება, რომლებიც თქვენი დაკავებისას მოხდა — სამხედრო ტექნიკით როგორ შეანგრიეს ტაძრის კარი... ლიბერალური პროპაგანდა დღეს საზოგადოებაზე რეალურად მოქმედებს?**

— ერთხელ კიდევ შეგახსენებთ: **ბიძინა ივანიშვილის** წყალობით რესპუბლიკელები და სხვები პარლამენტში მოხვდნენ, მოირგეს თბილი სავარძლები და მერე მოღალატეებად იქცნენ. კოაბიტაცია ამერიკიდან იყო თავსმოხვეული. ხელისუფლების დიდი შეცდომა არის ის, რომ, როცა დამარცხდა „ნაცმოძრაობა“, მაშინვე უნდა გაეუქმებინათ. ისევ ჩვენ გავაძლიერეთ და ვიმკით ამის შედეგს. **ეს ორჯონიკიძეები შეგნებულად არ ეუბნებიან ხალხს, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ახლა საქართველოს მცდელობას, დაიბრუნოს სამაჩაბლო და აფხაზეთი. რომელ ეროვნულ ინტერესებზეა საუბარი, როცა ეს სულგაყიდულების სატანაური სექტა ერის ყოველგვარ გასაჭირს თავისი ბინძური ზრახვების ასასრულებლად იყენებს.** ორი წელია, მსოფლიო ღვთის სასჯელის მორევში ჩაიძირა. სწორედ ამ დროს აწყობდნენ ე.წ. ოპოზიციონერები ხალხმრავალ აქციებს, რაც შეიძლება მეტი ხალხი შეეკრიბათ და დაეინფიცირებინათ. ახლა კი ეს ომი გამოიყენეს მიზნის მისაღწევად. პარლამენტის ყოველ სხდომაზე აწყობენ არეულობას, ურთიერთდაპირისპირებას. სამშობლოს მსოფლიო ასპარეზზე უარყოფით კონტექსტში, ცრუ ბარალდებებით წარმოაჩენენ, რაც, სამწუხაროდ, პარლამენტარმა **ხატია დეკანოიძემ** ჩაიდინა. **გიგა ბოკერიამ** რა ბოროტებაც ჩაიდინა ერისა და საზოგადოების წინაშე, ნორმალურად მოაზროვნე ადამიანისთვის წარმოუდგენელია, მაგრამ დაუსჯელი დადის დასავლეთის მფარველობის ქვეშ; **უგულავა,** ბიუჯეტის გამფლანგველი, აქეთ იმუქრება, **ბარამიძე...** რომელი ერთი ჩამოვთვალო.

რაც შეეხება ჩვენი ეკლესიის დარბევას, სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს — **რად უნდოდა ერთი მღვდლის დაპატიმრებას ე.წ. ხელისუფლების 3000-მდე კბილებამდე შეიარაღებული ჟანდარმი, როცა ქალაქში მარტო დავდიოდი? მაგრამ ქართველთმოძულე სააკაშვილი ძალის დემონსტრირებას ცდილობდა და ერს ტერორი დაატეხა თავს...**

**— მმართველი გუნდი წნეხს არა მხოლოდ შიგნით, გარე ძალებისგანაც განიცდის, მას დასავლეთიდანაც აკრიტიკებენ იმის გამო, რომ არ შეუერთდა რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ სანქციებს და არ გაამწვავა ურთიერთობა მოსკოვთან. გაუძლებს „ოცნება“ ამ წნეხს? ხომ არ ფიქრობთ, რომ დაკომპლექსდებიან და, ადრე თუ გვიან, მაინც შეასრულებენ კოლექტიური დასავლეთის ანტირუსულ მითითებებს, რაც ჩვენთვის იქნება საზიანო?**

— მეტად საინტერესო შეკითხვაა. ფაქტია, ჯერჯერობით შეძლებისდაგვარად უმკლავდებიან, მიუხედავად გარე თუ შინაური მტრების უდიდესი წნეხისა. **თუ იმის აღიარება ეჩოთირებათ, რომ ჩვენი ტანჯული ერი აქამდე რწმენამ, უფალმა მოიყვანა, მაშინ მთავრობაში არ უნდა იყვნენ. მათ არ სცოდნიათ საქართველოს ისტორია.**

მადლობას ვუხდი პრემიერ **ირაკლი ღარიბაშვილს,** რომელმაც ერთხელ დათმო თანამდებობა ოჯახის სიწმიდის დასაცავად. თანადგომა, სიყვარული, პატივისცემა ყველაზე დიდი სიმდიდრეა, რომელსაც მის მიმართ გამოხატავს მადლიერი ერი. თხოვნა მაქვს მასთან — **გაათავისუფლოს 5-6 ივნისის მოვლენების გამო დაპატიმრებული მართლმადიდებლები.** მათ თავი დადეს ერის იდენტობისა და რწმენის დასაცავად. მივესალმები ახალშექმნილ კონსერვატიულ პარტიას, მათი ტელევიზიის, „ალტ-ინფოს“ წარმომადგენლებს, რადგან ობიექტურ ინფორმაციას გვაწვდიან და დგანან მართლმადიდებლობის დაცვის სადარაჯოზე. გავამხნევებ მათ — გაუძელით, ბიჭებო, ლიბერალების შემოტევას, იყავით მხოლოდ უფალზე მინდობილნი; გვახსოვდეს, რომ ამქვეყნად ჩვენი ცხოვრება არის შრომა, მოთმინება, განსაცდელი, როგორც იესო ქრისტემ გაატარა... დასასრულ, ვიტყვი, რომ ეკლესია ყველაფერის წარმმართველი, საზოგადოების გამომაფხიზლებელი და გამაერთიანებელია. როცა ქვეყანა ჩიხში ექცევა და განსაცდელი ელოდება, სჯულის კანონით ეკლესიამ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა და ხელისუფლებასთან ერთად, ღმრთის შეწეობით, ქვეყანა ფეხზე უნდა წამოაყენოს.

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

ბრძოლა უკანასკნელ უკრაინელამდე

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**განსაკუთრებით ცინიკური იყო დასავლეთის დიდი ტყუილი იმის შესახებ, რომ დროთა განმავლობაში კიევი შეძლებდა ნატოში გაწევრებას. ეს განცხადება 2008 წელს ვაშინგტონის მითითებით გააკეთა ალიანსის ხელმძღვანელობამ უკრაინისა და საქართველოს მიმართ და დასავლეთის ოფიციალური პირები ამ დაპირებას იმეორებდნენ 14 წლის განმავლობაში. ამის მიუხედავად, ვერც კიევი და ვერც თბილისი ალიანსის წევრობას ვერ მიუახლოვდნენ.**

The American Conservative

# The American Conservative: უკრაინაში სპეცოპერაციის დაწყება დასავლეთის პროვოცირებულია



**რუსეთის მიერ უკრაინის დენაციფიკაციის სპეცოპერაციის დაწყების შემდეგ დასავლეთის მხრიდან კიევის მისამართით თბილი სიტყვების ნაკადი წამოვიდა, მაგრამ, ამის მიუხედავად, დასავლეთის ქვეყნების პოლიტიკა მაინც არ არის პროუკრაინული. „ამჟამინდელი კრიზისისადმი ვაშინგტონის მიდგომას კი შეიძლება ეწოდოს რუსეთთან ბრძოლა უკანასკნელ უკრაინელამდე“, — წერს აშშ-ის მე-40 პრეზიდენტ რონალდ რეიგანის ყოფილი მრჩეველი დაგ ბენდოუ The American Conservative-ში 17 მარტს გამოქვეყნებულ სტატიაში.**

განსაკუთრებით ცინიკური იყო დასავლეთის დიდი ტყუილი იმის შესახებ, რომ დროთა განმავლობაში კიევი შეძლებდა ნატოში გაწევრებას. ეს განცხადება 2008 წელს ვაშინგტონის მითითებით გააკეთა ალიანსის ხელმძღვანელობამ უკრაინისა და საქართველოს მიმართ და დასავლეთის ოფიციალური პირები ამ დაპირებას იმეორებდნენ 14 წლის განმავლობაში. ამის მიუხედავად, ვერც კიევი და ვერც თბილისი ალიანსის წევრობას ვერ მიუახლოვდნენ. თვით ბლოკში კი არც ერთ მის წევრს არ სურდა ამ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მიღება. მიუხედავად ამისა, **ვაშინგტონი უარყოფდა მოსკოვის მოთხოვნას, ეღიარებინა, რომ ამ სახელმწიფოებიდან ვერც ერთი ვერ მოიპოვებდა ნატოს წევრის სტატუსს მომავალში და აქტიურად უბიძგებდა სხვა ქვეყნებსაც ასეთი ორაზროვანი პოზიციისკენ. იმის ნაცვლად, რომ ეღიარებინათ რეალური მდგომარეობა, ალიანსის წევრები სიმართლეს მალავდნენ. არადა, სიმართლე რომ ეთქვათ, შეიძლებოდა, არ დაწყებულიყო რუსეთის სპეცოპერაცია უკრაინაში.**

ახლა კი, როცა ყველასთვის მოულოდნელად დაიწყო სპეცოპერაცია, ნატოს წევრებს არ სურთ თავიანთი ბრალის აღიარება. პირიქით, ბლოკში შემავალმა აღმოსავლეთევროპულმა ქვეყნებმა დაიწყეს სხვა მანტრის თქმა: „რუსეთის ნდობა არ შეიძლება“.

„ბალტიისპირეთის ქვეყნები აფრთხილებდნენ კოლეგებს დასავლეთში, რომ ფხიზლად ყოფილიყვნენ და სასურველი სინამდვილედ არ გაესაღებინათ. გამუდმებულმა მზადყოფნამ, გადაგვეტვირთა რუსეთთან ურთიერთობა, როგორიც უნდა ყოფილიყო მისი ნაბიჯები, სამწუხაროდ, მიგვიყვანა დღევანდელ მდგომარეობამდე“, — განაცხადა ლატვიის პარლამენტის დეპუტატმა **რიჰარდ კოლსმა.**

მართლაც, **აღმოსავლეთ ევროპაში ზოგიერთი შეფარვით მიუთითებს: ამჟამინდელი კრიზისი გამოწვეულია იმით, რომ აშშ-მა ვერ შეასრულა ვალდებულებები მათი დაცვის შესახებ.**

„მე არაერთხელ მოვითხოვე, რომ ნატოში ჩვენი წევრობა გამტკიცებულიყო ფიზიკურადაც — მოვითხოვდი მხოლოდ ორ ბრიგადას ე.ი. 10 ათას ამერიკულ სამხედრო მოსამსახურეს, — ეს აღმაშფოთებლად ჩათვალეს“, — აღნიშნა პოლონელმა პოლიტიკოსმა **რადეკ სიკორსკიმ** და დასძინა, რომ ისეთი ქვეყნები, როგორიც არის გერმანია, „ვერ გრძნობენ პოლონეთის ტკივილს“, რომელიც „იმყოფება დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და უსაფრთხოების წინა ხაზზე“.

ყველაფრის მიუხედავად, არ არსებობს არანაირი საფუძველი, ვთქვათ, რომ რუსები უფრო მანკიერები არიან, ვიდრე სხვა ხალხები. პირიქით, აშკარაა, რომ დასავლელ ლიდერებს, განსაკუთრებით ამერიკელ პოლიტიკოსებს, იმის გაგონება არ სურდათ, რასაც რუსეთის ბევრი წარმომადგენელი ეუბნებოდა. ქედმაღლობა განსაკუთრებით იგრძნობოდა ატლანტიკის ამერიკულ მხარეს. დიდი ხანია, დავიწყებულია **ვლადიმერ პუტინის** შემრიგებლური სიტყვა, რომელიც მან ბუნდესტაგში წარმოთქვა 2 ათეულ წელზე მეტი ხნის წინათ.

„არავის შეაქვს ეჭვი ევროპისა და აშშ-ის ურთიერთობის მაღალ ფასეულობაში. უბრალოდ, ჩემი აზრით, ევროპა მტკიცედ და ხანგრძლივად გაიმყარებს მსოფლიო პოლიტიკის დამოუკიდებელი ცენტრის რეპუტაციას, თუ ის თავის შესაძლებლობებს გააერთიანებს რუსეთის შესაძლებლობებთან — ადამიანურ, ტერიტორიულ და ბუნებრივ რესურსებთან, ეკონომიურ, კულტურულ და თავდაცვის პოტენციალთან“, — განაცხადა პუტინმა.

**„გასული ათწლეულის ერთ-ერთი მიღწევა არის ცენტრალურ ევროპასა და ბალტიისპირეთში შეიარაღებული ძალებისა და შეიარაღების უმაგალითოდ დაბალი კონცენტრაცია. რუსეთი მეგობრულად განწყობილი ევროპული ქვეყანაა. ჩვენი ქვეყნისთვის, რომელმაც განიცადა ომის კატასტროფა, სტაბილური მშვიდობა კონტინენტზე მთავარ მიზანს წარმოადგენს“,** — დასძინა რუსეთის ლიდერმა.

მაგრამ ნატოს გაფართოების კვალდაკვალ პუტინის თვალსაზრისი შეიცვალა. **მიუხედავად იმისა, რომ „ცივ ომში“ გამარჯვებულებს მასობრივად დაემართათ ამნეზია, უნდა ითქვას, ისინი არაერთხელ დაჰპირდნენ საბჭოეთისა და რუსეთის ოფიციალურ პირებს, რომ ნატო არასოდეს გაფართოვდებოდა აღმოსავლეთით — რუსეთის საზღვრებისკენ.** მაგალითად, ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტში, რომელმაც გამოაქვეყნა აშშ-ის ბევრი განსაიდუმლოებული დოკუმენტი, აღნიშნეს: **„სახელმწიფო მდივან ჯეიმს ბეიკერის მიერ 1990 წლის 9 თებერვალს საბჭოეთის ლიდერ მიხეილ გორბაჩოვისთვის მიცემული დაპირება იმის შესახებ, რომ ნატო არც ერთი დუიმით არ გაფართოვდებოდა აღმოსავლეთით“, ერთ-ერთი იყო მსგავსი დაპირებებიდან, რომლებიც დასავლელმა ლიდერებმა მისცეს გორბაჩოვსა და საბჭოთა კავშირის სხვა თანამდებობის პირებს გერმანიის გაერთიანების პროცესში 1990 წელს და 1991 წელსაც,** რაზეც მიუთითებს აშშ-ის, საბჭოთა კავშირის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მიერ გამომზეურებული დოკუმენტები.

ნატოელი მოკავშირეები ტკბილ სიტყვებს ეუბნებოდნენ რუსეთის პრეზიდენტ **ბორის ელცინსა** და მის გარემოცვას. ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის მასალების მიხედვით, **„ამერიკისა და რუსეთის საიდუმლო არქივებიდან გამომზეურებული დოკუმენტებიდან ჩანს, რომ აშშ-ის ოფიციალურმა პირებმა 1993 წელს დაარწმუნეს რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი, რომ „პარტნიორობა მშვიდობისთვის“ იყო ნატოს გაფართოების ალტერნატივა და არა მისი მომასწავებელი. ამასთანავე, დაგეგმეს ნატოს გაფართოება 1996 წელს ელცინის გადარჩევისთანავე და არაერთხელ განუცხადეს მოსკოვს, რომ სამომავლოდ ევროპის უსაფრთხოების სისტემაში ჩართული იქნებოდა რუსეთიც“.**

კალიფორნიის უნივერსიტეტის თანამშრომელი **მარკ ტრახტენბერგი** მივიდა დასკვნამდე, რომ მოკავშირეები თავდაპირველად დაჰპირდნენ მოსკოვს, პატივს სცემდნენ მის ინტერესებს. შემდეგ ტრახტენბერგმა დასძინა: **„მოგვიანებით აშშ-ის ლიდერები მიხვდნენ, რომ საბჭოთა კავშირი ძალიან დასუსტდა და ხელს ვეღარ შეუშლიდა მათ, გაეკეთებინათ ის, რასაც მოისურვებდნენ. ამრიგად, 1990-იანების შუა წლებში 9 თებერვლის დაპირებას აღარ აღიქვამდნენ, როგორც სავალდებულოს.** ის, რასაც გორბაჩოვი უწოდებდა „ტკბილ საუბრებს“, გაგრძელდა, მაგრამ სულ უფრო აშკარა იყო, რომ თანამშრომლობის კონცეფცია, დაფუძნებული ურთიერთსაიმედოობასა და ურთიერთპატივისცემაზე, რეალობას შორდებოდა. ამ ყველაფერმა გამოიწვია და დღესაც იწვევს რუსეთის ღრმა შეშფოთებას“.

ერთ-ერთი ასეთი უკმაყოფილო რუსი იყო ვლადიმერ პუტინი. **პრობლემა არ იყო მხოლოდ ნატოს გაფართოება, სერბეთში ომის გაჩაღებამ და ამ ქვეყნის დანაწევრებამ რუსეთში განარისხა როგორც რიგითი მოქალაქეები, ისე ხელისუფლება. ასეთმა რეაქციამ გამოიწვია დასავლეთის მიერ მოწყობილი „ფერადი რევოლუციები“ თბილისსა და კიევში.**

პუტინმა 2007 წელს ▶

**ვაშინგტონი უარყოფდა მოსკოვის მოთხოვნას, ეღიარებინა, რომ ამ სახელმწიფოებიდან ვერც ერთი ვერ მოიპოვებდა ნატოს წევრის სტატუსს მომავალში და აქტიურად უბიძგებდა სხვა ქვეყნებსაც ასეთი ორაზროვანი პოზიციისკენ. იმის ნაცვლად, რომ ეღიარებინათ რეალური მდგომარეობა, ალიანსის წევრები სიმართლეს მალავდნენ. არადა, სიმართლე რომ ეთქვათ, შეიძლებოდა, არ დაწყებული იყო რუსეთის სპეცოპერაცია უკრაინაში**

**არ არსებობს არანაირი საფუძველი, ვთქვათ, რომ რუსები უფრო მანკიერები არიან, ვიდრე სხვა ხალხები; პირიქით, აშკარაა, რომ დასავლელ ლიდერებს, განსაკუთრებით ამერიკელ პოლიტიკოსებს, იმის გაგონება არ სურდათ, რასაც რუსეთის ბევრი წარმომადგენელი ეუბნებოდა.**

უკრაინის კრიზისი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვაშინგტონი მიისწრაფოდა, თავისი ნება მოეხვია თავს არა მხოლოდ დასავლეთ ნახევარსფეროსთვის, არამედ ისეთი ქვეყნებისთვისაც, რომლებიც ოდესღაც შედიოდნენ რუსეთის იმპერიასა და საბჭოთა კავშირში. დასავლელი მოკავშირეების განცხადებები, რომ გაკვირვებული და შოკირებული არიან მოსკოვის პროტესტით, საუკეთესო შემთხვევაში, დაუდევრობაა, ცუდ შემთხვევაში — უპატიოსნო. დასავლეთი ფიქრობდა, რომ რუსეთი ვერაფერს გააკეთებდა, მაგრამ აშშ და მისი მოკავშირეები შეცდნენ**



◀ მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე განაცხადა, რომ „ერთი სახელმწიფოს, უწინარესად, რა თქმა უნდა, შეერთებული შტატების უფლებების სისტემამ გადააბიჯა თავის ნაციონალურ საზღვრებს ყველა სფეროში“ და რომ **აშშ და მის მიერ „არაფრით შეკავებული ჰიპერტროფირებული ძალის გამოყენება მსოფლიოს თანდათან ძირავს კონფლიქტების მორევში“.**

„გამოდის, რომ ნატო თავის მოწინავე ძალებს ჩვენს სახელმწიფო საზღვრებთან განალაგებს, ჩვენ კი შეთანხმება მკაცრად უნდა შევასრულოთ და ამ ქმედებაზე რეაქცია არ გვქონდეს“, — განაგრძობდა პუტინი მიუნხენში.

**„ვფიქრობ, აშკარაა: ნატოს გაფართოების პროცესს საერთო არაფერი აქვს თვით ალიანსის მოდერნიზაციასა და ევროპის უსაფრთხოებასთან. პირიქით, ეს არის სერიოზული მაპროვოცირებელი ფაქტორი, რომელიც აქვეითებს ურთიერთნდობას და ჩვენ გვაქვს სამართლიანი უფლება გულახდილად შეგეკითხოთ: ვის წინააღმდეგ არის მიმართული ეს გაფართოება? და რა ბედი ეწია იმ დაპირებებს, რომლებსაც იძლეოდნენ დასავლელი პარტნიორები ვარშავის ხელშეკრულების დაშლის შემდეგ? სად არის ახლა ეს დაპირებები? ისინი უკვე აღარავის ახსოვს, მაგრამ მე თავს უფლებას მივცემ, შევახსენო ამ აუდიტორიას, რა იყო ნათქვამი.** მოვიყვან ციტატას ნატოს გენერალური მდივნის, ბატონ **ვერნერის** 1990 წლის 17 მაისის გამოსვლიდან ბრიუსელში. მან თქვა: „ის ფაქტი, რომ ჩვენ მზად ვართ, არ განვალაგოთ ნატოს ჯარები გფრ-ის ტერიტორიის გარეთ, საბჭოთა კავშირს აძლევს უსაფრთხოების მტკიცე გარანტიებს“. სად არის ეს გარანტიები?“ — დასძინა რუსეთის პრეზიდენტმა.

რუსეთი კვლავინდებურად გამოვიდა პროტესტით. მომდევნო 2008 წელს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ტელეგრამაში (გამოაქვეყნა Wikileaks-მა) ნათქვამი იყო: **„საქართველოსა და უკრაინის მისწრაფება, შევიდნენ ნატოში არა მხოლოდ აღიზიანებს რუსეთს, არამედ იწვევს მის სერიოზულ შეშფოთებას რეგიონში სტაბილურობის მიმართ. რუსეთი უფრთხის რეგიონში უკონტროლო მოქმედებებს, რომლებიც სერიოზულად შეეხება მისი უსაფრთხოების ინტერესებს“.**

სახელმწიფო დეპარტამენტში განაცხადეს: **„დიმიტრი ტრენინმა,** მოსკოვის კარნეგის ცენტრის დირექტორმა, შეშფოთება გამოხატა, რომ უკრაინა მისი ნატოსკენ სწრაფვის გამოწვეული შეშფოთების დონის გათვალისწინების ხანგრძლივვადიან პერსპექტივაში პოტენციურად ყველაზე მადესტაბილიზებელი ფაქტორია რუსულ-ამერიკულ ურთიერთობაში. წერილი ნატოში გაწევრების საგზაო გეგმის მოთხოვნის შესახებ „ცუდი სიურპრიზი“ იყო რუსეთის ოფიციალური პირებისთვის, რომლებიც მანამდე მიიჩნევდნენ, რომ ნატოში უკრაინის შესვლის მისწრაფებამ უკანა პლანზე გადაინაცვლა.

**პუტინის მმართველობის პერიოდში ნატოს გაფართოების 4 ტალღა იყო, მისი მმართველობისას ვაშინგტონი გავიდა რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის შეთანხმებიდან საშუალო და მცირე მოქმედების რაკეტების, აგრეთვე, ღია ცის შესახებ შეთანხმებებიდან. რუსეთისთვის უკრაინა ბოლო ზღვარია“,** — წერდა ტრენინი 2021 წლის დეკემბერში და მიუთითებდა, რომ მთავარსარდალს მხარს უჭერენ მისი უსაფრხთოების ორგანოები და სამხედრო უწყებები და, რუსი საზოგადოების შიშის მიუხედავად, ვითარების შესაძლო გამწვავების მიმართ საგარეო პოლიტიკის წინააღმდეგ არ გამოდის შიდა ოპოზიცია.

ეს ყველაფერი არ ამართლებს უკრაინაში რუსეთის ამჟამინდელ სპეცოპერაციას, მაგრამ პრობლემა ის კი არ არის, რომ მოკავშირეებმა არად ჩააგდეს აღმოსავლეთ ევროპის მოთხოვნა, რომ ვაშინგტონს უზრუნველეყო იმ სახელმწიფოების დაცვა, რომლებსაც ცოტა რამ აკავშირებდათ აშშ-ის უსაფრთხოებასთან, საქმე ის არის, რომ **აშშ და მისი მოკავშირეები რუსეთის საზღვრებამდე ნატოს გაფართოებით — სანქტ-პეტერბურგთან 160 კმ-მდე მიახლოებით, უმოწყალოდ თელავდნენ ფეხქვეშ რუსეთის უსაფრთხოების ინტერესებს. უფრო მეტიც, ვაშინგტონმა არაერთხელ წარმოაჩინა თავისი მზადყოფნა, ხელი შეეწყო რეჟიმის ცვლილებისთვის ფინანსური და დიპლომატიური, აგრეთვე, სამხედრო საშუალებებით. ვაშინგტონი მიისწრაფოდა, თავისი ნება მოეხვია თავს არა მხოლოდ დასავლეთ ნახევარსფეროსთვის, არამედ ისეთი ქვეყნებისთვისაც, რომლებიც ოდესღაც შედიოდნენ რუსეთის იმპერიასა და საბჭოთა კავშირში. დასავლელი მოკავშირეების განცხადებები, რომ გაკვირვებული და შოკირებული არიან მოსკოვის პროტესტით, საუკეთესო შემთხვევაში დაუდევრობაა, ცუდ შემთხვევაში — უპატიოსნო.** დასავლეთი ფიქრობდა, რომ რუსეთი ვერაფერს გააკეთებდა. მაგრამ აშშ და მისი მოკავშირეები შეცდნენ.

წარსული მაინცდამაინც ბევრს ვერ დაგვეხმარება აწმყოს გარკვევაში, მაგრამ ვაშინგტონელმა პოლიტიკოსებმა თავიანთ შეცდომებზე სწავლა უნდა დაიწყონ. ორი ათეული წლის განმავლობაში კატასტროფულმა ომებმა ათასობით ამერიკელისა და ასიათასობით უცხოელის სიცოცხლე შეიწირა. მათ უნდა დავუმატოთ ისინიც, ვინც უკრაინაში დაიღუპა კიდევ ერთი კრიზისის გამო, რომელიც ვაშინგტონის ქედმაღლობითა და ახლომხედველობით არის პროვოცირებული.

**iarex.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**გიორგი გაჩეჩილაძე**



# «ჩვენ აუცილებლად შევასრულებთ დასახულ გეგმებს!»

**რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი სიტყვით გამოვიდა მოსკოვში ლუჟნიკების სტადიონზე გამართულ მიტინგ-კონცერტზე, რომელიც რუსეთის შემადგენლობაში ყირიმის დაბრუნების 8 წლისთავს მიეძღვნა. რუსეთის სახელმწიფო მეთაურმა ყირიმსა და უკრაინაში დაწყებულ სპეცოპერაციაზე ისაუბრა.**

## ყირიმის შესახებ

საკუთარ მიწაზე ერთი ბედით გაერთიანებულნი — ასე ფიქრობდნენ და ამით ხელმძღვანელობდნენ ადამიანები, როცა 2014 წლის 18 მარტს ყირიმსა და სევასტოპოლში რეფერენდუმზე მიდიოდნენ. ისინი ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ თავიანთ მიწაზე და სურდათ, ეცხოვრათ ერთი ბედით თავიანთ ისტორიულ სამშობლოსთან — რუსეთთან ერთად. მათ ჰქონდათ ამის სრული უფლება და მიაღწიეს მიზანს. ყირიმელები და სევასტოპოლელები მართებულად მოიქცნენ, როცა მტკიცე ბარიერი აღუმართეს ნეონაცისტებსა და უკიდურეს ნაციონალისტებს.

მას შემდეგ რუსეთმა ბევრი რამ გააკეთა ყირიმისა და სევასტოპოლის განვითარებისთვის. გასაკეთებელი იყო ისეთი რაღაცები, რაც არ ჩანს ერთი შეხედვით. ეს არის ბუნებრივი აირით მომარაგება, ელექტრომომარაგება, ახალი გზებისა და ხიდების მშენებლობა.

## სამხედრო ოპერაციის შესახებ

**ჩვენ ვიცით, რა უნდა გავაკეთოთ სამომავლოდ, როგორ გავაკეთოთ, რის საფუძველზე. ჩვენ აუცილებლად შევასრულებთ დასახულ გეგმებს.**

ადამიანები, რომლებიც ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ დონბასში, აგრეთვე, არ შეურიგდნენ სახელმწიფო გადატრიალებას, მათ წინააღმდეგ მყისვე წამოიწყეს სადამსჯელო სამხედრო ოპერაცია და თანაც არაერთი. ისინი მაშინვე მოაქციეს ბლოკადაში, დაუშინეს ჭურვები ქვემეხებიდან, დაარტყეს ავიაციით. ეს ყველაფერი არის ის, რასაც ეწოდება გენოციდი. სპეცოპერაციის მიზანი ამ ყველაფრისგან ადამიანის დაცვაა.

ეს ყველაფერი (ერთიანობა) უნივერსალური ფასეულობაა რუსეთის ყველა ხალხისა და ყველა კონფესიის წარმომადგენლისთვის და, უპირველესად, ჩვენი ხალხისთვის. ამის მტკიცებულებაა ის, როგორ იბრძვიან ჩვენი ბიჭები ამ სამხედრო ოპერაციის მიმდინარეობისას — მხარდამხარ, ეხმარებიან ერთმანეთს და, თუ საჭიროა, ბრძოლის ველზე, როგორც ღვიძლ ძმას, სხეულით გადაეფარებიან ტყვიისგან დასაცავად.

ასეთი ერთობა ჩვენ, კარგა ხანია, არ გვქონია.

მე მახსენდება სიტყვები წმინდა წერილიდან: არ არსებობს იმაზე დიდი სიყვარული, ვიდრე მეგობრისთვის თავგანწირვაა.

ისე მოხდა, რომ ოპერაციის დაწყება დაემთხვა ჩვენი ერთ-ერთი გამოჩენილი მხედართმთავრის, თევდორე უშაკოვის, დაბადების დღეს, რომელსაც არც ერთი ბრძოლა არ წაუგია. მან თქვა: „ეს ჭექა-ქუხილი რუსეთის დიდებას მოხმარდება“. ასე იყო მაშინ, ასეა ახლა! ასე იქნება მუდამ!

**ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძე**

გუღახღილი საუბარი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დღეს ვისაც უკრაინელი ხალხის დახმარება გულწრფელად სურს, დროა, გააცნობიეროს ეს ანბანური ჭეშმარიტება, თავი დაანებოს ურაპატრიოტულ, ავანტიურისტულ მოწოდებებს უკრაინის დახმარების შესახებ (რომელიც თავისი შინაარსითაც და ფორმითაც ფაშისტური ელემენტების წაქეზებაა) და დაეხმაროს უკრაინელ ხალხს ფაშიზმისაგან გაწმენდაში. სწორედ ამას გულისხმობს რუსეთის პრეზიდენტის მოთხოვნა დენაციფიკაციის შესახებ.**

# მედლის მეორე მხარე

**თითქმის ერთი თვეა, მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება კონცენტრირებულია უკრაინაში მიმდინარე პროცესებზე. წამყვანი საინფორმაციო საშუალებების მიერ მოვლენების გაშუქებისას იმდენი დეზინფორმაცია მიეწოდება მაყურებელსა თუ მკითხველს, რომ მხოლოდ ძალიან დაკვირვებული, ობიექტური და მიუკერძოებელი ადამიანი თუ შეძლებს მოვლენების გაანალიზებასა და სწორი დასკვნების გაკეთებას.**



მაინც რა ხდება? უწინარესად, აღვნიშნავ, რომ უკრაინის კონფლიქტი ერთი რიგითი, მაგრამ მეტად მნიშვნელოვანი რგოლია მოვლენების იმ ჯაჭვში, რომლის განხორციელებასაც ანგლოსაქსი იმპერიალისტები ასწლეულების განმავლობაში აწარმოებენ რუსეთის უკიდეგანო სივრცისა და იქ არსებული სიმდიდრის ხელში ჩასაგდებად. უახლესი ისტორიიდან ვიცით, რომ დიდი სამამულო ომის დამთავრებისთანავე (რომელიც ასევე რუსი ერის გასანადგურებლად იყო მათ მიერ ინსპირირებული) კოლექტიურმა დასავლეთმა ყველაფერი გააკეთა საბჭოთა კავშირის დასაშლელად. მათ არც არასოდეს დაუმალავთ, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მსოფლიო ჰეგემონის გზაზე მათთვის მთავარი წინააღმდეგობა არის მართლმადიდებელი სამყარო. **მეოცე საუკუნის დასასრულიდან მათ უკვე შეძლეს რამდენიმე სისხლიანი ავანტიურის მოწყობა: იუგოსლავიის სააღდგომო დაბომბვა და დაშლა, საქართველო-რუსეთის ავანტიურისტული, პროვოკაციული ომი, ომი სირიაში და ბოლოს უკრაინის მოვლენები, რომლებიც თავისი მნიშვნელობით გაცილებით აღემატება აღნიშნულთ. სლავური ეთნოსის დაპირისპირება და მართლმადიდებელი სამყაროს გახლეჩვა ნებისმიერი მართლმადიდებელი ადამიანისთვის დიდი ტრაგედიაა, ამიტომ ემოციებს აყოლილი მოქმედება ჩვენთვის დაუშვებელია.**

მე სხვაზე ბევრად მეტი მიზეზი მაქვს, რომ უკრაინელი ხალხის პრობლემები გავიზიარო და თანაგრძნობა გამოვუცხადო. გავიხსენოთ რუსეთის პრეზიდენტის მიერ სამხედრო ოპერაციის დაწყებამდე ნათქვამი ძირითადი მოთხოვნები: **უკრაინის ხელისუფლების მხრიდან მინსკის შეთანხმებების შესრულება, რომელიც გახდებოდა დონეცკისა და ლუგანსკის ოლქებში ცეცხლის შეწყვეტის საფუძველი; ნატოს ეგიდით შემოსული სამხედრო ინფრასტრუქტურის ქვეყნიდან გატანა და უკრაინის დენაციფიკაცია.**

უკრაინაში **ბანდერასა** და **პეტლიურას** ეროვნულ გმირებად გამოცხადება. მათი მხარდამჭერების მიერ ქალაქების ცენტრალურ ქუჩებში სვასტიკური სამკლაურებითა და შეძახილებით მარშირება სხვა არაფერია თუ არა ფაშიზმის აღორძინება. **ფაშიზმი ფაშიზმია, არ აქვს მნიშვნელობა იტალიური იქნება იგი, ქართული, რუსული, უკრაინული თუ გერმანული. მსოფლიოს საზოგადოებრიობამ ერთმნიშვნელოვნად თქვა მასზე უარი, იგი მიუღებელია ნებისმიერი პროგრესულად მოაზროვნე ადამიანისთვის, აკრძალულია ყველა საერთაშორისო ნორმით და ჩანასახშივე უნდა იქნეს ლიკვიდირებული, რომელ ქვეყანაშიც უნდა იჩინოს თავი.** დღეს ვისაც უკრაინელი ხალხის დახმარება გულწრფელად სურს, დროა, გააცნობიეროს ეს ანბანური ჭეშმარიტება, თავი დაანებოს ურაპატრიოტულ, ავანტიურისტულ მოწოდებებს უკრაინის დახმარების შესახებ (რომელიც თავისი შინაარსითაც და ფორმითაც ფაშისტური ელემენტების წაქეზებაა) და დაეხმაროს უკრაინელ ხალხს ფაშიზმისაგან გაწმენდაში. სწორედ ამას გულისხმობს რუსეთის პრეზიდენტის მოთხოვნა დენაციფიკაციის შესახებ.

მინდა, ჩვენი, უკრაინის „მეგობრებისა“ და „სტრატეგიულ პარტნიორების“ რამდენიმე ქმედებაზე გავამახვილო ყურადღება, რომლებიდანაც კარგად ჩანს მათი სახე და მიზნები.

*** ბოლო 8 წლის განმავლობაში ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ დონბასსა და ლუგანსკში შეენარჩუნებინათ ცხელი წერტილები (ოფიციალური მონაცემებით, ამ ხნის განმავლობაში დაიღუპა 14 000-ზე მეტი მშვიდობიანი ადამიანი); გაავსეს უკრაინა იარაღით, რუსეთის საზღვრების გასწვრივ განალაგეს დიდძალი შეიარაღება, გაშალეს საინფორმაციო კამპანია რუსეთის უპირობო აგრესიის თაობაზე. დეკლარირებულად დემოკრატიული გარდაქმნების ფონზე ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ და აქეზებდნენ მოფაშისტო სუბიექტების ხელისუფლებაში მოსვლას და ხალხს უახლოეს პერიოდში უკრაინის ნატოს ქოლგის ქვეშ დაცულ ევროკავშირის შემადგენლობაში მყოფ სახელმწიფო-ოაზისად ქცევას ჰპირდებოდნენ.** როდესაც თავიანთი ქცევით ყველა წითელი ხაზი გადაკვეთეს, რუსეთის ფედერაცია იძულებული შეიქნა, წარმოქმნილი პრობლემების სალიკვიდაციოდ ჩაეტარებინა სპეციალური სამხედრო ოპერაცია. დასავლეთში მყისვე დაივიწყეს დაპირებები და მტკიცე უარი განუცხადეს უკრაინის როგორც ნატოში, ასევე ევროკავშირში გაწევრებაზე. სამაგიეროდ, გულმოდგინედ ასრულებენ პირობას იარაღითა და საბრძოლო მასალებით მომარაგების შესახებ.

დავსვათ კითხვა — **ვისი მეგობარი და კეთილისმსურველია კოლექტიური დასავლეთი, რომელმაც ჩაითრია რა ძმათამკვლელ ომში სლავურ ფესვებზე აღმოცენებული ორი მოძმე მართლმადიდებელი ერი, ერთს იარაღით ამარაგებს, ხოლო მეორეს (რომელსაც ძირითად მტრად განიხილავს) სანქციებს უწესებს ეკონომიკური განადგურების მიზნით?**

* რუსეთის მიმართ დაწესებულმა სანქციების რაოდენობამ უკვე 5500-ს გადააჭარბა. ეს მოსალოდნელი იყო და ამაში უჩვეულო და საგანგაშო არაფერია. პირიქით — სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და სწორი დაგეგმვის შემთხვევაში იგი შეიძლება დიდი ეკონომიკური ნახტომის წინაპირობაც გახდეს. მართალი გითხრათ, დასავლეთის ცივილიზებულობასა და საოცნებო დემოკრატიაზე მაღალი წარმოდგენა არასდროს მქონია, მაგრამ სანქციების თანმდევმა პარალელურმა მოვლენებმა ნამდვილად არასასიამოვნოდ გამაოცა. **დასავლეთში ყოველთვის აქსიომად იყო მიჩნეული, რომ სპორტი, მედიცინა და ხელოვნება თავისუფალი უნდა იყოს პოლიტიკისგან. მაშინ რას ნიშნავს, რომ რუსეთის სპორტულ დელეგაციებს არ უშვებენ არც ერთ საერთაშორისო დონის ღონისძიებაზე, ხოლო, თუ უშვებენ, სახელმწიფო დროშისა და ჰიმნის გარეშე? რუსეთში შექმნილ კოვიდ-19-ის საწინააღმდეგო ვაქცინას არ ცნობს ჯანმო. ჩაიკოვსკის ნაწარმოებების შესრულება იკრძალება ევროპის საკონცერტო დარბაზებში.** უფრო მეტიც, „ცივილიზებულ“ დასავლეთში, სადაც უკვე ადამიანის სქესის მიხედვით მოხსენიება დისკრიმინაციად ითვლება, ისმის მოწოდებები, რომ არამარტო რუსეთის მოქალაქეებს ჩამოერთვას ყოველგვარი უფლებები და თითქმის კანონგარეშე გამოცხადდნენ, არამედ სხვა ქვეყანაში მცხოვრები და იმ ქვეყნის მოქალაქე ეროვნებით რუსებთანაც კი ყოველგვარი კომუნიკაცია გაწყვიტეს და მაქსიმალურ დისკომფორტს უქმნიან. მე დემოკრატიაზე განსხვავებული ხედვა მაქვს და მის მტრად ვერ გამოვდგები. **მინდა, ვკითხო ჩვენს ძალიან დემოკრატებს: 21-ე საუკუნეში ადამიანის ეროვნული ნიშნით დისკრიმინაცია როგორი და რომელი დემოკრატიის ჩარჩოებში ჯდება? სად გაქრა პიროვნების თავისუფლება და ადამიანის უფლებები, თუ რუსი ეროვნების ადამიანს ადამიანად არ თვლით?**

უკრაინაში განვითარებული მოვლენები, რა სახელიც უნდა ჰქონდეს მას, ორ ერთმორწმუნე, ახლო ნათესავ ერს შორის მიმდინარე სრულმასშტაბიანი ომია. საქართველოსა და ქართველების უპირველესი საზრუნავი და საფიქრალი უნდა იყოს ის, რომ, ფაქტობრივად, დეტალურად და, რაც მთავარია, ობიექტურად გააანალიზონ, თუ რა წინმსწრებმა მოვლენებმა შექმნეს საომარი მოქმედების დაწყების პირობა.

მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც, რომ ისტორიულად საქართველო ყოველთვის იყო ორიენტირებული მართლმადიდებელი სამყაროს ცენტრზე. ამ ცენტრის სიმყარე დიდწილად განაპირობებდა საქართველოში და მის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებს. ნუ დაგვავიწყდება, რომ დღეს მართლმადიდებელი სამყაროს ბურჯი მოსკოვია და კარგად დავფიქრდეთ, სანამ მისი მისამართით მუქარასა და ლანძღვას წარმოვთქვამთ.

დიდია საშიშროება, მართლმადიდებელი სამყაროს გათიშვა-დასუსტების მოსურნეებმა ყოველმხრივ სცადონ, საქართველოში რუსეთისთვის მეორე ცხელი წერტილი შექმნან. ამისათვის მათ საკმაო რესურსი აქვთ „ნაციონალური მოძრაობის“, მისი სატელიტებისა და საინფორმაციო საშუალებების მიერ დეზინფორმირებული რიგითი მოქალაქეების სახით. აღნიშნულ საფრთხეზე ამ გაზეთის ფურცლებიდან ხელისუფლებას დეტალური ინფორმაცია მიაწოდა და პრევენციული ზომების გატარებისკენ მოუწოდა ბატონმა **გულბაათ რცხილაძემ.** იმედი მაქვს, ხელისუფლება ამ გაფრთხილებას გაითვალისწინებს.

როგორც ვიცი, მოკლე ხანში საქართველოში დაგეგმილია ნატოს წვრთნების ჩატარება. ვფიქრობ, დღევანდელ ვითარებაში ხელისუფლებამ ეს არ უნდა დაუშვას, რადგან, დიდი ალბათობით, ჩვენთვის იგი საბედისწერო იქნება.

აქვე, ალბათ, დროა, ჭაბუას მოწოდება გავიხსენოთ: „ჭკუით, ქართველებო!“

**ტარიელ სუხიაშვილი**

**დავსვათ კითხვა — ვისი მეგობარი და კეთილისმსურველია კოლექტიური დასავლეთი, რომელმაც ჩაითრია რა ძმათამკვლელ ომში სლავურ ფესვებზე აღმოცენებული ორი მოძმე მართლმადიდებელი ერი, ერთს იარაღით ამარაგებს, ხოლო მეორეს (რომელსაც ძირითად მტრად განიხილავს) სანქციებს უწესებს ეკონომიკური განადგურების მიზნით?**

**ბოლო 8 წლის განმავლობაში ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ დონბასსა და ლუგანსკში შეენარჩუნებინათ ცხელი წერტილები (ოფიციალური მონაცემებით, ამ ხნის განმავლობაში დაიღუპა 14 000-ზე მეტი მშვიდობიანი ადამიანი). გაავსეს უკრაინა იარაღით, რუსეთის საზღვრების გასწვრივ განალაგეს დიდძალი შეიარაღება, გაშალეს საინფორმაციო კამპანია რუსეთის უპირობო აგრესიის თაობაზე; დეკლარირებულად დემოკრატიული გარდაქმნების ფონზე ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ და აქეზებდნენ მოფაშისტო სუბიექტების ხელისუფლებაში მოსვლას**

**ოლიგარქები კაცობრიობის მტრად რომ გამოაცხადა დასავლეთმა და კანონის უზენაესობა მოჰყავს მაგალითად, ყველა ისჯება, ვინც რუსეთთან კავშირშია, ვისაც ისე აქვს ფული ნაშოვნი, კრიმინალის სუნი რომ უდისო, რატომ არ იყენებს ანალოგიურ მიდგომას საქართველოდან გაქცეული ყოფილი მაღალჩინოსნების მიმართ? აგერ, ახლახან ზელენსკიმ უკრაინის კონტრდაზვერვის უფროსად გია ლორთქიფანიძე დანიშნა, კაცი, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ იძებნება, რომელზეც არაერთი სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.**

ორმაგი სტანდარტი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ევროპულ ფეხებზე დაკიდებული ქართული კანონი

**უკრაინასა და რუსეთს შორის დაწყებული შეიარაღებული დაპირისპირების შემდეგ დასავლეთი რუსეთს სანქციებს სანქციებზე უწესებს. საგულისხმოა, რომ ეს სანქციები არა მხოლოდ ქვეყანასა და პოლიტიკოსებს შეეხო, არამედ იმ ბიზნესმენებსაც, რომლებიც საზღვარგარეთ მოღვაწეობენ; იმ ადამიანებს, რომლებიც რუს ოლიგარქებად მონათლეს, გაუყინეს აქტივები, წაართვეს პირადი საკუთრება — სახლები, მანქანები, იახტები, ბიზნესი... და ეს მაშინ, როცა, წესითა და რიგით, კერძო საკუთრება ყველგან დაცულია და, საზოგადოდ, კერძო საკუთრება ხელშეუხებელია.**

ამ სანქციებს დასავლელი ლიდერები იმით ხსნიან, რომ თურმე ეს ადამიანები რუსეთის ხელისუფლებას ეხმარებიან, ანუ, **თუ ამერიკელი ეხმარება ამერიკას, პატრიოტიზმია; თუ ინგლისელი ეხმარება ინგლისს, ძალიან კარგია, ეროვნული გმირია; თუ უკრაინელი მილიარდერები ფულს სწირავენ უკრაინას, ჯილდოები უნდა მისცენ; ხოლო, თუ რუსი ეხმარება რუსეთს... კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულია და უნდა დაისაჯოს. ე.ი., რუსს სამშობლოს დახმარების უფლებაც არ აქვს, უფლება არ აქვს, ქვეყნის ერთგული იყოს და, თუ ქვეყანას ულალატებს, მაშინ გმირია.** მე თუ რუსი ვარ, უფლება არ მაქვს, ჩემს ქვეყანას საომარი მოქმედების დროს მხარში ამოვუდგე. **შეიძლება არ მომწონდეს ჩემი ქვეყნის ხელისუფლება, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, რომ არ მიყვარს ქვეყანა, მსურს, დავეხმარო ჩემს სამშობლოს და ამის უფლებას მართმევენ. და ის იახტა და სახლი რომ ჩემი ფულით ვიყიდე, რატომ მართმევ, ვინ მოგცა უფლება?**

**რომან აბრამოვიჩის** მაგალითი ვთქვათ — 2 მილიარდ გირვანქა სტერლინგზე მეტი დაახარჯა ლონდონის საფეხბურთო კლუბ „ჩელსის“ და ახლა აქტივები გაუყინეს, აქაოდა, რუსეთს ეხმარებიო. რა შუაშია „ჩელსი“? საფეხბურთო კლუბი, რომელიც ჩემპიონთა ლიგის შარშანდელი გათამაშების გამარჯვებულია და წელს მერვედფინალში გავიდა, შეიძლება, უბრალოდ, დაიშალოს. რადგან აბრამოვიჩს მისი გასხვისების, ანუ გადარჩენის უფლებაც კი წაართვეს. **დასავლეთმა ოლიგარქები კაცობრიობის მტრად რომ გამოაცხადა და კანონის უზენაესობა მოჰყავს მაგალითად, ყველა ისჯება, ვინც რუსეთთან კავშირშია, ვისაც ისე აქვს ფული ნაშოვნი, კრიმინალის სუნი რომ უდისო, რატომ არ იყენებს ანალოგიურ მიდგომას საქართველოდან გაქცეული ყოფილი მაღალჩინოსნების მიმართ?** აგერ, ახლახან ვლადიმერ ზელენსკიმ უკრაინის კონტრდაზვერვის უფროსად **გია ლორთქიფანიძე** დანიშნა, კაცი, რომელიც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ იძებნება, რომელზეც არაერთი სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, და ეს კაცი დანიშნეს ერთ-ერთ საკვანძო თანამდებობაზე. ან **ზურაბ ადეიშვილს,** რომელსაც ოფიციალურად საქართველოს სასამართლოს მიერ მისჯილი აქვს, რატომ აძლევენ უფლებას, მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო მოლაპარაკებებში და უკრაინის გენერალური პროკურორის მრჩეველი იყოს, რატომ? ქართული სასამართლო ხომ დასავლურ თარგზე მოჭრა **სააკაშვილმა** და ეს სასამართლო 99,98%-ით გამამტყუნებელ განაჩენებს რომ აცხობდა, ხომ არ იღებდა ხმას დასავლეთი?! ახლა რა მოხდა? **ახლაც ხომ იგივე მოსამართლეები არიან და მათ გამოაქვთ გადაწყვეტილებები სააკაშვილისთვის, ადეიშვილისთვის, ლორთქიფანიძისთვის... თუ ახლა ეს ხალხი დასავლეთს სხვა გეგმებისთვის სჭირდება და ქართული კანონის უზენაესობა ევროპულ ფეხზე ჰკიდია?!**

საქილიკო გახდა გასულ კვირას „ლუჟნიკებზე“ გამართული შეხვედრა, სადაც 200 ათასი ადამიანი შეიკრიბა და ქვეყნის პრეზიდენტსა და ქვეყანას მხარდაჭერა გამოუცხადა. განსაკუთრებით ქართველი ოპოზიციონერების ქილიკმა გამაოცა, რომლებიც ბოლო ხმაზე გაჰკიოდნენ, რა ეზეიმებათ, უკრაინაში მათი ჯარისკაცები იხოცებიანო. და 2008 წელს რა გეზეიმებოდათ, როცა ცხინვალში ომი იყო და ქართველი ჯარისკაცები იხოცებოდნენ? რა გემღერებოდათ და გეცეკვებოდათ მაშინ და რატომ ბღაოდნენ ოპოზიციის დღევანდელი ლიდერები მაშინ „სარკო, სარკოს“?! **ალექსეი გონჩარენკო** თუ გახსოვთ, რადას დეპუტატი, რომელმაც სოციალურ ქსელში არცთუ დიდი ხნის წინათ შემდეგი შინაარსის წერილი გაავრცელა: **„ძვირფასო, ქართველებო, გარეთ მშვენიერი ამინდია, იქნებ გაისეირნოთ ცხინვალსა და სოხუმში? შეგიძლიათ გაიყოლოთ რამდენიმე ჯავშანტრანსპორტიორი, ტანკი. მიდით, გამოგადგებათ. დამპყრობლის მთელი არმია მიიჩქარის უკრაინისკენ, რათა სწრაფად დაასრულოს თავისი მიწიერი მოგზაურობა აქ. პუტინი სხვა ქვეყნებს კბენს, მაგრამ ეს მხოლოდ სიტყვებია. პატარა პრეზიდენტს ხელებიც მოკლე აქვს; ფინეთმა გამოხატა ნატოში გაწევრების სურვილი, კრემლი კი მხოლოდ განცხადებებით აშინებს. ქართველებო, დაიბრუნეთ, რაც გეკუთვნით. რუსეთმა წაგართვათ მიწები, მაგრამ მხოლოდ ცოტა ხნით. ძალადობით მიტაცებული ნაქურდალი დიდხანს ვერ გაძლებს. მიდი, საქართველო, დროა“.**

**პროვოკატორი ალექსეი გონჩარენკო ლამის ეროვნულ გმირად გამოაცხადა ოპოზიციამ. პრეზიდენტ-ყოფილმა გიორგი მარგველაშვილმა მოგვიწოდა, რაც შეიძლება მეტი იარაღი შევიძინოთო და... თქვენ თუ იცით, ოლგა გონჩარენკო ვინ არის? ვინ და ბატონ ალექსეი გონჩარენკოს ცოლი, რომელმაც შარშან დევნილის სტატუსი და, შესაბამისად, თავშესაფარი მიიღო... რუსეთის ფედერაციაში. ჰო, სწორედ ალექსეი გონჩარენკოს ცოლმა გააკეთა ეს და ახლა რადას დეპუტატს, ჩვენ რომ ასე გვაგულიანებს, თავი ქუდში აქვს — გაიმარჯვებს რუსეთი და ცოლს თავშესაფარი აქვს, შესაბამისად, ქმარიც მარტივად შეაფარებს თავს რუსეთს; გაიმარჯვებს უკრაინა და ის ხომ რადას დეპუტატია? ამის შესახებ დასავლეთი ხმას არ იღებს და ზელენსკიც ისე იქცევა, ვითომ არაფერი იცის.**



ოლგა გონჩარენკოს რუსული პასპორტი

ყველაფერთან ერთად, ზელენსკიმ რამდენიმე პოლიტიკური გაერთიანება ჩამოთვალა, მათ შორის „ოპოზიციური პლატფორმა — სიცოცხლისთვის“, რომელიც უკრაინის ერთ-ერთი უმსხვილესი საპარლამენტო პარტიაა. ამ და კიდევ ათ პოლიტიკურ პარტიას, ზელენსკის ბრძანებით, საქმიანობა შეეზღუდა, მათ ნაწილს რუსეთთან თანამშრომლობა ედება ბრალად. ნეტავ, **ის თუ იცის ყოფილმა „ხუმარამ“ (ისე, ყოფილიც ბრჭყალებში რომ ჩაგვესვა, ურიგო არ იქნებოდა), რომ საქართველოში მოსახლეობის დიდი ნაწილი „ნაციონალური მოძრაობის“ აკრძალვას ითხოვს, იმ პარტიის, რომლის წევრებიც უმაღლეს თანამდებობებზე ჰყავს უკრაინაში და მათ ქვეყნის მოსახლეობის გენოციდში, ერის გაწყვეტა-გადაგვარებაში ედება ბრალი? უბედურება ის არის, რომ ამას „ნაციონალური მოძრაობა“ დასავლეთთან შეთანხმებით აკეთებდა და ამიტომ ზელენსკისაც მწვანე შუქი აქვს ანთებული ნაცმოს ლიდერებზე.**

**ის თუ იცის ყოფილმა «ხუმარამ» (ისე, ყოფილიც ბრჭყალებში რომ ჩაგვესვა, ურიგო არ იქნებოდა), რომ საქართველოში მოსახლეობის დიდი ნაწილი «ნაციონალური მოძრაობის» აკრძალვას ითხოვს, იმ პარტიის, რომლის წევრებიც უმაღლეს თანამდებობებზე ჰყავს უკრაინაში და მათ ქვეყნის მოსახლეობის გენოციდში, ერის გაწყვეტა-გადაგვარებაში ედებათ ბრალი? უბედურება ის არის, რომ ამას «ნაციონალური მოძრაობა» დასავლეთთან შეთანხმებით აკეთებდა და ამიტომ ზელენსკისაც მწვანე შუქი აქვს ანთებული ნაცმოს ლიდერებზე**

მაინც გვგონია, რომ ლორთქიფანიძის დანიშვნით დასავლეთი ზელენსკის ხელით სამაგიეროს გვიხდის იმისთვის, რომ არ დავუჯერეთ მას, არც გონჩარენკოს, არც სხვებს და არ ჩავერთეთ იმ ისტერიკაში, რომელმაც ახლა მსოფლიო მოიცვა. საბედნიეროდ, საქართველოს ხელისუფლებას ეყო გონიერება და არ შევუერთდით იმ სანქციებს, რომლებიც ჩვენთვის კატასტროფული შედეგის მომტანი იქნებოდა; არ ავიღეთ იარაღი და არ გავხსენით კავკასიაში მეორე და მესამე ფრონტი; არ მივეცით დასავლეთს კიდევ ერთხელ შეშფოთება-აღშფოთების საბაბი. ეს არის ის, რამაც ზელენსკი და მისი პატრონები გაამწარა და, სანამ ლორთქიფანძეს დანიშნავდა, ელჩი გაიწვია, ელჩი, რომელსაც საქართველო არ დაუტოვებია, აქ ცხოვრობს, უბრალოდ, სამსახურში არ დადის და მის მოვალეობას სხვა ასრულებს. და **არ დაგვავიწყდეს, რომ ზელენსკიმ ელჩი ბელარუსიდან არ გაიწვია...**

უკრაინის პრეზიდენტი დასავლეთის დაკრულზე რომ ცეკვავს, იქიდანაც გამოჩნდა, რომ ის მესამე მსოფლიო ომს პროგნოზირებს, ოღონდ ამ ყველაფერს მას შემდეგ ხედავს, რაც მისი და ვლადიმირ პუტინის შეხვედრა გაიმართება.

**„ვფიქრობ, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ნებისმიერი ფორმატი, ნებისმიერი შანსი, რათა გვქონდეს მოლაპარაკების, პუტინთან საუბრის შესაძლებლობა. მაგრამ, თუ ეს მცდელობები წარუმატებლად დასრულდება, ნიშნავს, რომ ეს არის მესამე მსოფლიო ომი“,** — განაცხადა ზელენსკიმ. სწორედ ეს არის წინასწარ გამოცხადებული ომის ქრონიკა, რადგან **უკრაინის პრეზიდენტს მარტივად შეუძლია მოლაპარაკებებისას თქვას ისეთი რამ, რაზეც მისი რუსი კოლეგა არ დათანხმდება და გამოვა, რომ მოლაპარაკებები ჩაიშალა. რაღა თქმა უნდა, ეს ყველაფერი შემდეგ რუსულ მხარეს დაბრალდება და მესამე მსოფლიო ომის დაწყებაც რუსეთს მიეწერება. სწორედ ეს გვგონია დასავლური სცენარის მთავარი აკორდი. რეალურია თუ არა ჩვენი ვარაუდი, მალე გამოჩნდება.** მით უმეტეს, იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთი საჯაროდ აცხადებს, რა სურს კონკრეტულად და, თუ ამ პირობებზე უკრაინა თანახმა არ არის, მაშინ შეხვედრაც არ უნდა შედგეს.

დასასრულ, 2012 წლიდან **ოპოზიცია ამტკიცებს: ბიძინა ივანიშვილი რუსი ოლიგარქია, მისი აქტივები რუსეთში კვლავ განუსაზღვრელია და დასავლეთში არსებული ბიზნესიც რუსეთში ნაშოვნი ფულით აქვს გაკეთებული, მთელი ცივილიზებული სამყაროსთვის ის რუს ოლიგარქად დარჩებაო. თუ ასეა, ბატონებო, რატომ არ უწესებს დასავლეთი ივანიშვილს სანქციებს? თუ, როცა გჭირდებათ, რუსი ოლიგარქია და როცა გჭირდებათ — არა?!** ორმაგი სტანდარტებით რომ ვცხოვრობთ, იმიტომ გვაქვს საქმე კარგად, თორემ გაბზარულს გატეხილი რომ ჯობია ყოველთვის, რუსეთმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა და მსოფლიოს დასავლეთის ნამდვილი სახე დაანახვა.

**ბესო ბარბაქაძე**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**1945 წლის 24 ივნისს სტალინი, როდესაც გამარჯვების აღლუმს ატარებდა, მავზოლეუმის ტრიბუნაზე იდგა და შორეულ სივრცეებს უმზერდა. ის სადღაც შორს, დასავლეთში შეჰყურებდა ჰიტლერის ნაძირლებთან ომის ხანძარს, რომელიც თითქმის 1946 წლის ბოლომდე გრძელდებოდა. და ფერფლიდან ორჯერ აღდგენილი უკრაინა სტალინის პირველი საზრუნავი სამშენებლო პოლიგონი გახდა, რომელმაც 6 წლის განმავლობაში არნახულ წარმატებებს მიაღწია.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №4-5, 2022 წ.

# სტალინი და რუსეთ-უკრაინის ომის ექო

**„სტალინი მსოფლიო გეოპოლიტიკის მონსტრია, მან რუსეთი XX საუკუნეში ზესახელმწიფოდ აქცია ისე, როგორც რიშელიემ — საფრანგეთი XVII საუკუნეში“.**

**ჰენრი კისინჯერი**

**„სტალინური სახელმწიფო სტალინის ღირსეული მემკვიდრის გარეშე განწირულია“.**

**შარლ დე გოლი**



1941 წლის 7 ნოემბერი . წითელი მოედანი

**სტალინის შემოქმედებას როდესაც ვეცნობით, უამრავ დიალოგს, სცენასა და სატელეფონო საუბარს წავაწყდებით ხოლმე და რთული გამოსარჩევია, რომელია მთავარი და რომელი — მეორეხარისხოვანი. სტალინის ყოველი სიტყვა ფოლადის ყალიბშია ჩამოსხმული და ფოლადისვე სიმტკიცე აქვს. მაგალითისთვის მომყავს მისი საუბარი სარდლებთან:**

სტალინგრადი. 1942 წლის 27 ნოემბერი. აპარატ „ბოდოსთან“ სტალინი დგას და ესაუბრება სტალინგრადში მყოფ გენერალური შტაბის უფროს **ალექსანდრე ვასილევსკისა** და გენერალ **ნიკოლოზ ვატუტინს:**

**სტალინი:** — არ დაგიმთავრებიათ ერთი საქმე და იწყებთ მეორეს. მტერი ალყაშია მოქცეული, რისთვისაც დაკავებული გყავთ სამი არმია, რას უყურებთ, რატომ არ გამოათავისუფლებთ სამ არმიას, რომლებმაც უნდა იბრძოლონ და არა იყარაულონ? დაუყოვნებლივ შეასრულეთ ჩემი ბრძანება: საჭიროა, ლიაპიჩევოსთან შექმნათ ოპერატიული პუნქტი 10-15 კაცის შემადგენლობით, რომელიც გააკონტროლებს ბლოკირებული შენაერთების იზოლაციას. რაც შეიძლება მეტად შეავიწროვეთ რკალი. მიხაილოვმა (ჟუკოვმა — გრ.ო.) მხოლოდ და მხოლოდ ამ მიმართულებით იმუშაოს და თავი დაანებოს გეგმა „სატურნს“; რაც შეეხება „სატურნს“, ის განახორციელოს ვატუტინმა და **კუზნეცოვმა.** მოსკოვი მათ აუცილებლად დაეხმარება. მეორე — გაკვირვებული ვარ, საიდან აიღო **ლელიუშენკომ** 8 საბრძოლო დივიზია, რა გამოთქმაა და რა მიმართვაა: „ლელიუშენკოს მარჯვენა და ლელიუშენკოს მარცხენა ფრთა“, როდესაც ლელიუშენკოს ჰყავს ერთი პირველი გვარდიული არმია?

**ვასილევსკი:** — კარგად მესმის, რომ სტალინგრადის დაჯგუფების განადგურება ჩვენი ძირითადი ამოცანაა, მაგრამ ამხანაგმა **ბერიამ** თქვენი სახელით გამოგვიცხადა, რომ „სატურნს“ განაგებს თვითონ. მე მზად ვარ, თქვენი ბრძანების შესასრულებლად.

**სტალინი:** — როგორია თქვენი სხვა გეგმები? სად ფიქრობთ „დონცოვისა“ და „ივანოვის“ ოპერპუნქტების განლაგებას, სად იქნება „ვორონოვი“: თქვენთან თუ დაუბრუნდება „სატურნის“ რაიონს?

**ვასილევსკი:** — აუცილებელია, მოგახსენოთ შექმნილი მდგომარეობა მიმდინარე მომენტისთვის.

ვასილევსკიმ მთავარსარდალს გააცნო მოქმედების გეგმა, მაგრამ სტალინმა მოკლე და კონკრეტული დავალება მისცა.

**სტალინი:** — მექანიზებული კორპუსის გამოყენების ყველა უფლება დაუტოვეთ ვატუტინს მისი თვალსაზრისის მიხედვით.

**ვასილევსკი:** — ამხანაგო სტალინ, „ვორონოვი“ მთხოვს, წამოვიდეს 2 დღით ლელიუშენკოსთან ერთად, რათა შეთანხმებულად და უფრო სწრაფად შეადგინონ „სატურნის“ გეგმა.

**სტალინი:** — სად არის დონცოვის (როკოსოვსკის — გრ.ო.) სამეთაურო პუნქტი?

**ვასილევსკი:** — 24-ე არმიის მონაკვეთში.

**სტალინი:** — კარგი. გაიყოლოს რამდენიმე სპეციალისტი და „დონცოვსა“ და „ივანოვთან“ ერთად სასწრაფოდ გადაწყვიტონ ეს საკითხი. ლელიუშენკოს დიდხანს ნუ მოაცდენთ, მან სასწრაფოდ მიაბრუნოს არმია ჩრდილოეთისკენ. მაინტერესებს, ვინ უხელმძღვანელებს პირველ გვარდიულ არმიას?

**ვასილევსკი:** — ნება დამრთეთ, ჩემს თავზე ავიღო ეს.

**სტალინი:** — მე გეკითხებით, ვინ იქნება პირველი გვარდიული არმიის სარდალი მარჯვენა ფლანგზე — ლელიუშენკო, კუზნეცოვი თუ სხვა ვინმე?

**ვასილევსკი:** — გთხოვთ, ნება დამრთოთ, მოვალეობა დავაკისრო კუზნეცოვს ვატუტინის უშუალო პასუხისმგებლობით.

ვასილევსკის პასუხიდან სტალინმა ვერაფერი რომ ვერ გაიგო, ბოლოს იკითხა: — სად იქნება პირველი გვარდიული არმიის შტაბი — ლელიუშენკოსთან თუ კუზნეცოვთან?

ვასილევსკიმ კვლავ დაბნეულად აუხსნა გვარდიის განლაგებისა და შტაბის ადგილმდებარეობის კოორდინატები, შემდეგ კი დაბნეულობის გამოსწორება იმით სცადა, რომ სტალინს სთხოვა, მისთვის სასწრაფოდ გაეგზავნა 8 საუკეთესო შტაბისტი, კავშირგაბმულობისა და ზურგის მომარაგების სპეციალისტები. ნერვებმოშლილმა სტალინმა ვეღარ შეინარჩუნა წონასწორობა და ვასილევსკის თითქმის ყვირილით ჰკითხა:

— ბოლოს და ბოლოს, მითხარით, ვინ იქნება მარჯვენა დაჯგუფების სარდალი — კუზნეცოვი თუ ლელიუშენკო და სად იქნება მათი ადგილსამყოფელი?

ვასილევსკის აბდაუბდა საუბრიდან სტალინმა კვლავ რომ ვერაფერი გაარკვია, თვითონ დაიწყო ვითარების მოგვარება.

— ამხანაგო ვასილევსკი, ლელიუშენკო უკვე სარდლობს ფრონტს გერმანელების წინააღმდეგ, მას თავი დაანებე, უკეთესი იქნება, თუ დარჩება თავის ადგილზე მარცხენა დაჯგუფებაში. კუზნეცოვი კი გადაიყვანე მარჯვენა დაჯგუფებაში. კუზნეცოვი ამით კიდევ უფრო პროდუქტიული იქნება „სატურნის“ მომზადებაში.

**დღეს კვლავ ცეცხლის ალშია გახვეული უკრაინა. ინვის დედამიწის 1/6-ის ინდუსტრიის ცენტრი და ბომბები აცვივა ევროპის პურის ბეღელს. ვინ არის ის ეშმაკის თესლით ნაშობი, ვინც შუა ევროპაში ძმათა შორის სისხლისღვრა გააჩაღა?! ვინ არის, ვისაც სურს, დაასუსტოს სლავი ხალხი და შემდეგ თვითონ ჩაიგდოს ხელში სლავების სისხლით მორწყული დოვლათიანი მიწა? ვის სურს ჩვენს სათაყვანებელ ხალხზე ბატონობა და ჩვენი სისხლით მორწყული მიწის მიტაცება? — მას, ვინც ევროპის შუაგულში აყვავებული იუგოსლავია დაანგრია; ვინც მოსპო შუამდინარეთის ცივილიზაციის ნაშთები; ვინც სისხლში ჩაახშო ლიბანი და ალბანეთი; ვინც ვერ გადაყლაპა სირია და დღეს სურს, გადაყლაპოს ევროპის უდიდესი ქვეყანა — უკრაინა**

**ვასილევსკი და ვატუტინი:** — ასეც მოვიქცევით, ამხანაგო სტალინ.

სტალინმა ვასილევსკის უთხრა:

— ჩაიწერეთ: **პირველი** — თქვენი დავალებაა, გააერთიანოთ „დონცოვისა“ და „ივანოვის“ ძალები და ერთად გაანადგუროთ მოწინააღმდეგე. გთხოვთ, ნუ მიედ-მოედებით სხვა საქმეებს, თქვენ მხოლოდ ეს ერთი საქმე გავალიათ. **მეორე** — მთელი ავიაცია, ნოვიკოვის ავიაციის ჩათვლით, თქვენ განკარგულებაშია. თქვენი ამოცანაა, დაუნდობლად ურტყათ მტერს საბოლოო განადგურებამდე. **მესამე** — თუ საჭირო შეიქნება, შეიძლება გამოგიყოთ სატანკო კორპუსი „დონცოვის“ ან „ივანოვის“ დასახმარებლად. **მეოთხე** — თქვენ გევალებათ, ყოველდღიურად ანგარიში ჩააბაროთ მთავარსარდალს „დონცოვისა“ და „კუზნეცოვის“ მოქმედებათა შესახებ. **მეხუთე** — ხვალ დილით უნდა მომახსენოთ, საჭიროა თუ არა 62-ე არმიის გადაცემა დონის ფრონტისთვის. ხვალვე მითხარით, სად გავგზავნოთ სატანკო კორპუსი. შეკითხვა ხომ არ გაქვთ, თქვენთვის ყველაფერი გასაგებია?

**ვასილევსკი:** — ყველაფერი გასაგებია.

**სტალინი:** — კეთილი, აპარატთან მოვიდეს ვატუტინი. ამხანაგო ვატუტინ, მიიღეთ დავალება: **პირველი** — უნდა უხელმძღვანელოთ ლელიუშენკოსა და რომანენკოს მოქმედებებს, ნიჟნე ჩირსკიდან ნიჟნე კრივსკოემდე. კონკრეტული დავალებაა. უნდა მოამზადოთ ოპერაცია „სატურნი“. **მეორე** — ვორონოვი დატოვეთ ფიოდოროვის განკარგულებაში „სატურნის“ მოსამზადებლად და, ამასთანავე, ლელიუშენკოს დასახმარებლად. **მესამე** — პირველი შერეული ავიაკორპუსი ფიოდოროვის განკარგულებაში გამოგიგზავნეთ, დღე-დღეზე კი კვლავ მიიღებთ კიდევ ერთ ავიაკორპუსს, რომელშიც იქნება გამანადგურებლების დივიზია თავისი მოიერიშეებით. **მეოთხე** — თუ მეხუთე მექანიზებულ კორპუსს მიიღებთ, რომანენკოს განკარგულებაში იქნება თუ არა?

**ვატუტინი:** — დღევანდელი მდგომარეობით, მეხუთე მექანიზებული კორპუსის გამოგზავნა რომანენკოსათვის უფრო სამართლიანი იქნება, მაგრამ, თუ მის მიღებამდე მდგომარეობა შეიცვლება და დახმარება დასჭირდება ლელიუშენკოს, ჩვენ მას დავეხმარებით.

**სტალინი:** — ვინ გაანაწილებს იმ მექანიზებულ კორპუსს, რომელსაც თქვენ მიიღებთ?

**ვატუტინი:** — გვარდიული მექანიზებული კორპუსი დარჩება ლელიუშენკოს მარცხენა ფლანგზე.

**სტალინი:** — ორივე მექანიზებული კორპუსი — მეხუთე და გვარდიულიც, შეიძლება დარჩეს მარცხენა ფლანგზე ლელიუშენკოსთან, თუ რომანენკოს საბრძოლო რაიონში არსებულ მდგომარეობას გაითვალისწინებთ. „სატურნის“ წარმატებისთვის უმოკლეს დროში დამატებით მიიღებთ ერთ მექანიზებულ და ერთ სატანკო კორპუსს. ეს იქნება თქვენი რეზერვი. სასწრაფოდ დასვით კუზნეცოვი ლელიუშენკოს მარჯვენა ფრთაზე პირველ გვარდიულ არმიაში და შეუქმენით ყველა პირობა „სატურნის“ ოპერაციაზე სამუშაოდ. ყველაფერი გასაგებია თუ გაქვთ რამე გასარკვევი?

**ვატუტინი:** — ჩვენთან, დიდი ხანია, არ გამოჩენილა საარტილერიო დივიზია, არ ვიცი, რა ხდება.

**სტალინი:** — საარტილერიო და საზენიტო დივიზიები მალე იქნებიან თქვენთან.

**ვატუტინი:** — გასაგებია. გთხოვთ, მაცნობოთ მათი ნომრები. მე მხოლოდ 3 პოლკი დამრჩა, დანარჩენი გადავეცი 21-ე არმიას. გთხოვთ, თუ ამის საშუალება გექნებათ, დამატებით გამომიგზავნოთ 4 პოლკი.

**სტალინი:** — თქვენი მოთხოვნები სასწრაფოდ გამოგზავნეთ უმაღლესი მთავარსარდლის შტაბში. გამოვნახავ დროს და, თუ ახლა მხოლოდ 2 პოლკს გიგზავნით, ხვალ თქვენ მოთხოვნას სრულად დავაკმაყოფილებ. გმადლობთ, ნახვამდის“.

ძვირფასო მკითხველო, ეს საუბარი იმიტომ მოვიყვანე დაწვრილებით, რომ გააცნობიეროთ, რა ზუსტად იცოდა ომის ყველა წვრილმანი და როგორი გულდასმითა და ყოველგვარი კითხვების გაუჩენლად აძლევდა დავალებას სტალინი. ეს ის სტალინგრადია, სადაც მოკავშირეების დახმარების გარეშე სტალინმა ჰიტლერელთა გამარჯვების მზე ჩაასვენა და 300 000 ჰიტლერელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მათ შორის 27 გენერალი და 1 ფელდმარშალი, რკინის სალტეში მოაქცია და ტყვედ აიყვანა.

არავის სამხედრო ნიჭსა და თავდადებას არ ვამცირებ, მაგრამ, უბრალოდ, სასაცილოა და შეურაცხმყოფელი, როცა ამბობენ, დიდი სამამულო ომი პარტიამ, ხალხმა, კოალიციამ, რუსულმა ზამთარმა და ღვთისმშობლის ხატმა მოიგოო. ხატს, რა თქმა უნდა, დიდი ძალა აქვს, მაგრამ ის ხატი, რომელმაც მსოფლიო და მისი კულტურა გადაარჩინა, ჯერ არ გამოჭედილა. ჯერ არ აღვლენილა ლოცვა მის მიმართ, ვინც მართლმადიდებლურ მსოფლიოს ქრისტეს საფლავი შემოუნახა, ვინც ქრისტეს რჯული შეინარჩუნა, ვინც ქრისტეს 10 მცნება კონსტიტუციად აქცია და ვინც 30 წლის განმავლობაში კრემლში უფლის მოვალეობას ასრულებდა.

1945 წლის 24 ივნისს სტალინი, როდესაც გამარჯვების აღლუმს ატარებდა, მავზოლეუმის ტრიბუნაზე იდგა და შორეულ სივრცეებს უმზერდა. ის სადღაც, შორს, დასავლეთში ჰიტლერელ ნაძირალებთან ომის ხანძარს შეჰყურებდა, რომელიც თითქმის 1946 წლის ბოლომდე გაგრძელდა. და ფერფლიდან ორჯერ აღდგენილი უკრაინა სტალინის პირველი საზრუნავი სამშენებლო პოლიგონი გახდა, რომელმაც 6 წლის განმავლობაში არნახულ წარმატებებს მიაღწია.

1952 წლის 7 ოქტომბ-

**სასაცილოა და შეურაცხმყოფელი, როცა ამბობენ, დიდი სამამულო ომი პარტიამ, ხალხმა, კოალიციამ, რუსულმა ზამთარმა და ღვთისმშობლის ხატმა მოიგოო. ხატს, რა თქმა უნდა, დიდი ძალა აქვს, მაგრამ ის ხატი, რომელმაც მსოფლიო და მისი კულტურა გადაარჩინა, ჯერ არ გამოჭედილა. ჯერ არ აღვლენილა ლოცვა მის მიმართ, ვინც მართლმადიდებლურ მსოფლიოს ქრისტეს საფლავი შემოუნახა, ვინც ქრისტეს რჯული შეინარჩუნა, ვინც ქრისტეს 10 მცნება კონსტიტუციად აქცია და ვინც 30 წლის განმავლობაში კრემლში უფლის მოვალეობას ასრულებდა.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**«მტერი სასტიკი და ულმობელია. იგი მიზნად ისახავს, ხელთ იგდოს ჩვენი ოფლით მორწყული ჩვენი მიწა-წყალი, ხელთ იგდოს ჩვენი შრომით მოპოვებული ჩვენი პური და ნავთი. დაანგრიოს რუსთა, უკრაინელთა, ბელორუსთა, ლიტველთა, ლატვიელთა, ესტონელთა, უზბეკთა, თათართა, მოლდაველთა, ქართველთა, სომეხთა, აზერბაიჯანელთა და საბჭოთა კავშირის სხვა თავისუფალ ხალხთა ნაციონალური კულტურა და ნაციონალური სახელმწიფოებრიობა»**



წითელარმიელები კიევის მისადგომებთან

**დღეს უკრაინაში ომი ვირტუალურად მიმდინარეობს. დუმს წითელი მოედანი. აღარ ქუხს ლევიტანის ხმა. ჩვენი ოკეანისგაღმელი მტრების გულის საამებლად მავზოლეუმის ტრიბუნა და სტალინის საფლავი ფირფიცრებით არის შემოღობილი. ქვეყანა გაყოფილია ორ ნაწილად — ქვეყნის დამცველებად და მტრებად (მე-5 კოლონად). ნაცვლად იმისა, რომ სამშობლოს მოღალატეთა ფეხქვეშ მიწა იწვოდეს, ელოლიავებიან და მათ «ღირსებასა და თავისუფლებას» იცავენ**

ერს სსრ კავშირის კპ (ბ) XIX ყრილობაზე სიტყვით გამოსულმა **ლავრენტი ბერიამ** ასე შეაფასა უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მიღწევები: „შევადაროთ, მაგალითად, ერთი საბჭოთა რესპუბლიკა უკრაინა ორ დიდ ევროპულ ბურჟუაზიულ ქვეყანას — საფრანგეთსა და იტალიას. ცნობილია, რომ უკრაინის სსრ-ში ექსპლუატაციის კლასები, დიდი ხანია, აღმოფხვრილია; ქარხნები, მიწა და შრომის ყველა პროდუქტი ხალხის საკუთრებაა, უმუშევრობა სამუდამოდ გაუქმებულია, მთელი ძალაუფლება განუყოფლად ეკუთვნის ხალხს. ამ მხრივ, საფრანგეთიცა და იტალიაც, სადაც კაპიტალისტები არიან ხელისუფლებაში, ოცდაათ წელზე მეტი ხნის წინათ საბჭოთა უკრაინამ უკან ჩამოიტოვა. ამიტომ შევადაროთ მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელოვანესი მონაცემი ამ ქვეყნების ეკონომიკიდან. **საბჭოთა უკრაინა, რომელსაც თავისი არსებობის განმავლობაში ორჯერ მოუწია ამოსვლა ნანგრევებიდან და ფერფლიდან აღდგომა უცხო დამპყრობლების შემოსევების შემდეგ, ახლა აწარმოებს გაცილებით მეტ რკინას, ვიდრე საფრანგეთი და იტალია ერთად, აწარმოებს უფრო მეტ ფოლადს, ნაგლინსა და ლითონს, ვიდრე საფრანგეთი და სამჯერ მეტს, ვიდრე იტალია; აწარმოებს ნახშირს ერთნახევარჯერ მეტს, ვიდრე საფრანგეთი და იტალია ერთად; ტრაქტორებს, სიმძლავრის მიხედვით, თითქმის სამჯერ მეტს, ვიდრე მათ ერთად აწარმოებენ საფრანგეთი და იტალია; აწარმოებს მნიშვნელოვნად მეტ მარცვლეულს, კარტოფილს, შაქრის ჭარხალსა და შაქარს, ვიდრე საფრანგეთი და იტალია ერთად. სოციალისტური მრეწველობისა და კოლმეურნეობის აღმავლობის საფუძველზე უკრაინელი ხალხი ცხოვრობს აყვავებული ცხოვრებით და სარგებლობს კულტურის ყველა სარგებლით, რომელსაც მოკლებული არიან საფრანგეთისა და იტალიის მშრომელი მასები“.**

დღეს კვლავ ცეცხლის ალშია გახვეული უკრაინა. იწვის დედამიწის 1/6-ის ინდუსტრიის ცენტრი და ბომბები აცვივა ევროპის პურის ბეღელს. ვინ არის ის ეშმაკის თესლით ნაშობი, ვინც შუა ევროპაში ძმათა შორის სისხლისღვრა გააჩაღა? ვინ არის, ვისაც სურს, დაასუსტოს სლავი ხალხი და შემდეგ თვითონ ჩაიგდოს ხელში სლავების სისხლით მორწყული დოვლათიანი მიწა? ვის სურს ჩვენს სათაყვანებელ ხალხზე ბატონობა და ჩვენი სისხლით მორწყული მიწის მიტაცება? — მას, ვინც ევროპის შუაგულში აყვავებული იუგოსლავია დაანგრია; ვინც მოსპო შუამდინარეთის ცივილიზაციის ნაშთები; ვინც სისხლში ჩაახშო ლიბანი და ალბანეთი; ვინც ვერ გადაყლაპა სირია და დღეს სურს გადაყლაპოს ევროპის უდიდესი ქვეყანა — უკრაინა. აშშ-სა დ ევროპას დაავიწყდათ სტალინის 1941 წლის 3 ივლისის ისტორიული გამოსვლა რადიოთი, რომელმაც გააერთიანა მსოფლიოს მოწინავე საზოგადოება ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. **დღეს უკრაინაში მებრძოლ რუს ჯარისკაცებს, მეთაურებს, პოლიტიკოსებსა თუ პოლიტოლოგებს პირზე აკერიათ ცნობილი სიტყვები: „— ჩვენი საქმე სამართლიანია, ჩვენ გავიმარჯვებთ“, რომელსაც „შეგნებულად“ მიაწერენ მოლოტოვს. არავინ უკარგავს მოლოტოვს უდიდეს დამსახურებას დიდ სამამულო ომში, მაგრამ ომის გამოცხადების მოკლე ტექსტის ბოლოს, რომელიც მან 1941 წლის 22 ივნისს წარმოთქვა, სტალინის ხელით ჩამატებულია სიტყვები: „ჩვენი საქმე სამართლიანია, ჩვენ გავიმარჯვებთ!“.** ისე, როგორც ყველაფერს აქვს საწყისი და ჰყავს მშობელი, ამ სიტყვებსაც თავისი მშობელი ჰყავს. ის დიდი სტალინია. **დიდ სამამულო ომში ფაშიზმზე გამარჯვება სამმა ძირითადმა ფაქტორმა განაპირობა: 1. საბჭოთა კავშირში 30-40-იან წლებში სწრაფმა ინდუსტრიალიზაციამ; 2. 1941 წლის 7 ნოემბრის სამხედრო აღლუმმა წითელ მოედანზე და 3. ქვეყნის კოლექტივიზაციამ.**

პირველი წითელი არმიის შეიარაღების პერიოდია, უახლოესი სამხედრო ტექნიკით; მეორე — ქვეყნის ყველა მოქალაქის პატრიოტული გრძნობების ამაღლება და სამშობლოსათვის თავგანწირვა; მესამე — კოლექტივიზაცია, ქვეყნის ზურგის სიმტკიცე, ზურგის ფრონტი, რომელიც არანაკლებ ორგანიზებულობითა და თავგანწირვით იბრძოდა ფაშიზმის წინააღმდეგ. ეს იყო ომი თავისი კლასიკური გაგებით: ზურგისა და ფრონტის ხელმძღვანელობის უნაკლო შესრულების მაგალითი. **დღეს უკრაინაში ომი ვირტუალურად მიმდინარეობს. დუმს წითელი მოედანი. აღარ ქუხს ლევიტანის ხმა. ჩვენი ოკეანისგაღმელი მტრების გულის საამებლად მავზოლეუმის ტრიბუნა და სტალინის საფლავი ფირფიცრებით არის შემოღობილი. ქვეყანა გაყოფილია ორ ნაწილად — ქვეყნის დამცველებად და მტრებად (მე-5 კოლონად). ნაცვლად იმისა, რომ სამშობლოს მოღალატეთა ფეხქვეშ მიწა იწვოდეს, ელოლიავებიან და მათ „ღირსებასა და თავისუფლებას“ იცავენ.**

„ჩვენ უნდა დავიწყოთ ულმობელი ბრძოლა ზურგის ყოველგვარ დეზორგანიზატორებთან, დეზერტირებთან, პანიკიორებთან, ხმების გამავრცელებლებთან. უნდა მოვსპოთ ჯაშუშები, დივერსანტები და ყოველივე ამაში სწრაფად დავეხმაროთ ჩვენ მიერ შექმნილ გამანადგურებელ ბატალიონებს. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მტერი ვერაგია, ცბიერია, გამოცდილია მოტყუებაში და ცრუ ხმების გავრცელებაში. უნდა გავითვალისწინოთ ყოველივე ეს და არ ავყვეთ პროვოკაციას. საჭიროა, დაუყოვნებლივ სამხედრო სამართალში მიცემა, განურჩევლად პიროვნებისა, ყველა, ვინც პანიკიორებითა და ლაჩრობით ხელს უშლის თავდაცვის საქმეს. **მტერი სასტიკი და ულმობელია. იგი მიზნად ისახავს, ხელთ იგდოს ჩვენი ოფლით მორწყული ჩვენი მიწა-წყალი, ხელთ იგდოს ჩვენი შრომით მოპოვებული ჩვენი პური და ნავთი. დაანგრიოს რუსთა, უკრაინელთა, ბელორუსთა, ლიტველთა, ლატვიელთა, ესტონელთა, უზბეკთა, თათართა, მოლდაველთა, ქართველთა, სომეხთა, აზერბაიჯანელთა და საბჭოთა კავშირის სხვა თავისუფალ ხალხთა ნაციონალური კულტურა და ნაციონალური სახელმწიფოებრიობა“** (სტალინი, 1941 წლის 3 ივლისი).

რუსეთის პრეზიდენტი უნდა ავიდეს გამარჯვების სიმბოლო მავზოლეუმის ტრიბუნაზე და მოუხმოს დიდი რუსი ხალხის ღირსეულ ახალგაზრდობას. ამოასუნთქოს ძალით ჩასუნთქული ამერიკული სული და ჩაჰბეროს უკვდავების რუსული სული — განმათავისუფლებლის სული. აღმართოს ჯვარი ქრისტესი და წავიდეს მდინარის სათავისკენ, სადაც წევს გველეშაპი და წამლავს უკვდავების წყალს. მდინარე ბოლოდან არ იწმინდება, ის სათავიდან უნდა გაიწმინდოს. დადგა ჟამი, როცა „ცეცხლითა და მახვილით“ უნდა აღიგავოს პირისაგან მიწისა „სოდომი და გომორა“. დასასრულ, გთავაზობთ მცირე ამონარიდს სტალინის მიმართვიდან წითელარმიელებისადმი. ეს სიტყვა მან **1941 წლის 7 ნოემბერს წარმოთქვა წითელ მოედანზე,** როცა გერმანელი ფაშისტები მოსკოვს იყვნენ მომდგარი:

**„...თქვენ წილად გხვდათ განმათავისუფლებლის დიადი მისია. მაშ, იყავით ამ მისიის ღირსნი. ომი, რომელსაც თქვენ ეწევით, არის განმათავისუფლებელი ომი, სამართლიანი ომი. დაე, ამ ომში თქვენ აღგაფრთოვანებდეთ ჩვენი დიდი წინაპრების: ალექსანდრე ნეველის, დიმიტრი დონელის, კუზმა მინინის, დიმიტრი პოჟარსკის, ალექსანდრე სუვოროვის, მიხეილ კუტუზოვის მამაცური სახეები! დაე, გფარავდეთ ლენინ-სტალინის ძლევამოსილი დროშა. გაუმარჯოს დიდ რუს ხალხს, მის თავისუფლებას, დამოუკიდებლობას! სიკვდილი საერთაშორისო იმპერიალისტებს და მათ დაქირავებულ აგენტებს!“**

**გრიგოლ ონიანი**





**ყურადღება!**
დაიბეჭდა ბატონ გრიგოლ ონიანის წიგნ „სტალინის“ მე-7 და მე-8 ტომები. შეძენის მსურველებმა დარეკეთ ტელეფონის ნომერზე: 597100600.

საერთაშორისო ბიზნესი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ხელოვნურად შექმნილი აჟიოტაჟი ბიზნესმენებმა სათავისოდ საუცხოოდ გამოიყენეს და შედეგიც მივიღეთ — ერთი ტომარა შაქარი 200 ლარზე მეტი ღირს და ეს მაშინ, როცა ევროპაში მისი ფასი 142 ლარია შესაბამის ვალუტაში. ევროპელები ამბობენ, რომ ფასმა იქაც მოიმატა, მაგრამ ისე არა, პროდუქტების საყიდლად მაღაზიაში თირკმლის დატოვება რომ მოგიწიოს.**

# ზღვარზეა ხალხი, სიღარიბისა და შიმშილის ზღვარზე, ბიზნესი კი ისედაც წაქცეულ ადამიანებს ზურგზე ფეხს აჭერს

**სიმართლე გითხრათ, სამედიცინო სფეროსა და ტერმინოლოგიაში დიდად ვერ ვერკვევი, მაგრამ, როცა საქმე ფასებს ეხება, ნებისმიერ ექსპერტს გავუწევ კონკურენციას და არამხოლოდ მათემატიკური მიმართულებით, არამედ იმითაც, რატომ არის მეტი და რატომ უნდა ღირდეს ნაკლები. მოდი, ჯერ იმ წამლების ნაწილს გადავხედოთ, რომელიც პრემიერის ინიციატივის შემდეგ თურქეთიდან შემოვიდა და გაიაფდა. კიდევ გავიმეორებთ, რომ აქ მხოლოდ ნაწილია წარმოდგენილი:**







**აკლასტა** — ხსნარი საინფუზიო, ძვალ-სახსროვანი დაავადებების სამკურნალო საშუალება. ღირდა 867 ლარი, ღირს 223 ლარი.

**არიმიდექსი** — ჰორმონული წამალი. ღირდა 80 ლარი, ღირს 13 ლარი.

**ატაკანდი** — წნევის მარეგულირებელი საშუალება. ღირდა 80 ლარი, ღირს 12 ლარი.

**ბრილინტა** — ანტითრომბოზული და შედედების საწინააღმდეგო საშუალება. ღირდა 221 ლარი, ღირს 48 ლარი.

**გალვუსი** — შაქრიანი დიაბეტის სამკურნალო საშუალება. ღირდა 64 ლარი, ღირს 31 ლარი.

**დიოვანი** — წნევის მარეგულირებელი საშუალება. ღირდა 41 ლარი, ღირს 9 ლარი.

**იანუვია** — შაქრიანი დიაბეტის სამკურნალო საშუალება. ღირდა 122 ლარი, ღირს 26 ლარი.

**იანუმეტი** — შაქრიანი დიაბეტის სამკურნალო საშუალება. ღირდა 135 ლარი, ღირს 26 ლარი.

**ინსულინი ლანტუსი** — ხსნარი საინექციო, შაქრიანი დიაბეტის სამკურნალო საშუალება. ღირდა 238 ლარი, ღირს 43 ლარი.

**კრესტორი 10 მგ** — ნივთიერებათა ცვლაზე მოქმედი საშუალება. ღირდა 56 ლარი, ღირს 7 ლარი.

**კრესტორი 20 მგ** — ნივთიერებათა ცვლაზე მოქმედი საშუალება. ღირდა 111 ლარი, ღირს 10 ლარი.

**სიმბიკორტ ტურბოჰალერი** — ფხვნილი საინჰალაციო 160მკგ, ბრონქების კუნთების მომადუნებელი საშუალება, ღირდა 84 ლარი, ღირს 15 ლარი.

**ტენორეტიკი** — ჰიპერტენზიის სამკურნალო საშუალება (არტერიული წნევა). ღირდა 47 ლარი, ღირს 7 ლარი.

**ფორქსიგა** — შაქრიანი დიაბეტის სამკურნალო საშუალება. ღირდა 131 ლარი, ღირს 36 ლარი.

ამ ცვლილების შემდეგ ხელისუფლებამ გამარჯვება იზეიმა და მოსახლეობისგან აპლოდისმენტებიც მიიღო, მაგრამ ჩვენ ამ აპლოდისმენტებს ვერ შევუერთდებით და მიზეზს ახლავე მოგახსენებთ.

**კიევის მერმა ვლადიმირ კლიჩკომ ომის დაწყებისთანავე თქვა, პროდუქტებსა და მედიკამენტებზე ფასების მატება მაროდიორობად შეფასდება და ის ბიზნესმენები, რომლებიც ამას გააკეთებენ, კანონის წინაშე პასუხს, როგორც მაროდიორები, ისე აგებენო. მოვიძიეთ, რა ხდება რუსულ ბაზარზე იმ დროს, როცა ფასები შესაბამისი არ არის და შევიტყვეთ, რომ რუსეთში საბაზრო ფასების კონტროლი ევალება... პროკურატურას და, როგორც კი ფასი შეუსაბამო აღმოჩნდება, სისხლისსამართლებრივი დევნა იწყება და ბიზნესმენს არა მხოლოდ დაპატიმრება, არამედ ბიზნესის ჩამორთმევაც გარანტირებული აქვს.** ახლა, ვნახოთ, რა ხდება ჩვენთან ამ მიმართულებით. არაფერი, საერთოდ არაფერი. **საქართველოში ამა თუ იმ ფარმაკოლოგიური პროდუქტის შემომტან 2-3 ბიზნესმენს (ჩვენ, პრაქტიკულად, ყველაფერი შემოგვაქვს) შეუძლია ერთმანეთში მოილაპარაკოს და ათჯერ და ოცჯერ მეტი ფასი დაადოს პროდუქტს, რომელიც მოსახლეობისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. როცა საქმე მედიკამენტებს ეხება, ეს პირდაპირ სიცოცხლესთან არის კავშირში, ზუსტად ისე, როგორც საკვებ პროდუქტებზე, თორემ ტანსაცმელი, შესაძლოა, 2 წელიწადში ერთხელ იყიდოს ადამიანმა და დაკემსილით იაროს.**

ჰოდა, ამ უსინდისო ბიზნესმენებს პასუხს არავინ სთხოვს. ახლა ხომ მაინც დეტალებში ვიცით, **კონკრეტული ადამიანები ერის ჯანმრთელობაზე მდიდრდებოდნენ, შეუსაბამო ფასებში ყიდდნენ წამლებს, რომლებიც განსაკუთრებით დიაბეტით დაავადებული ადამიანებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია.** ჩვენს სიაში პირველ ნომერია **„აკლასტა** — ხსნარი საინფუზიო, ძვალ-სახსროვანი დაავადებების სამკურნალო საშუალება, რომელსაც 867 ლარად ასაღებდნენ და ახლა 223 ლარი ღირს. ანუ, **კონკრეტული ადამიანები ამ წამალში 4-ჯერ მეტს იხდიდნენ, 644 ლარი კი ორი თვის პენსიაზე მეტია და ვაი, რომ აღნიშნული წამალი ძირითადად სწორედ პენსიონერებს სჭირდებათ. ახლა ვეკითხებით ხელისუფლებას — როცა მოქალაქეების ოფიციალური ძარცვის, მაროდიორობის ფაქტები აქვთ, რატომ არ აღძრავენ სისხლის სამართლის საქმეს და რატომ არ აძლევენ პასუხისგებაში იმ პირებს, რომლებიც წლების განმავლობაში ამას აკეთებდნენ? რატომ არ აუქმებთ კონკურენციის სააგენტოს, რომელსაც ერთი დასკვნაც კი არ დაუდევს აღნიშნულ ფაქტზე და არ უთქვამს, რომ ფარმაცევტულ ბიზნესში ოფიციალური ყაჩაღები მოღვაწეობენ და მოსახლეობას შეგნებულად აღარიბებენ, უკანასკნელ ლუკმასართმევენ, რატომ?!**

მედიკამენტებზე თუ არ გამოდის ეს ყველაფერი, საკვებ პროდუქტებზე „გამოიყვანეთ". ეკონომიკის მინისტრმა ცალკე და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ცალკე გამართულ ბრიფინგებზე ერთი ტექსტი თქვეს — „ქვეყანაში ყველა საკვები პროდუქტის მარაგი არსებობს და საგანგაშო არაფერი ხდება, მით უმეტეს




**ომია უკრაინაში და იქ არ გაძვირებულა პროდუქტები ისე, როგორც საქართველოში. ჩვენთანაც ომია, ოღონდ მოსახლეობას პროდუქტების ფასებთან აქვს ომი. მედიკამენტების ფასებთან ლამის 15-წლიანი ომი სახელმწიფოს დახმარებით მოსახლეობის სასარგებლოდ დასრულდა, მაგრამ არავინ დასჯილა. ახლა კი პროდუქტის ფასებია დასამარცხებელი და აქაც, თუ სახელმწიფო არ ჩაერია, არაფერი გამოვა. არ შეიძლება, ქვეყნებში, სადაც ჩვენზე, სულ ცოტა, ათჯერ უკეთ ცხოვრობენ და ათჯერ მეტი ჯამაგირი და პენსია აქვთ, იმაზე ნაკლები ღირდეს პირველადი მოხმარების პროდუქტები, ვიდრე ჩვენთან**

შაქარზე, რომელიც ბრაზილიიდან შემოგვაქვს". **ბატონებო, სად არის ეს მარაგები და ბრაზილიიდან შემოტანილი შაქარი? რატომ არ იყიდება მაღაზიაში თავისუფლად შაქარი და რატომ ღირს დახლს ქვემოდან გაყიდული ერთი ტომარა 200 ლარზე მეტი?** ვინ მოუმატა ფასები ხელოვნურად პროდუქტზე, რომელზეც არავითარ შემთხვევაში არ უნდა მომატებულიყო ფასი, რადგან ბრაზილიიდან შაქრის შემოტანაზე არც შეფერხება ყოფილა და არც ფასი მოუმატებიათ სამხრეთ ამერიკელებს. ვინმე დაინტერესდა ფასის ხელოვნურად მატებით და იმ პროდუქტის მაღაზიებიდან გაქრობით, რომელზეც მოთხოვნა ყოველთვის იყო და იქნება? მაგრამ **ხელოვნურად შექმნილი აჟიოტაჟი ბიზნესმენებმა სათავისოდ საუცხოოდ გამოიყენეს და შედეგიც მივიღეთ — ერთი ტომარა შაქარი 200 ლარზე მეტი ღირს და ეს მაშინ, როცა ევროპაში მისი ფასი 140 ლარია შესაბამის ვალუტაში. ევროპელები ამბობენ, რომ ფასმა იქაც მოიმატა, მაგრამ ისე არა, პროდუქტების საყიდლად მაღაზიაში თირკმლის დატოვება მოგიწიოთ.**

ომია უკრაინაში და იქ არ გაძვირებულა პროდუქტები ისე, როგორც საქართველოში. ჩვენთანაც ომია, ოღონდ მოსახლეობას პროდუქტების ფასებთან აქვს ომი. **მედიკამენტის ფასებთან ლამის 15-წლიანი ომი სახელმწიფოს დახმარებით მოსახლეობის სასარგებლოდ დასრულდა, მაგრამ არავინ დასჯილა. ახლა კი პროდუქტის ფასებია დასამარცხებელი და აქაც, თუ სახელმწიფო არ ჩაერევა, არაფერი გამოვა. არ შეიძლება, ქვეყნებში, სადაც ჩვენზე, სულ ცოტა, ათჯერ უკეთ ცხოვრობენ და ათჯერ მეტი ჯამაგირი და პენსია აქვთ, იმაზე ნაკლები ღირდეს პირველადი მოხმარების პროდუქტები, ვიდრე ჩვენთან.** იქ სწორედ სახელმწიფოს კონკრეტული უწყება აკონტროლებს ფასებს და ვერავინ ვერაფერს ბედავს. აქ კი მხოლოდ კონკურენციის სააგენტოს იმედად ვართ. მედიკამენტების მაგალითზე დამტკიცდა, რომ ეს უწყება არ ან ვერ მუშაობს და ორივე შემთხვევაში ან რეორგანიზაციაა საჭირო, ან, უბრალოდ, გაუქმება და სხვა ეფექტიანი სამსახურის შექმნა. ზუსტად ერთ დღეში შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება კანონის გამკაცრებით, იგივე მინისტრები ერთ ხმაში რომ ამტკიცებენ, მარაგები არსებობსო, სად არის, აბა, დაგვანახვეთ, გამოიტანეთ, შესაბამის ფასში გაყიდეთ... წინააღმდეგ შემთხვევაში ჩნდება არცთუ უსაფუძვლო ეჭვი, რომ სწორედ მაღალჩინოსნებს აძლევთ ხელს ეს აჟიოტაჟი, ეს ფასების მატება, ეს გაურკვევლობა და გაუგებრობა, რადგან თავადაც ხეირობენ. თუ ასე არ არის, დაგვიმტკიცეთ საპირისპირო და მკაცრად დასაჯეთ ისინი, ვინც პანიკასა და პროდუქტების გაძვირებას შეგნებულად უწყობს ხელს. **ეს დივერსიაა საკუთარი ერისა და ხალხის წინაშე; ეს დანაშაულია, რომელიც უნდა დაისაჯოს და კონკრეტულმა პირებმა პასუხი აგონ, რა თქმა უნდა, თუ სახელმწიფო გვქვია და პრეტენზია გვაქვს, რომ აქ კანონი უზენაესი და ყველასთვის ერთია.**

ვერ გეტყვით, როდის ექნება პროდუქტებს შესაბამისი ფასი, მაგრამ დღეს ასეა — სახელმწიფო საკვებ პროდუქტებზე რეაგირებას არ აკეთებს და ბიზნესმენებს ყურს არ უწევს იმის გამო, რომ ევროპულ და ამერიკულ ფასებთან შედარებითაც კი ჩვენთან ყველაფერი ძვირია. აღარაფერს ვამბოთ იმაზე, რომ რეგიონში ყველაზე ძვირი ცხოვრება საქართველოშია და იმავე რეგიონში ყველაზე ნაკლები შემოსავალი სწორედ ქართველებს აქვთ. ასე გაგრძელება, უბრალოდ, აღარ შეიძლება, **ზღვარზეა ხალხი, სიღარიბისა და შიმშილის ზღვარზე, ბიზნესი კი ისედაც წაქცეულ ადამიანებს ზურგზე ფეხს აჭერს და წამოდგომის საშუალებას არ აძლევს!**

**ბესო ბარბაქაძე**

**წლებია, რუსულ ბაზარს ცუდად ვეთამაშებით. წლებია, მოწოდებები კეთდება, რომ რუსეთში უხარისხო საქონელი უნდა გავიტანოთ, ხოლო ხარისხიანი — ევროპის ქვეყნებში. მერე რა, რომ ჩვენი ხარისხიანი საქონელი ევროპის ქვეყნებს, უბრალოდ, არ სურთ, ათასგვარ ბარიერებს აწესებენ და გასაგებად გვეუბნებიან, რომ იქ ჩვენი ადგილი არ არის. ამის ნათელი დასტური თუნდაც „ბორჯომის“ გარშემო ატეხილი ისტერიკაა. „ბორჯომი“, რომელიც საქართველოსთან ასოცირდება, ევროპული დახლებიდან ქრება, აქაოდა, რუსების ბიზნესიაო.**

სახიფათო თამაშები
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რუსულ ბაზარს ცუდად ნუ ვეთამაშებით

## გარდა იმისა, რომ პაპაშვილმა გლეხების შრომა უგულებელჰყო, რუს მომხმარებლებსაც მიაყენა შეურაცხყოფა

**გემახსოვრებათ, ალბათ, 2006 წელს ირაკლი ოქრუაშვილმა ხმამაღლა და გამოთქმით რომ თქვა: რუსული ბაზარი ისეთია, ფეკალიებიც რომ შეიტანო, მაინც გაიყიდებაო. ამის შემდეგ რუსეთმა ემბარგო დაადო ქართულ პროდუქციას და ოქრუაშვილმა, რომელიც იმხანად თავდაცვის მინისტრი იყო, შემდეგი თქვა: „რაც შეეხება ქართული ღვინის აკრძალვას, კიდევ ერთხელ განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა რუსეთის ხელისუფლებას იმისათვის, რაც მან გააკეთა. ჯერ ერთი, იმის გამო, რომ ამ დაბალი სამომხმარებლო ბაზრიდან ჩვენ წვალებით, მაგრამ ნელ-ნელა გადავალთ უფრო მაღალ სამომხმარებლო ბაზარზე — მხედველობაში მაქვს დასავლეთი ევროპა, აღმოსავლეთი ევროპა და შეერთებული შტატები, თავისთავად. გაცილებით უფრო მეტად ხარისხიან ღვინოს გავაკეთებთ ამის მერე და უფრო მეტ შემოსავალს მივიღებთ ამით... და რუსეთში, თუ ძალიან გაბრაზდნენ ამ ჩემი განცხადების გამო, ქართული ღვინო რადგან აღარ უნდათ, დალიონ ცივი წყალი. რაც ასევე საკმაოდ უხარისხო მოდის მოსკოვში, შედარებით ქართულთან...“ ჰოდა, მას შემდეგ ვეძებთ ქართული ღვინისთვის, წყლისთვის, ხილისთვის, ყურძნისთვის სხვა, მაღალი დონისა და გასავლიან ბაზარს, მაგრამ ვერ ვპოულობთ. რატომ? იმიტომ, რომ დასავლეთი საკუთარ ბაზარზე, უბრალოდ, არ გვიშვებს და გვეუბნება, რომ გაცილებით მაღალხარისხიანი ღვინო და წყალი აქვს.**


ლაშა პაპაშვილი

რუსეთმა ორიოდე კვირის წინათ ქართული რძის ნაწარმისთვის გახსნა ბაზარი და ამის შესახებ ოფიციალური განცხადებაც გაკეთდა. საქართველოში რძის პროდუქტების ყველაზე დიდმა მწარმოებლებმა — „სანტემ“ და „სოფლის ნობათმა“ ამ მიმართულებით ვაჭრობაზე უარი განაცხადეს. ამ ორ კომპანიას ნედლ რძეს, ძირითადად, „ყვარლის ბაგა“ აწვდის, ფერმა, რომლის მფლობელია ყოფილი ბანკირი **ლაშა პაპაშვილი.** ჰოდა, ახლა პაპაშვილი გამოვიდა და დაახლოებით იგივე თქვა, რაც 2006 წელს ოქრუაშვილმა.

„მსოფლიოში რძის პროდუქტების მიწოდება ხარისხის მიხედვითაა დიფერენცირებული. ჩვენ თუ ევროპისკენ ვისწრაფვით, იქ დაბალი ხარისხის რძის პროდუქტების მიწოდება იკრძალება, ჩვენ ყველა მიმართულებით ვისწრაფვით ევროპისკენ და რატომღაც გვავიწყდება ისეთი რძის პროდუქტების წარმოება, რომელიც ზღუდავს ნებისმიერი დაბალი ხარისხის რძის წარმოებას გადასამუშავებლად. რუსეთის ბაზარს თუ სოფელში წარმოებული რძით ნაწარმოებ პროდუქტებს — რძესა და ყველს, მიაწვდიან, ეს ჩვენთვის კარგი იქნება. ეს ყველაზე დაბალი ხარისხის რძეა. თუ მოვახერხეთ და ეს პროდუქტები სადმე გავიტანეთ, რუსეთი იქნება თუ სხვა ქვეყანა, ეს ჩვენი გლეხობისა და სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ადამიანებისთვის ყოველდღიური ცხოვრების გასაადვილებლად დიდი შეღავათი იქნება, რადგან რძის წარმოებაზე ხარჯი არ აქვთ, მწვანე ბალახს აჭმევენ და მთელი დღე გაშვებული ჰყავთ“, — განაცხადა პაპაშვილმა.

**არაფერს ვამბობთ პაპაშვილის ნათქვამზე, რომ თურმე გლეხებს ხარჯი არ აქვთ, განსაკუთრებით ახლა, როცა დაპრესილი თივის ერთი კუბის ღირებულება 20 ლარს გასცდა. გარდა იმისა, რომ ამით პაპაშვილმა გლეხების შრომა შეურაცხყო, რუს მომხმარებლებსაც მიაყენა შეურაცხყოფა. თანაც, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ყველანაირად ცდილობს, სოფლის მეურნეობის პროდუქტები (არა მხოლოდ რძის ნაწარმი) სწორედ გლეხებისგან შეიძინოს. რა გამოდის, მათ არ იციან, რომ გლეხებს ყველაზე დაბალი ხარისხის პროდუქცია აქვთ და ყიდულობენ?** თუ გლეხი, რომელიც ვერ ახერხებს, მოწველილი რძე შესაბამის კონტეინერში ჯერ გააგრილოს, შემდეგ სპეციალური ხსნარი ჩააწვეთოს, რომ არ აიჭრას, შემდეგ რაღაც მინარევები გაუკეთოს, ხანგრძლივად რომ შეინახოს, გვატყუებს და ახალმოწველილი რძის გაყიდვით ჩვენს ჯანმრთელობას ვნებს?!

არა, ბატონებო, **პაპაშვილს სურდა რუსული ბაზარი როგორმე დაეკნინებინა. მან ძალიან კარგად იცის, რომ ამ ბაზარზე თვითონ ვერ შევა, ლიბერალური ფრთა არ აპატიებს და ამიტომ პრინციპით, ავი ძაღლი არც თვითონ ჭამს, არც სხვას აჭმევსო, გააკეთა განცხადება, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ.**

რა ჰგონიათ ამ ადამიანებს, მათი სიტყვები მხოლოდ საქართველოში ისმის და რუსეთს ახლა პაპაშვილისა და მისნაირებისთვის არ სცალია? **პაპაშვილის ამ განცხადების გამო არა მხოლოდ რძის, არამედ საქართველოდან ნებისმიერი სხვა პროდუქტის შეტანა რომ აიკრძალოს რუსეთში, ვისი ბრალი იქნება? რა თქმა უნდა, რუსეთის, რომელმაც შეურაცხყოფა ვერ აიტანა, ვერ გაიგო ის, რომ საქართველოდან თურმე ყველაზე დაბალი ხარისხის რძე უნდა მიიღოს და მადლობაც უნდა თქვას.** სწორედ ლიბერალური ფრთა, უკვე 20 წელია, ცდილობს, რომ საქართველო როგორმე რუსულ ბაზარს ჩაეხსნას. ჩაეხსნას იმიტომ, რომ

> **ვარაუდი, რომ ხორბლის ალტერნატიულ ბაზარს მალე ვიპოვით, არ მართლდება და მალე კი არა, საერთოდ თუ ვიპოვით, ეგეც საკითხავია. ხორბლის მოწოდებაც არავის სურს და, თუ შიმშილი დაიწყება, აღშფოთება-შეშფოთების გარდა, დასავლეთისგან ხელში მართლა არაფერი შეგვრჩება. ეს არის ის მწარე რეალობა, რომელშიც ვცხოვრობთ და, სანამ სხვის ბოსტანში ქვის სროლას დავიწყებთ, ის ვიფიქროთ, ეგებ ეს ქვა ჩვენსავე ბოსტანში, ცოტა მოფარებულში დავტოვოთ, თორემ ბეწვის ხიდზე სიარული ყოველთვის არ ამართლებს და ერთ მშვენიერ დღეს, შესაძლოა, ყველაზე ვიწრო ადგილზე გაწყდეს**

იმ მცირეზეც, რასაც ვაწარმოებთ, ხელი ავიღოთ და მთლიანად შემოტანილ პროდუქციას ჩამოვეკიდოთ. ეს ყბადაღებული, „განვითარებადი“ ქვეყნის სტატუსი წარმოების განვითარების უფლებას არ გვაძლევს და, მცირემიწიანი და მცირებიუჯეტიანი ფერმერები რასაც ახერხებენ, ამის განადგურებაც სურთ.

**ერთი წლის წინათ სად იყო პაპაშვილი, კახეთსა და გორში გლეხებს უმაღლესი ხარისხის ვაშლატამა და ატამი რომ ულპებოდათ, 40 თეთრად რომ იხვეწებოდნენ კილოს ჩაბარებას და შემდეგ, როცა რუსეთმა დაიწყო დიდი ოდენობით შესყიდვა, ერთ დღეში, ჰო, 24 საათში, ფასმა 40 თეთრიდან 4 ლარამდე აიწია? მაშინაც კი, ე.წ. ლიბერალურმა ტელევიზიებმა მონახეს ერთი (საბედნიეროდ, მხოლოდ ერთი) გლეხი, რომელმაც თქვა, ახლა კი კარგ ფასს იხდის რუსეთი, აი, გაისად რა იქნება, კაცმა არ იცისო. ანუ, 40 თეთრის ნაცვლად, ათჯერ ძვირად რომ გაყიდა იმ გლეხმა მოსავალი, მაინც უკმაყოფილო იყო...**

რასაც ახლა გეტყვით, ფანტასტიკის სფეროდანაა. **„მაქსიმალურად შევეცადეთ, რომ რძის პროდუქტების წამყვან გადამამუშავებლებს ფასების ზრდა არ შეტყობოდათ, მაგრამ ახლა დადგა ის მომენტი, როდესაც მოსავლის აღების სეზონი ჯერ კიდევ არ არის, რადგან მარცვლეულის აღება ივნისში იწყება და ამ 3-4 თვეში მომხმარებელი რძის პროდუქტების მნიშვნელოვან, 15-20%-ით გაძვირებას უნდა ელოდოს. გასულ წელთან შედარებით ჩვენ ნედლი რძის ღირებულება 15%-ით გავზარდეთ, თუმცა ახლა რუსეთის ბაზრის დაკეტვის გამო, რომელიც ხორბლის ექსპორტის მთავარი წყაროა, რთულდება ხორბლის ექსპორტი და ავდრის გამო ტრანსპორტირებაც გართულებულია“, —** როგორ გგონიათ, ეს განცხადება ვინ გააკეთა და ვინ გაეტირა რუსულ ბაზარს? სწორია, **ლაშა პაპაშვილი.** პირველი განცხადებიდან მეორე დღეს მანვე მოაყოლა, — **უი, რა გვეშველება, ხორბალი ვეღარ შემოდის რუსეთიდან და პროდუქციას ვაძვირებთო.**

**ბატონო ლაშა, ევროპული ქვეყნები რას ამბობენ, სადაც ხარისხიანი რძე გაგაქვთ თურმე, არ გვაწვდიან ხორბალს? რა გამოდის — რუსეთისგან ვიღებთ ხარისხიან ხორბალსა და სიმინდს, მისგან ნაწარმოები რძე კი უნდა გავიტანოთ ევროპაში და უხარისხო და ყველაზე დაბალი ხარისხის მივყიდოთ რუსებს?! სად არის ლოგიკა და სად არის ნამუსი? თუ თავი ყველაზე ჭკვიანი გვგონია და ვერ მიხვდება მეზობელი, რას ვაწვდით რეალურად და კარგსა და ცუდს ვერ გაარჩევს?**

წლებია, რუსულ ბაზარს ცუდად ვეთამაშებით. წლებია, მოწოდებები კეთდება, რომ რუსეთში უხარისხო საქონელი უნდა გავიტანოთ, ხოლო ხარისხიანი — ევროპის ქვეყნებში. მერე რა, რომ ჩვენი ხარისხიანი საქონელი ევროპის ქვეყნებს, უბრალოდ, არ სურთ, ათასგვარ ბარიერს აწესებენ და გასაგებად გვეუბნებიან, რომ იქ ჩვენი ადგილი არ არის. ამის ნათელი დასტური თუნდაც „ბორჯომის“ გარშემო ატეხილი ისტერიკაა. **„ბორჯომი“, რომელიც საქართველოსთან ასოცირდება, ევროპული დახლებიდან ქრება, აქაოდა, რუსების ბიზნესიაო. არადა, თითოეული ბოთლი საქართველოში, ქართული წყლით იწარმოება, ქართველები არიან დასაქმებული, გადასახადები საქართველოს ბიუჯეტში შედის და „ბორჯომის“ დახლებიდან გაქრობა სწორედ საქართველოს დაარტყამს.**

ჰო, ვარაუდი იმის შესახებ, რომ ხორბლის ალტერნატიულ ბაზარს მალე ვიპოვით, არ მართლდება და მალე კი არა, საერთოდ თუ ვიპოვით, საკითხავია. ხორბლის მოწოდებაც არავის სურს და, თუ შიმშილი დაიწყება, აღშფოთება-შეშფოთების გარდა, დასავლეთისგან ხელში სხვა არც არაფერი არ შეგვრჩება. ეს არის ის მწარე რეალობა, რომელშიც ვცხოვრობთ და, სანამ სხვის ბოსტანში ქვის სროლას დავიწყებთ, ის ვიფიქროთ, ეგებ ეს ქვა ჩვენსავე ბოსტანში, ცოტა მოფარებულში დავტოვოთ, თორემ ბეწვის ხიდზე სიარული ყოველთვის არ ამართლებს და ერთ მშვენიერ დღეს, შესაძლოა, ყველაზე ვიწრო ადგილზე გაწყდეს.

**ბესო ბარბაქაძე**

25-ე გვერდი
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მკვეთრად აჩქარებული ტექტონიკური ძვრები ნათელყოფს, რომ აშშ-მა დაკარგა მსოფლიო. მის კონტროლს დღეს ექვემდებარება ქვეყნები, რომელთაგან არც ერთს არ გააჩნია სერიოზული სახელმწიფოებრივი სუბიექტურობა.**

# დაველოდოთ იმ თაობის მოსვლას?

**საგანგებო სამხედრო ოპერაციას, რომელიც უკრაინაში მიმდინარეობს, პროფესიონალი ანალიტიკოსები ფრიად საინტერესოდ მიმოიხილავენ, მაქსიმალურად ორიგინალურად, არგუმენტირებულად და დამაჯერებლად. თავიანთი გადმოსახედიდან. ვერ შეედავები, მაგრამ გაიზიარებ თუ არა, ეს უკვე სხვა საქმეა.**

მაგალითად, გამოცდილი ჟურნალისტი, წლების განმავლობაში დონბასის მედიაში ხელმძღვანელ თანამდებობებზე მომუშავე კონსტანტინე კევორქიანი ამტკიცებს, რომ „სპეცოპერაციის დაწყებისთანავე, ოფიციალური ვერსიის თანახმად, უკრაინელი ხალხი მაქსიმალურად დაირაზმა მომხდური მტრის წინააღმდეგ, მაგრამ ამჟამად გამოაშკარავდა, რომ გარკვეული პოლიტიკური ძალებისთვის, აქტივისტების უმრავლესობისთვის და მთელი რიგი რეგიონებისთვის ომი მხოლოდ მომგებიანი ბიზნესია“.

მაგალითად ასახელებს გალიჩინას და აცხადებს, რომ დასავლეთ უკრაინაში ხორციელდება თანამემამულეთა გაყვლეფის გრანდიოზული გეგმა. გალიჩინელების მაროდიორობამ ისეთი ყოვლისმომცველი ხასიათი მიიღო, რომ უკრაინელი ოფოციალური პირებიც კი ხელმრუდობენ.

„დასავლეთ უკრაინაში ბინების გაქირავების ფასი სამჯერ და ოთხჯერ გაძვირდა. ლვოვის სასტუმროებში ფასებმა მინიმუმ ორჯერ იმატა. სად გაქრა სურვილი იმ უკრაინელების დახმარების, რომლებიც უსახლკაროდ დარჩნენ?!“ — აღშფოთდნენ ლვოვისა და ივანო-ფრანკოვის მერები.

აღმოსავლეთ უკრაინიდან ლტოლვილების დარბევა გრძელდება. მათ შორის ავრცელებენ ფურცლებს, რომლებშიც მოუწოდებენ ომს გამოქცეულ მამაკაცებს კვლავ ჩაებან ომში, ქალებმა მოხალისეობა დაიწყონ, პირადი ავტომანქანები ომის საჭიროებას მოახმარონ. თან ემუქრებიან: თუ ამ „ოქროს წესებს არ დაემორჩილებით, ბიჭები პოლიციიდან, სამხედრო კომისარიატებიდან, ტერიტორიის დაცვიდან უფრო გასაგებად განგიმარტავენ!“

ლტოლვილები ამ მუქარის გარეშეც დატანჯულები არიან.

რუსეთიდან გაგზავნილი ჰუმანიტარული დახმარების მიღების რიგში მდგარ ლტოლვილებს ჭურვების სამიზნედ იმეტებენ.

და ა.შ. და ა.შ.

რა თქმა უნდა, დასავლეთ უკრაინაში კეთილი ადამიანები ცხოვრობენ, წერს კევორქიანი, ისინი საკუთარ ოჯახებში იფარავენ უსასოოდ დარჩენილ აღმოსავლელებს, მაგრამ ის უმსგავსობა, რომელიც თუნდაც ლვოვში ხდება, ტენდენციად არის ჩამოყალიბებული. „არადა, 30 წლის განმავლობაში გვარწმუნებდნენ, რომ დასავლეთი უკრაინა ერის კულტურისა და სულიერების აკვანია. ომმა ყველაფერი გამოააშკარავა — მაშინ, როცა ქვეყნის ერთი ნაწილი ლატაკდება, უსახლკაროდ რჩება, მეორე ნაწილი სწორედ ამით მოგებას პოულობს. მაშ, ვინაა პატრიოტი, პატივცემულო ლვოველებო?! დამპალი სულია საქმოსნების და არა პატრიოტების! — გულდაწყვეტილია პუბლიკაციის ავტორი.

ეს არის ერთი ფრაგმენტი ქვეყანაში განვითარებული პროცესების. მნიშვნელოვანი მახასიათებელი, მაგრამ მაინც ერთ-ერთი. ქვემორე მკითხველებს მოკლედ შევთავაზებთ სხვა ფაქტორების მიმოხილვას.

ანალიტიკოსები ცდილობენ, თავიანთი მოსაზრებები დოგმატიკის გარეშე წარმოგვიდგინონ.

არსებობდა დიადი და უძლეველი საბჭოთა კავშირი, მაგრამ, როცა დასავლეთისკენ გაიხედა, პირველები აუჯანყდნენ „სოციალისტური ბანაკის“ ქვეყნები, რომელთა ყურმოჭრილი ყმობის დაუფარავმა გამოვლინებამ გააოცა ზოგიერთი ანალიტიკოსი.

ყმას აიძულებენ, იმუშაოს.

ყურმოჭრილ ყმას სიამოვნებას ჰგვრის ყმობა, ბატონს ფეხსაცმელს რომ ულოკავს. თუ რუსეთისა და აშშ-ის დაპირისპირებაში ამერიკა გაიმარჯვებს, შტატები ისე მოდრეკენ ევროპელებს, როგორც გაუხარდება. ეს უკანასკნელნი დღესაც უკოცნიან ჩექმას ამერიკელებს.

ბევრი მიზეზისა გამო, მაგრამ უპირველესად იმიტომ, რომ ჩინეთი დაეხმარება მათაც და ამერიკელებსაც რუსეთის განადგურებაში. ამერიკელებს სურთ, ათეულობით წლების განმავლობაში კვლავაც იბატონონ მსოფლიოში. ასეთია მათი სტრატეგიული ჩანაფიქრი.

ჩინეთიც სტრატეგიულად აზროვნებს.

მკვეთრად აჩქარებული ტექტონიკური ძვრები ნათელყოფს, რომ აშშ-მა დაკარგა მსოფლიო. მის კონტროლს დღეს ექვემდებარება ქვეყნები, რომელთაგან არც ერთს არ გააჩნია სერიოზული სახელმწიფოებრივი სუბიექტურობა.

გარდა თვით შეერთებული შტატებისა.

ბაიდენისა და სი ძინპინის ახლახან გამართულმა საუბარმა რთულად ჩაიარა, საერთო ენა ვერ გამონახეს და ცხადი გახდა, რომ ჩინეთისთვის შეერთებული შტატებისადმი ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულება სულაც არ არის სავალდებულო და აუცილებელი, შეერთებული შტატებისთვის კი — არის. ჩინეთი არაფერს დათმობს. შეერთებული შტატები — პირიქით, რადგან, რასაც კი ყიდულობენ ამერიკელები ამერიკაში, წარმოებულია ჩინეთში. სანქციების დაწესება ჩინეთისთვის საკმაოდ სასაცილო წამოწყება იქნება.

ინდოეთი, მსოფლიოს მეორე გიგანტი, რომლის საერთო ეროვნული პროდუქტი უახლოეს მომავალში უფრო მეტი იქნება, ვიდრე ევროკავშირის საერთო პროდუქტი, არა თუ არ აპირებს, რუსეთს რაიმე სანქცია დაუწესოს, არამედ მკვეთრად ზრდის რუსეთის ენერგოშემცველობის შესყიდვას და ინდური სამედიცინო პროდუქტების — წამლების და ა.შ. მიწოდებას.

**ცნობისთვის:** ამერიკაში მოხმარებული წამლების 90 პროცენტი ინდოეთშია დამზადებული.

ახლო აღმოსავლეთი აშშ-ისთვის დაკარგულია. საუდის არაბეთის, გაერთიანებული არაბეთის ემირატების პოზიცია გვიჩვენებს, რომ მკვეთრად ზრდიან რუსეთთან თანამშრომლობას ყველა მიმართულებით. ირანის მთავრობამ ახლახან განაცხადა, რომ ოთხჯერ გაზრდის რუსეთისთვის ხილბოსტნეულის მიწოდებას და, თავის მხრივ, გაზრდის რუსეთში ნაწარმოები პროდუქციის შესყიდვას მდიდარი სპექტრით.

აფრიკა, ბრაზილია ამავე მიმართულებით განავითარებენ რუსეთთან ურთიერთობას.

ეს ყველაფერი კი მოწმობს, რომ აშშ-ევროპული მედიის ფართომასშტაბიანი პროპაგანდისტული ლაშქრობა რუსეთის წინააღმდეგ უკრაინის მოვლენების გამო სურვილის სფეროს არ სცილდება.

რაც ამერიკის ლიდერობის კოლაფსს ადასტურებს. ანალიტიკოსების აზრით, ლიდერი საზოგადოებრივ სიკეთეს ქმნის. პოზიტიურს რას აკეთებს სხვა ქვეყნებისთვის აშშ, საეჭვოა. შეუძლია კი ამ ვითარებაში აშშ-ს, შესთავაზოს სხვა ქვეყნებს რაიმე დადებითი მათ მისამხრობად?

ვერაფერს შესთავაზებს.

გარდა დოლარისა. ასე მიაჩნიათ, მაგრამ ამჯერად უკუპროცესი მიმდინარეობს — მხოლოდ „სანქციების კომბალს“ ფლობენ, ვიღაცას აგულიანებენ, ვიღაცას აშინებენ. ნეგატიური ზემოქმედება ერთადერთია, რომლის შეთავაზებაც შეუძლიათ. სუბიექტის მიერ მხოლოდ მუქარის მეშვეობით მოკავშირეების მიმხრობა ლიდერობას არ ნიშნავს, — ხაზგასმით მიგვითითებენ სპეციალისტები.

მოკლე ხნით, მცირე დროით — კიდევ ჰო, მაგრამ არა უმეტეს. ეს კი ტერორისტის დამახასიათებელი თვისებაა.

შეიძლება განგსტერიც დავარქვათ.

მაგრამ უკრაინაში ამერიკას აღიქვამენ, როგორც სამხედრო ზესახელმწიფოს, რომელსაც ხელეწიფება სხვა ყველას გაცამტვერება. მაგრამ შტატები დღეს აღარ აღიქმება სამხედრო გიგანტად და იგივე „ჯაველინები“, რუსეთის შეიარაღებასთან შედარებით, „ბაზისზე მეტს ვერ ქაჩავს“.

„ჯაველინი“ ხელწამოსაკრავი იარაღი რომ არ არის, ფაქტია. კარგი კომპლექსია, მაგრამ სწორედ რომ კომპლექსია კლასიკურ ბრძოლაში გამოსაყენებლად, რომელშიც ყველაფერი კომპიუტერებში დახატულის მიხედვით ვითარდება. რეალობა კი სხვაგვარია. „ჯაველინი“ ვითარებას ვერც განსაზღვრავს და ვერც შეცვლის. ვითარების შემცვლელი დღევანდელ მსოფლიოში, თანაც დიდი ხანია, არის „კალაშნიკოვი“. სპეცების აზრით, სწორედ იგია ბრძოლის ველზე ვითარების ჩამომყალიბებელი მანქანა.

ამერიკის სამხედრო მანქანა არასოდეს ყოფილა შესანიშნავი, სამაგალითო და ძლიერი. გარკვეული მითები, საკმარისი ფინანსური მხარდაჭერა მას ასეთად წარმოგვისახავდა. წააგეს ომი ვიეტნამში და გადაიღეს ისეთი ფილმები, რომლებშიც ამერიკა იმარჯვებს. ავღანეთიდან გაიძურწნენ, მაგრამ სამარცხვინო გაქცევა უკვე ყველამ დაივიწყა.

შტატებმა თავიანთი არმია საბრძოლო მანქანიდან ტრანსგენდერების, ტრანსსექსუალების, მამათმავლების, ლესბოსელების ნაწილებიდანააწყვეს, რომელიც ეშმაკმა უწყის, რა მიმართულებით ბრუნავს.

და იბრძვის თუ არა საერთოდ.

აშშ-ის სამხედრო მანქანა, — ამტკიცებენ სპეცები, — მხოლოდ სამხედრო ბიუჯეტია და ჰოლივუდის ნაწილი. კარგა ხანია, იგი აღარ შედგება „მწვანე ბერეტების“, „საზღვაო ქვეითებისა“ და ა.შ. საბრძოლო ერთეულებისგან.

ამიტომაც ხდება მასობრივი განთესვა ამერიკის არმიიდან.

არადა, მსოფლიოს სამხედრო ხარჯის ნახევარი სწორედ ამ არმიაზე მოდის.

მაგრამ უგულებელყოფა იმის, რომ სამხედრო-ტექნიკური თვალსაზრისით აშშ-ის სამხედრო ძალები აღჭურვილია მოწინავე ტექნიკით, განსაკუთრებით სამხედრო-საზღვაო ფლოტი და ავიაცია, გამორიცხულია.

ამგვარად დანაწევრებულ-დაშლილ არმიას სხვის ომში ჩართვა რომ არა მარტო არ სურს, არამედ ძალიც არ შესწევს დახმარების, აღარავის უკვირს.

ეს უუნარობა თუ სურვილის უქონლობა კარგად გამოჩნდა 2008 წლის მოვლენების დროს საქართველოში და კიდევ ერთხელ დასტურდება უკრაინაში მიმდინარე სპეცოპერაციის პროცესში: იარაღს უგზავნიან, ჯავშანჟილეტებს, სამხედრო ტექნიკასაც არ აკლებენ, მაგრამ არ იბრძვიან.

მთავარი მიზეზი პარიტეტია, რომელიც სამ არმიაში ჩამოყალიბდა: რუსეთის არმიაში, აშშ-ის არმიასა და ჩინეთის არმიებში. ჩინეთის არმია ყველაზე მრავალრიცხოვანია, რუსეთის არმია ყველაზე ბრძოლისუნარიანია, ამაში არავის ეჭვი არ ეპარება და ყველაზე უკეთ დაფინანსებული ამერიკის არმიაა.

ხაზგასმულია, რომ ტექნიკური აღჭურვილობით ამერიკის არმია რუსეთისას, სულ ცოტა, 20 წლით ჩამორჩება. როგორც ექსპერტები შენიშნავენ, აშშ-ის არმიის ბიუჯეტი არ არის მებრძოლი არმიისთვის განკუთვნილი. ამ დოკუმენტში უმთავრესი სტატიებია სამხედრო პენსიები და სამხედრო მოსამსახურეების დაზღვევისთვის გამიზნული ხარჯები, რომლებიც მთლიანი სამხედრო ხარჯის, ფაქტობრივად, ნახევარია.

ანალიტიკოსები შენიშნავენ, რომ, ვინც ისტორიას წერს, იგი განსაზღვრავს მომავალს.

ამასთან, თუ საბჭოთა ეპოქაში ვიტყოდით იმას, რაც თქვენ ეს-ესაა წაიკითხეთ, კომუნისტურ პროპაგანდად ჩაგითვლიდნენ, რადგან ვიყავით უცხონი, სხვა საზოგადოებრივი ფორმაციის წარმომადგენლები. მაგრამ ახლა ხომ ერთ პლატფორმაზე ვდგავართ? მაშასადამე, რასაც ვამტკიცებთ, ჭეშმარიტება ყოფილა, რადგან კომუნისტური პროპაგანდა არავის გახსენებია.

მაგრამ მაინც მონუსხული ვრჩებით.

### ბოლოთქმის ნაცვლად

ამ ბოლოდროს უცხოეთის პრესაში ამოვიკითხე ასეთი მოსაზრება: „მალე ასპარეზზე გამოვა თაობა, რომელიც კვლავ დაფიქრდება მსოფლიოს ახლებურად მოწყობაზე. ამჟამად იდეები და ფული კი არ მართავს მსოფლიოს, არამედ ფანატიზმი. ეროვნული ფანატიზმი ისევე საშიშია, როგორც რელიგიური. ფანატიზმი გამოიყენებს იდეებს და მოიზიდავს ფულს, ამიტომ მისი დამარცხება ძალიან რთულია“.



დონეცკის ცენტრის დაბომბვის კვალი

**უკრაინაში ამერიკას აღიქვამენ, როგორც სამხედრო ზესახელმწიფოს, რომელსაც ხელეწიფება სხვა ყველას გაცამტვერება. მაგრამ შტატები დღეს აღარ აღიქმება სამხედრო გიგანტად და იგივე «ჯაველინები», რუსეთის შეიარაღებასთან შედარებით, «ბაზისზე მეტს ვერ ქაჩავს»**

**მიმოხილვა მოამზადა
ზურაბ სამხარაძე**

პუტინის თქმით, უკრაინაში ომის მიზანი ადამიანებისთვის გენოციდის თავიდან არიდებაა; ზელენსკი კი აცხადებს, რომ უკანასკნელ უკრაინელამდე დაიცავს მშობლიურ მიწას აგრესორისგან. და ვინ არის ამჟერად აგრესორი: ის, ვინც ომი დაიწყო, თუ ის, ვინც ომის დაწყების პროვოცირება მოახდინა? — ეს ის შეკითხვაა, რომელზეც ყველაზე ზუსტ პასუხს იძლევა ერთი ქართული ანდაზა: მექოთნეს, საითაც უნდა, ქოთანს ყურს იქით გაუკეთებსო.

მწარე სიმართლე
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

რუბრიკას უძღვება დარეჯან ანდრიაძე

# ომი
## ბოროტება, რომელიც ხალხს არ სჭირდება

**ადამიანები პრეისტორიული დროიდან ომობენ და, ალბათ, ამ ხნიდანვე კამათობენ ომის ავკარგიანობაზე. უკანასკნელი 5 ათასი წლის განმავლობაში მსოფლიოში 14,5 ათასი დიდი და პატარა ომი მოხდა, მათი მსვლელობისას დაიღუპა, განადგურდა, ეპიდემიებითა და შიმშილით დაიხოცა 3,6 მილიარდი ადამიანი. დღეს ნებისმიერი ქვეყნის რიგით მოქალაქეს რომ ჰკითხოთ აზრი ომის შესახებ, გიპასუხებთ, რომ ომი ცუდია და ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ იგი თავიდან იქნას აცილებული, მაგრამ ამ თვალსაზრისს ყველა ხელისუფალი არც ადრე იზიარებდა და არც ახლა ითვალისწინებს, მათ ამბიციებსა თუ პირად შეხედულებებს ეწირება უდანაშაული ადამიანთა სიცოცხლე, ილახება უამრავი ადამიანის უფლებები.**

დღეს ომი მძვინვარებს უკრაინის მიწაზე და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილმა ხალხმა აღარ იცის, რის გამო ისჯება, რისთვის უხოცავენ უმწეო მოხუცებს, ბავშვებსა და ქალებს, რისთვის წირავენ სიცოცხლეს ფრონტზე წასული ახალგაზრდები. ამ ადამიანებმა არ იციან, ვის დაუჯერონ, ვისი იწამონ, ბრალი ვის დადონ. იციან მხოლოდ ერთი რამ — **ომი საშინელებაა, ბოროტება, რომელიც აუცილებლად უნდა შეწყდეს!**

წავიდა ურთიერთობების ხიშტით მოგვარების დრო, XXI საუკუნის ადამიანს სურს, მისი უფლებები და თავისუფლება დაცული იყოს საერთაშორისო კანონებით და ყველა პრობლემა სახელმწიფოებმა დიპლომატიური მოლაპარაკებების გზით გადაწყვიტონ. ახლახან სოციალურ ქსელში გავრცელდა სულისშემძვრელი ვიდეო, რომელშიც ახალგაზრდა მამაკაცი მიმართავს როგორც რუს, ისე უკრაინელ ჯარისკაცებს, რომ დაყარონ იარაღი, უარი თქვან ერთმანეთის დახოცვაზე და ამ გზით აიძულონ ხელისუფალნი, პრობლემების მოგვარევის მშვიდობიან გზებზე იფიქრონ:

„მე ლაჩარი არ ვარ და დაე, მოისმინოს მთელმა მსოფლიომ, რასაც ახლა ვიტყვი: რომელი ქვეყნის პრეზიდენტმაც უნდა მიბრძანოს სხვა ქვეყნის მოქალაქეების დახოცვა, მე არასდროს შევასრულებ ამ ბრძანებას, რადგან მე ვცხოვრობ ჩემი პრინციპებით: პირველი — ვთვლი, რომ **არ მაქვს უფლება, ხელვყო სხვისი სიცოცხლე,** მეორე — **არ მაქვს უფლება, გავაუბედურო ვინმეს დედა**, მესამე — **არც ერთი მიწა არ ღირს ჩვენი მშობლების ცრემლებად**, მეოთხე — **ჩემთვის არსებობს ერთადერთი ნაცია — ეს არის ადამიანი, ჩემთვის არსებობს ერთადერთი სამშობლო — ეს არის პლანეტა დედამიწა** და, თუ რომელიმე ქვეყნის პრეზიდენტს სხვა რომელიმე ქვეყნის პრეზიდენტთან გასარკვევი აქვს რაიმე საკითხი, დაე, პირადად გაარკვიოს მასთან და ხალხს ამაში ნუ გარევს. მაგრამ, ნაცვლად ამისა, ის საკუთარი უკანალის გადასარჩენად ომში, სასაკლაოზე ჩვენ გვგზავნის, გვაიძულებს, ვიქცეთ მკვლელებად. მე კი არ მინდა, ვიქცე მკვლელად!

მინდა, ყველა ხელისუფალს შევახსენო ერთი ჭეშმარიტება: **როცა თქვენ პრეზიდენტად აგირჩიეს, მაშინვე უნდა მიმხვდარიყავით და შემდგომშიაც არ უნდა დაგევიწყებინათ, რომ ჩვენ კი არ ვართ თქვენი მსახურნი, არამედ თქვენ ხართ ხალხის მსახურნი! ჩვენ კი არ უნდა გიცავდეთ ჩვენი სიცოცხლის ფასად, არამედ თქვენ უნდა წყვეტდეთ საკითხებს ჩვენი სიცოცხლისთვის საფრთხის შეუქმნელად! თქვენი მოვალეობაა ხალხის დაცვა და არა მათთვის ხელში იარაღის მიცემა!**







**«ჩემთვის არსებობს ერთადერთი ნაცია — ეს არის ადამიანი, ჩემთვის არსებობს ერთადერთი სამშობლო — ეს არის პლანეტა დედამიწა და, თუ რომელიმე ქვეყნის პრეზიდენტს სხვა რომელიმე ქვეყნის პრეზიდენტთან გასარკვევი აქვს რაიმე საკითხი, დაე, პირადად გაარკვიოს მასთან და ხალხს ამაში ნუ გარევს. მაგრამ, ნაცვლად ამისა, ის საკუთარი უკანალის გადასარჩენად ომში, სასაკლაოზე ჩვენ გვგზავნის, გვაიძულებს, ვიქცეთ მკვლელებად. მე კი არ მინდა, ვიქცე მკვლელად!»**



თქვენ გავიწყდებათ, რომ ღმერთმა შექმნა ადამი და ევა, და არა იარაღი. **მე არ ვიომებ იმიტომ, რომ გული სიძულვილით არ მაქვს სავსე...“.**

„გამარჯვების მომტანი ომიც კი ბოროტებაა, რომელიც ხალხის სიბრძნით თავიდან უნდა იქნეს აცილებული“ — ეს ოტო ფონ ბისმარკის სიტყვებია. სოციალურ ქსელში გაჟღერებული მოწოდებაც, ალბათ, ხალხის სიბრძნის იმედად გაისმა. თანაც ისტორიამ არა ერთხელ დაამტკიცა, რომ „ომში გამარჯვებულები არ არსებობენ, იქ მხოლოდ დამარცხებულები არიან“ *(ჰორაციუსი)*.

ძმათამკვლელი ომი არც უკრაინას და არც რუსეთს კარგს არაფერს მოუტანს. როგორც ყველა ომი, ეს ომიც დასრულდება, მაგრამ დარჩება დიდი ტკივილი, მოუშუშებელი იარა და დადგება დრო, როდესაც ამ ხოცვა-ჟლეტის გამჩაღებლებს — ყველას დამსახურებულად საკადრისი მიეზღვება. ახლა კი მთავარია, ომის ქარცეცხლი მსოფლიოს არ მოედოს, რისი მცდელობაც უკვე შესამჩნევია.

უკრაინის პრეზიდენტი ზელენსკი აცხადებს, რომ მზად არის რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან მოლაპარაკებებისთვის, მაგრამ წარუმატებლობის შემთხვევაში, ეს შესაძლოა ნიშნავდეს, რომ ორ ქვეყანას შორის ბრძოლამ მესამე მსოფლიო ომამდე მიგვიყვანოსო. არადა, მოლაპარაკებების გარეშე ომის დასრულება შეუძლებელია.

„რუსული ძალები მოვიდნენ ჩვენს გასანადგურებლად და დასამხობად. ჩვენ დავამტკიცეთ, ხალხისა და ჩვენი არმიის ღირსება, დავამტკიცეთ, რომ ჩვენ შეგვიძლია ძლიერი დარტყმით ვუპასუხოთ. მაგრამ, სამწუხაროდ, ღირსება არ კმარა უდანაშაულოთა სიცოცხლის შესანარჩუნებლად. ასე რომ, ვფიქრობ, უნდა გამოვიყენოთ ნებისმიერი ფორმატი, ნებისმიერი შანსი, რათა გვქონდეს მოლაპარაკების, პუტინთან საუბრის შესაძლებლობა. მაგრამ, თუ ეს მცდელობები წარუმატებლად დასრულდება, ეს ნიშნავს, რომ ეს არის მესამე მსოფლიო ომი“, — განაცხადა ზელენსკიმ.

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი კი უკრაინაში ომის მიზნებზე საუბრისას, სახარებას იშველიებს. ამის შესახებ რუსული მედია წერს.

კრემლის ლიდერმა დონბასში მშვიდობიანი მოსახლეობისთვის ტანჯვისა და გენოციდის არიდებაზე საუბრის დროს სწორედ წმინდა წერილის ციტატა მოიშველია:

„თავში მომდის სიტყვები წმინდა წერილიდან: არ არსებობს იმაზე დიდი სიყვარული, ვიდრე ის, როდესაც ვინმე სულს დათმობს თავისი მეგობრისთვის“.

მისივე თქმით, „ყირიმელები და სევასტოპოლელები მართებულად მოიქცნენ, როდესაც ნეონაცისტებსა და ნაციონალისტებს გზაზე ბარიერი შეუქმნეს“.

**არსებობს ტერმინი „სამართლიანი ომი“ — უდანაშაულოთა დასაცავად, აგრესორთა წინააღმდეგ წარმოებული ომი, რომლის შედეგად სამართალი უნდა აღსრულდეს. პუტინის თქმით, უკრაინაში ომის მიზანი ადამიანებისთვის გენოციდის თავიდან არიდებაა; ზელენსკი კი აცხადებს, რომ უკანასკნელ უკრაინელამდე დაიცავს მშობლიურ მიწას აგრესორისგან.**

**და ვინ არის ამჟერად აგრესორი: ის, ვინც ომი დაიწყო, თუ ის, ვინც ომის დაწყების პროვოცირება მოახდინა? — ეს ის შეკითხვაა, რომელზეც ყველაზე ზუსტ პასუხს იძლევა ერთი ქართული ანდაზა: მექოთნეს, საითაც უნდა, ქოთანს ყურს იქით გაუკეთებსო.**

**«როცა თქვენ პრეზიდენტად აგირჩიეს, მაშინვე უნდა მიმხვდარიყავით და შემდგომშიაც არ უნდა დაგევიწყებინათ, რომ ჩვენ კი არ ვართ თქვენი მსახურნი, არამედ თქვენ ხართ ხალხის მსახურნი! ჩვენ კი არ უნდა გიცავდეთ ჩვენი სიცოცხლის ფასად, არამედ თქვენ უნდა წყვეტდეთ საკითხებს ჩვენი სიცოცხლისთვის საფრთხის შეუქმნელად! თქვენი მოვალეობაა ხალხის დაცვა და არა მათთვის ხელში იარაღის მიცემა!»**

ფოსტა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რა მოგვცა დასავლეთის ლაქუცმა — საავიაციო მეტალურგიული, ჩარხმშენებელი, ელმავალმშენებელი, ავტო და გემთმშენებელი ქარხნები აგვიშენა, ააყვავა სოფლის მეურნეობა და საქართველო მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად აქცია? მას ბანანის ქვეყნებს უკან ევროპული დროშების ფრიალით მიმავალი, დაკნინებული და გაღატაკებული საცოდაობა სჭირდება, ლუკმის მიგდების მომლოდინე გოშიასავით, საითაც მოისურვებს, იქით რომ აყეფოს.**

# ვაი უმეცრებისგან



გივი სომხიშვილი

**ასეთი საშინელი ვითარება, ალბათ, შავი ჭირის მძვინვარების პერიოდშიც არ ყოფილა. რა მოხდა? რატომ აუჯანყდა ადამიანობა ადამიანის ცხოვრების სრულყოფას? საბჭოთა კავშირის ხაალხებმა დიდი სამამულო ომის წლებში საზარელი გაჭირვება გადაიტანეს, მაგრამ ნორმალური ცხოვრების იმედი ყველას ასულდგმულებდა.**

განა შეიძლება სოციალურ კეთილდღეობას ნაზიარები ადამიანი მოხვეჭის გაუმაძღრობის მსხვერპლად იქცეს და ათასობით კეთილშობილ მშრომელთა სიცოცხლე ერთიან კვნესად აქციოს?! როცა ადამიანში მოხვეჭის გაუმაძღრობა, მტკიცე, დამსჯელი ხელის შიშით სპორაში შემძვრალი პარაზიტივით გაყუჩებულა მისთვის საჭირო ამინდის მოლოდინში, მტკიცე ხელი მანამდე უნდა მართავდეს ქვეყანას, სანამ მოხვეჭის ცხოველური ინსტინქტი სრულიად არ მოისპობა და ადამიანის შეგნებაში ნორმალურ მოთხოვნებზე მეტის სურვილი კოშმარული სიზმარივით არ გაქრება.

**საბჭოთა კავშირში სოციალური კეთილდღეობის დამცველთა რწმენას სტალინის სიკვდილის შემდეგ ყველაზე მძიმე დარტყმა კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროში თავმოყრილმა შეთქმულთა ხროვამ მიაყენა. მოიცილეს სტალინი და ღალატის ბილიკზე შემდგარმა უმეცარმა კარიერისტებმა ღალატით მოკლეს ლავრენტი ბერია და ყველა ის სიბინძურე მიაყარეს, რომელშიც თვითონ ფართხალებდნენ გუბის ბაყაყებივით.** საბჭოთა კავშირზე ამერიკის თავდასხმისგან დამზღვევს, უცხოეთის დაზვერვისა და ძირგამომთხრელი საქმიანობის ამომძირკველს, იმპერიალიზმის რისხვასა და საბჭოთა კავშირის უაღრესად თავდადებულ, ნიჭიერ მოღვაწეს იმპერიალიზმის დაქირავებული აგენტობა დასწამეს, გასამართლების სპექტაკლი მოაწყვეს და ბერიად გასაღებულ ვიღაც მსახიობს, მეგრულიც რომ არ იცოდა, დახვრეტა მიუსაჯეს. ასე ჩამოიცილეს გზიდან სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც მათი მუხთლობისთვის ყველაზე დიდი საფრთხე იყო. მოხდა შენიღბული ანტისაბჭოთა კონტრრევოლიციური გადატრიალება. ამის გამჟღავნება ხუნტისათვის სახიფათო იყო, რადგან სტალინისა და სოციალური კეთილდღეობისადმი რწმენა მტკიცე გახლდათ. ამიტომ საბჭოთა კავშირის გარეგნული სახე შინარჩუნეს, მაგრამ შიგნით წყობა ისეააქოთეს, რომ თვითონაც აერიათ თავგზა.

**ხელისუფლების სათავეში გამძვრალი გასაოცარი უწიგნური, გათავხედებული მასხარა ავანტიურისტი ნიკიტა ხრუშჩოვი ქვეყანაში დაშლიგინებდა და თავისი ბეცი ჭკუით გამოჩეკილ ბოდვებს აკანონებდა, დასავლეთში კი ამას ხრუშჩოვის დათბობის პოლიტიკა შეარქვეს.** შავბნელი, მავნებელი ელემენტები უდანაშაულოდ დასჯილებად გამოაცხადეს, მათაც თავიანთი ამინდის დადგომით მოქმედების ფართო ასპარეზი მიეცათ, შეთითხნილი და გამოგონილი სიცრუის ცილისმწამებლური ყბედობის კორიანტელი დააყენეს. დადგა ამინდი, რომ პირდაპირ შეეტიათ სოციალისტური ცხოვრების მყარი საფუძვლებისათვის და აშკარად დაიწყეს სტალინის პიროვნების კულტად სამარცხვინოდ შეთხზული ბრალდებების ბოდვა. შედეგად განხეთქილება შეიტანეს მსოფლიოს მშრომელთა ერთიან კომუნისტურ მოძრაობაში და ყველაზე ერთგულ, დიდ, მეგობრულ ჩინეთს მტრად გაუხდნენ. ახლა ქვეყანა რწმენას კი არა, ძალის პოლიტიკას ეყრდნობოდა.

როგორც იყო, პოლიტბიუროში გონზე მოვიდნენ და ქვეყნის საზიანოდ თავაწყვეტილი ხრუშჩოვი გადააყენეს, მაგრამ მისმა მხარდამჭერმა ავანტიურისტმა ჯარის ამოქმედების მუქარით ხრუშჩოვი გადაარჩინა, მანაც ამაგი „დაუფასა“ და უზომოდ აღზევებული ჟუკოვი მოხერხებული კვანტით მოიშორა. სტალინის ადამიანთა საკეთილდღეოდ თავდადებული და ბრძნული ხელმძღვანელობის შედეგად კომუნისტური პარტიის ერთგულების რწმენას ბზარი გაუჩნდა.

პარტიულ და სამეურნეო ხელმძღვანელ თანამდებობებზე ხრუშჩოვის ერთგული ელემენტები წამოსხდნენ და თავიანთი მანკიერი აზროვნებით გვარიანად დააბინძურეს ისედაც გზას აცდენილი ცხოვრება. **მათი სავალალო უნიათობით გაწბილებული ხალხის მთავრობისადმი ნდობა უნდობლობამ შეცვალა. სტალინის ბრძნულ გზას აცდენილი მძლავრი და წარმატებული მსოფლიოს დომინანტი ქვეყანა დაიმშა. საბჭოთა კავშირის თავდაჯერებული კარიერისტი ხელმძღვანელების უცოდველობის მითი სამარცხვინო ანეკდოტების პროდუქტად იქცა.** ახლა უკვე ხრუშჩოვის თავხედობით შეძრწუნებულმა მისივე შერჩეულმა „ვერხუშკამ“ გადააყენა ხრუშჩოვი, მაგრამ საბჭოთა კავშირის სოციალურ სიკეთეს და მთლიანად მსოფლიოში მშრომელთა კეთილდღეობისათვის ერთიან ბრძოლას ყველაზე მძიმე დარტყმას პოლიტბიუროში გამძვრალი ხუნტელთა ხროვა აყენებდა. სპორიდან გამოძვრა პარაზიტი და ჯანმრთელი სოციალისტური ორგანიზმის ღრღნა დაიწყო. კორუფცია, მექრთამეობა, მომხვეჭელობა, ბურჟუაზიული ჭაობის სიმყრალე ამოძრავდა და ქვეყნის დამანგრეველ ძალას იკრებდა.. ყალბ წარმატებებზე პომპეზური საზეიმო აურზაური. მიწერებით მოპოვებული ციფრებით შრომის გმირობაზე, ორდენებსა და გარდამავალ დროშებზე ნადირობამ ზნეობრივ-მორალური ყველა ბარიერი წალეკა. **ქვეყანაში მოჩვენებითი კეთილდღეობის აჩრდილი დაწანწალებდა. ხალხისთვის მებრძოლის ნიღბიანი კომუნისტური „ვერხუშკა“ სოციალური კეთილდღეობის საფუძვლებს უმეცრის მონდომებით ამახინჯებდა.** საბჭოთა კავშირის ხალხები ამ უზარმაზარ ქვეყანაში ერთიანი სამშობლოს რწმენით ერთმანეთთან ძმურად და მეგობრულად რომ ცხოვრობდნენ, სეპარატიზმის შხამმა ქვეყნისა და საკუთარი თავის უბედურებად გააბოროტა. დაიწყეს იმ ტოტის მოჭრა, რომელზეც ასე ამაყად და ნებივრად ისხდნენ. სეპარატიზმის ბოროტმა ბაცილამ რუსეთშიც იპოვა ნაყოფიერი ნიადაგი და კარიერისტ ე.წ. ელიტაში გაიდგა ფესვები. საბჭთა კავშირის კომუნისტური პარტია ბოლოს ისე გადაგვარდა და გაიხრწნა, ყალბ დიდებაზე ტრაბახში დაეშალა საბჭოთა კავშირი და თვითონაც ზედ მიჰყვა.





**საქართველოს სხეულზე პარაზიტებად ჩათესილი ხალხის საძულველი ლიბერასტები, გარყვნილი სექსუალური მანიაკები, ნეოფაშიზმის შხამიანი ცურნაწოვი ნაციონალი ბაბუინები, უავტორიტეტო პარტიების დამყაყებული, ნამუსის ძარღვგაწყვეტილი ვაიპოლიტიკოსები ანტირუსული ფსიქოზით დაავადებულთა ღვარძლს ქართველი ხალხის სახელით რომ ანთხევენ, საქართველოს უბედურება თუ დაატეხეს თავს, ქართველი ხალხის სუსხიანი სამსჯავროსგან ევროატლანტიკური წამქეზებლები ვერ გადაარჩენენ...**

კაცობრიობის ისტორიაში არ მოიძებნება **მიხეილ გორბაჩოვის** მსგავსი ქვეყნის დამაქცევარი ყეყეჩი თავკაცი და მის მიერვე აღზევებული გამოუფხიზლებელი ლოთი **ელცინი.** დაშალეს საბჭთა კავშირი და სტალინის პერიოდში დიდების ზენიტში აყვანილი რუსეთი ისე დააკნინეს, რომ მის დასაქუცმაცებლად ნატოს ქვეყნები მგლების ხროვასავით პირზე მომდგარ დორბლს ველარ იკავებდნენ. საერთაშორისო შეთანხმებებიც მოტყუების, თვალთმაქცობისა და ძალის პოლიტიკის ქარის ქროლვას აყოლილი ფოთოლივით, საიდანაც დაუბერავს, იქით იხრება. ყეყეჩ გორბაჩოვსაც შეჰპირდნენ, რომ ნატო არ გაფართოვდებოდა. ღალატით გონდაბინდული საბჭოთა კავშირი ყოფნა-არყოფნის ბურანში დათვივით თვლემდა. საკმარისი იყო მისთვის გამოფხიზლების ვაქცინად ერთგული მამულიშვილების გაბრძოლება, რომ დასავლეთის თვალთმაქცობები გორბაჩოვის ღალატიანად მოუსავლეთში მოესროლათ, მაგრამ **მუხთლობის მსხვერპლი საბჭოთა კავშირი კი არ გარდაიცვალა, მოკვდა.** მძლავრი მეგობრის დაცემითა და ღალატით თავგზაარეულ ევროპის დემოკრატიულ რესპუბლიკებშიც ძალაუფლება ხელთ იგდეს სოციალიზმის მტრებმა, რუსოფობიით მოწამლულმა ლიბერასტებმა და ყველა ნატოში შეგრიალდა. მათ ყოფილი საბჭოთა კავშრის ბალტიისპირეთის რესპუბლიკებიც მიჰყვნენ. საბჭოთა კავშირში კი სახალხო ქონების განიავება, დატაცება ისე მძვინვარებდა, რომ პატიოსან მშრომელებს არსებობის საშუალება მოესპოთ. **არც სამოქალაქო და არც სამამულო ომს ისეთი ზიანი არ მიუყენებია ქვეყნისთვის, რაც შეძლო გადაგვარებულ-გახრწნილი არსებების კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობაში შეძრომამ. სოციალისტური კეთილდღეობის მშენებელი ქვეყანა ველური კაპიტალიზმის ბრჭყალებში მოექცა. განგებამ რუსეთი საბოლოოდ მაინც არ გაწირა, პუტინმა შეაჩერა მისი დაკნინების პროცესი, მაგრამ რაღა დროს!.. რუსეთი საბჭოთა კავშირისდროინდელი დიდებიდან აჩრდილიღა დარჩა.**

ნატოშიც დაუდგათ ამინდი რუსეთის არაფრად ჩაგდებისა და საზარელი ძალადობით გაწეწეს მისი ერთგული რწმენით და სისხლ-ხორცით მეგობარი სერბეთი, თავისი ტერიტორიის მთლიანობისთვის რომ იბრძოდა. ჩამოაჭრეს კოსოვო და დამოუკიდებლად გამოაცხადეს, მას ჩერნოგორიაც მიაყოლეს. სერბეთს აუკრძალეს ირგვლივ მცხოვრები სერბების ინტერესების დაცვა. ახლა ვოევოდინაც, სურთ, ჩამოაჭრან და შემდეგ გადავიდნენ მის სამთავროებად დაყოფაზე. ჰააგის საკუთარი ტრიბუნალი დააწესეს და პრეზიდენტი **სლობოდან მილოშევიჩი,** რომელიც თავისი ქვეყნის ერთიანობისთვის იბრძოდა, საპატიმროში გაასაღეს. მას სხვებიც მიაყოლეს. თავიანთი აგენტი **სააკაშვილი** არ გახსენებიათ, რუსი სამშვიდობოები რომ დახოცა, საქართველოს საზიანოდ სამხედრო ავანტიურა წამოიწყო და დღესაც ქართველი ხალხის უბედურებად ამღვრევს ცხოვრებას.

რაც ლიბიაში ჩაიდინეს, ჩინგიზხანს არ დაესიზმრებოდა. სოციალური სიკეთით ნებივრად მცხოვრებ ლიბიელებს გრანდიოზული სარწყავი სისტემა, მთელი უდაბნოს წალკოტად გადაქცევას რომ უქადდა, ისე მოუშალეს და გაუნადგურეს, რომ ამ თავსდატეხილ უბედურებას საუკუნეების განმავლობაში ვერ დააღწევენ თავს. ყოველივე ამ სიკეთის ავტორის, მუამარ კადაფის, მხეცური მკვლელობა ნათლად აჩენს ნატოს სახეს.

თუ აგრესორობა აგიდუღდა, საბაბის მოძებნას რა უნდა. გერმანელმა ფაშისტებმა ომის საბაბით თვითონ დაარბიეს თავიანთი გლაივიცის რადიოსადგური და პოლონელებს დააბრალეს. ერაყს ატომის ბომბზე წარმოდგენა მისი დამზადების ზღაპარი უბედურებად უქციეს. მსოფლიოს ხალხებს გაკვეთილად უნდა ჰქონდეთ, რომ არსებობს ნატო და საჭიროა სიფხიზლე, რადგან, თუ მიზანში ამოიღო, ვერავინ მიეხმარება.

**ადრე ნატომ თითი ვერ გაატოკა, სტალინისდროინდელი ინერციის მქონე საბჭოთა კავშირმა უნგრეთში ფაშისტური ამბოხი რომ მოახრჩო; ვერც ჩეხოსლოვაკიელი სეპარატისტების დაშოშმინებისას ამოიღო ხმა; სამარცხვინოდ დამთავრდა ამერიკა-ნა-** ▶

ფოსტა
www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ბანდერელებმა საქართველოდან უკრაინაში გადახვეწილი ნაციონალი დამნაშავეები დიდი პატივით მიიღეს, საქართველოს ხელისუფლების მოთხოვნა მათი გადმოცემის შესახებ უარყვეს და დღემდე თბილად ჰყავთ ჩახუტებული. თითქმის სრულად რუსულენოვან უკრაინაში რუსულად ლაპარაკი დანაშაულად ჩათვალეს; სამამულო ომში დაღუპულთა ობელისკების დარბევა დაიწყეს; რუსეთის უძველეს ქალაქ კიევში მოსკოვის პროსპექტს ხალხის საძულველი ბანდერას სახელი დაარქვეს. რა ჩამოთვლის მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებს.**

## საკმარისია რუსეთთან მეგობრობის აღდგენა, რომ საქართველო კვლავ გაერთიანდეს, ამიტომ დასავლეთის ლაქიებად გაწვრთნილ და გამოკვებილ პარტიებად წოდებული ლიბერასტებისა და არასამთავრობოების ღავლავი არ წყდება. ნაციონალი ბაბუინები კი რუსეთისკენ სასიკეთოდ გახედვის მცდელობას ასპიტის გაავებით გესლავენ

**◀ ტოს ვიეტნამის ავანტიურა. დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთსაც დააკარგვინა სუეცის არხზე კონტროლი, კუბაც გადაარჩინა ამერიკელთა აგრესიას.**

პრეზიდენტმა **კენედიმ** კარიბის ზღვის კრიზისის დროს სამხედროებს ჰკითხა, ომის შემთხვევაში ერთი ატომური რაკეტაც თუ დაეცემა შტატების ტერიტორიაზეო? ამის გარანტიას ვერ მოგცემთო. მან კარგად იცოდა, ერთი ბომბის ჩამოვარდნაც რა უბედურება იქნებოდა ამერიკელი ხალხისთვის. შედეგად, თურქეთიდან გაიტანეს ატომური რაკეტები და დაშოშმინდნენ. კორეის ომის დროს ამერიკის ჯარის სარდალმა **მაკარტურმა** მოითხოვა, ატომური ბომბები გამოეყენებინათ მოწინააღმდეგეთა გასანადგურებლად. დასავლეთ ევროპელმა მოკავშირეებმა ქვეყანა შეყარეს, საბჭოთა კავშირი შენ ვერ მოგწვდებაო, ჩვენ კი გადაგვბუგავსო. რა ხდება ახლა?

თავისი პრობლემების მოგვარებით დაკავებულ რუსეთს რუსოფობიით მოწამლული ყოფილი მოკავშირეები მკბენარებივით დაასიეს, ბიოლაბორატორიებისა და ამერიკის სამხედრო ბაზების ალყაში მოქცეულს „ფერადი რევოლუციების“ ხანძარი აუგიზგიზეს. რუსეთი კი ახალგაღვიძებული ჰერკულესივით თვალებს იფშვნეტდა. გამოფხიზლებულმა სირიის საბოლოოდ გაპარტახება შეაჩერა და პრეზიდენტი **ბაშარ ასადი** კადაფის საზარელი ბედის გაზიარებას გადაარჩინა. **როცა იმპერიალიზმის მიერ გამოკვებილი ფაშიზმი პირველად მოუბრუნდა დასაკბენად საბჭოთა კავშირს, მას ერთი მოკავშირე ქვეყანაც არ ჰყავდა. ახლა რუსეთს მსოფლიოში უძლიერესი ჩინეთი უდგას მხარში და მრავალი ქვეყანა მეგობრულად არის განწყობილი; ესენი კი სანქციებით უპირებენ დაკნინებას. რამდენჯერაც სანქციები გამოიყენეს, თვითონ გაუხდათ თავში საცემად, რუსეთი კი უფრო გაძლიერდა, რადგან, რაც სჭირდებოდა, ყველაფრის წარმოება თვითონ დაიწყო.** უკრაინა — ასეთი სახელმწიფო ისტორიას არ ახსოვს, კიევის რუსეთის არსებობა კი ყველამ იცის. უკრაინა და რუსეთი რამ გაყო? ორივე ერთია. ოქტომბრის რევოლუციის შედეგად ნატოს წინამორბედმა ანტანტამ სეპარატისტი **პეტლიურა** რომ გამოაცხო უკრაინის შეფად, შინაური და გარეული მტრები ყოველი მხრიდან რომ უტევდნენ, ჯერ კიდევ ახალფეხადგმულმა რუსეთმა ერთი შებერვით გააქრო. ტაკიმასხარა ხრუშჩოვმა ყირიმი უკრაინას რომ მიაწერა, ხმა არავის ამოუღია, რადგან უკრაინა და რუსეთი განუყოფელი იყო. ახლა **ნატო ასე აქტიურად რომ აქეზებს უკრაინელებს მეგობარი ხალხის წინააღმდეგ, უკრაინელი ხალხისთვის სიკეთე უნდა თუ სურს, რომ ამ ხალხებმა ერთმანეთი დაჭამონ?** ფაშისტი დამნაშავეები რომ არ დაესაჯათ და ფაშიზმი არ აეკრძალათ, იმდენი ნაყაჩაღარი სიმდიდრე ჰქონდათ, ფეხზე წამოდგებოდნენ, მრავალ ობივატელს ფაშიზმით მოწამლავდნენ და მსოფლიოს უბედურებად კიდევ მოევლინებოდნენ. ფაშისტებს ცოცხალი ადამიანი ცხედარზე არ მიუკრიათ და მთელი ღამე ასე არ დაუგდიათ, ფაშისტებიც კი არ გაიხრწნნენ ამ დონეზე, ნაციონალებმა კი ადამიანის მხეცად გადაგვარების რეკორდი დაამყარეს. **რუსეთის სამშვიდობო ძალების ჩარევით აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებთან ურთიერთობის დათბობა ძალას იკრებდა, უკვე გამოიკვეთა მათი შემოერთების პერსპექტივები და დასავლეთმაც არ დააყოვნა, მათთვის გამზადებულ ნიადაგში ჩათესლა ლიბერასტული ბაცილის მქონე, რუსოფობიით შენელებული ქართველთ უბედურება — ნაციონალები. მათაც თავიანთი მწვრთნელების მიქსევით უაღრესად დაძაბეს გათიშულ რეგიონებთან ურთიერთობა.**

საქართველოს დაქუცმაცების მცდელობით კონსტიტუციური სასამართლო ბათუმში, პარლამენტი კი ქუთაისში გადაიტანეს და დაიწყეს მთავრობის სახლის მშენებლობა. ცხინვალში შეიჭრნენ და საერთაშორისო მანდატის მქონე რუსი სამშვიდობოები დახოცეს; ეს ავანტიურა რუსეთ-საქართველოს ომად გაასაღეს. სამამულო ომში დაღუპული ქართველი მეომრების ობელისკების ვანდალური რბევა, საქართველოს ისტორიისა და რუსეთ-საქარველოს ურთიერთობის გაყალბების სამარცხვინო კამპანია წამოიწყეს; ქართველ ხალხს აღვირახსნილი ძალადობა და ტერორი დაატეხეს თავს.

გამწარებულმა რუსეთმა კი რუსოფობიის ცოფიანი ნაგაზის პარპაშის ტყვე, მისივე მეგობარი ქართველი ერი ნატოს სერბეთზე თავხედური ძალადობის საპასუხოდ იმავე ნატოს მეთოდით დასაჯა და აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონები დამოუკიდებლად გამოაცხადა. **საკმარისია რუსეთთან მეგობრობის აღდგენა, რომ საქართველო კვლავ გაერთიანდეს. ამიტომ დასავლეთის ლაქიებად გაწვრთნილ და გამოკვებილ პარტიებად წოდებული ლიბერასტებისა და არასამთავრობოების ღავლავი არ წყდება. ნაციონალი ბაბუინები კი რუსეთისკენ სასიკეთოდ გახედვის მცდელობას ასპიტის გაავებით გესლავენ.** გვეგონა, როგორც იქნა, ნაციონალი ჭირი მოვიცილეთ, მაგრამ „ქართულ ოცნებას“ იმდენი უავტორიტეტო პარაზიტი, უცხოეთის აგენტი დაესია, რომ მაღლა არ აახედეს. იმის მაგივრად, რომ ნეონაცისტური უბედურება ფაშიზმივით აეკრძალათ, დასავლეთის სურვილით, ქვეყნის მოღალატე ლიბერასტების კოაბიტაციად წოდებულ შერიგების ყბედობას აჰყვნენ.

**„ქართულ ოცნებას“ დაავიწყდა, რომ მორიელი კბენისთვის არის დაბადებული და უნდა გაისრისოს, მით უმეტეს, თუ ქართველი ხალხის დასაგესლადაა გამოჩეკილი, მაგრამ რა ქნას, როცა დასავლეთს მისი ხელისუფლებიდან გადმოსაგდებად „ფერადი რევოლუციაც“ არ დასჭირდება. ჰოდა, ესეც ნატოსა და ევროკაშირში შესვლის საპნის ბუშტად გაბერილი ილუზიის დინებას მისდევს...**



## ჩრდილოატლანტიკურ მბრძანებელთა ხელში დემოკრატიას ისეთი ჯადოსნური თვისება აქვს, რომ მისი დაცვის საბაბით კაცთმოძულეთა დიქტატურის დამყარება შეიძლება. ასე დაამხეს მაიდნის სისხლიანი ამბოხით კანონიერი ხელისუფლება უკრაინაში, ძალაუფლება ნეოფაშისტ ბანდერელებს ჩააბარეს და უკრაინის მოსახლეობა იმ ბანდიტებს მძევლად შეატოვეს, გერმანელ ფაშისტებთან ერთად ხალხის სასტიკი აწიოკებით რომ ისახელეს თავი. დასავლეთში გაქცეულები ამერიკელ სამხედროებს ჩაბარდნენ

თურმე ევროპაში ვბრუნდებით. როდის ვიყავით ევროპაში?! ისტორიკოსებად მოზელილ ლიბერასტ პოლიტიკოსებს არც იმის შერცხვებათ, რომ მომავალ თაობებს უმტკიცონ, შუამდინარეთი ადრე ევროპა იყოო, როგორც ხუთჯვრიანი დროშა, ჯვაროსნები კონსტანტინეპოლის დარბევისას რომ აფრიალებდნენ, საქართველოს უძველესი სიმბოლოაო. ევროკავშირისა და ჯვაროსანთა ხუთჯვრიან დროშებთან გამოჭიმულ უცხოეთის მარიონეტებს ეს ისე არ აშფოთებთ, როგორც ამერიკის სტრატეგიული პარტნიორობით ტრაბახი.

რომელი ნატოს იმედი აქვს საქართველოს, რომელიც სამხედრო კონტინგენტის რაოდენობით მეორე იყო ავღანეთში? რად იმტვრევთ თავ-პირს იქ, სადაც შენი ადგილი არ არის და ახირებული ბავშვის მეტიჩრობით დამცინავ ღიმილს ჰგვრით ნატოს წევრ ქვეყნებს, იმიტომ, რომ წაექეზებინეთ, ნატოს კარი შენთვის ღიააო?

ავღანეთიდან სამარცხვინოდ გამოპარულ ამერიკელებს, უამრავი თანამედროვე სამხედრო ტექნიკა თალიბებს რომ შეატოვეს, ვინმემ ჰკითხეთ, რატომ ჩაიდინეს ეს?! შენ „სტრატეგიულ პარტნიორობას“ რომ იბრალებ ძერას ადევნებული ბუზივით, იცი კი, რა უნდა ძერას?! ან ვის შეუძლია განმარტოს, რისთვის დაიღუპნენ იქ ქართველი ვაჟკაცები?!

რა მოგვცა დასავლეთის ლაქუცმა — საავიაციო მეტალურგიული, ჩარხმშენებელი, ელმავალმშენებელი, ავტო და გემთმშენებელი ქარხნები აგვიშენა, ააყვავა სოფლის მეურნეობა და საქართველო მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ-აგრარულ რესპუბლიკად აქცია? მას ბანანის ქვეყნებს უკან ევროპული დროშების ფრიალით მიმავალი, დაკნინებული და გაღატაკებული საცოდაობა სჭირდება, ლუკმის მიგდების მომლოდინე გოშიასავით, საითაც მოისურვებს, იქით რომ აყეფოს!

ჩრდილოატლანტიკურ მბრძანებელთა ხელში დემოკრატიას ისეთი ჯადოსნური თვისება აქვს, რომ მისი დაცვის საბაბით კაცთმოძულეთა დიქტატურის დამყარება შეიძლება. ასე დაამხეს მაიდნის სისხლიანი ამბოხით კანონიერი ხელისუფლება უკრაინაში, ძალაუფლება ნეოფაშისტ ბანდერელებს ჩააბარეს და უკრაინის მოსახლეობა იმ ბანდიტებს მძევლად შეატოვეს, გერმანელ ფაშისტებთან ერთად ხალხის სასტიკი აწიოკებით რომ ისახელეს თავი. დასავლეთში გაქცეულები ამერიკელ სამხედროებს ჩაბარდნენ.

ბანდერელებმა საქართველოდან უკრაინაში გადახვეწილი ნაციონალი დამნაშავეები დიდი პატივით მიიღეს. საქართველოს ხელისუფლების მოთხოვნა მათი გადმოცემის შესახებ უარყვეს და დღემდე თბილად ჰყავთ ჩახუტებული. თითქმის სრულად რუსულენოვან უკრაინაში რუსულად ლაპარაკი დანაშაულად ჩათვალეს; სამამულო ომში დაღუპულთა ობელისკების დარბევა დაიწყეს; რუსეთის უძველეს ქალაქ კიევში მოსკოვის პროსპექტს ხალხის საძულველი ბანდერას სახელი დაარქვეს. რა ჩამოთვლის მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებს... **ნატოსაც ქვეყნების უბედურებად გაუნებივრდა ამბიციები და უკრაინის დენთის კასრად გადაქცევას შეუდგა. ოჩაკოვო — სუვოროვის მხედართმთავრული ტალანტის სიმბოლო, სამხედრო ბაზად აქციეს. სერბეთიდან დაიწყეს და ახლა რუსეთს ცხვირწინ უტრიალებენ მუშტს. ბოლოქანქარა რასმუსენიც ბაბაჯანას ქოშებივით შეკოწიწებულ ნატოში ახალი ნაკუწების მიკვრის დაპირებებს უმეცრის გულუხვობით არიგებს.**

მრავალი თავხედობით გაღიზიანებული რუსეთი იძულებული შეიქნა, ნატოს პროვოკაციების აღსაკვეთად და უკრაინის მოსახლეობის ბანდერული ნეოფაშისტების მძევლობიდან დასახსნელად სამხედრო ოპერაცია დაეწყო. ახლა დასავლეთი და მისი ლაქიების ხროვა ქვეყანას რომ ყრიან ვითომ უკრანელთა დასაცავად, რას ფიქრობდნენ რუსეთის განუყოფელი ნაწილის, მისი ტყუპისცალი უკრაინის ნეოფაშისტების საჯირითოდ გადაქცევისას?!

საქართველოს სხეულზე პარაზიტებად ჩათესილი ხალხის საძულვილი ლიბერასტები, გარყვნილი სექსუალური მანიაკები, ნეოფაშიზმის შხამიანი ცურნაწოვი ნაციონალი ბაბუინები, უავტორიტეტო პარტიების დამყაყებული, ნამუსის ძარღვგაწყვეტილი ვაიპოლიტიკოსები ანტირუსული ფსიქოზით დაავადებულთა ღვარძლს ქართველი ხალხის სახელით რომ ანთხევენ, საქართველოს უბედურება თუ დაატეხეს თავს, ქართველი ხალხის სუსხიანი სამსჯავროდან ევროატლანტიკური წამქეზებლები ვერ გადაარჩენენ...

## რუსეთის სამშვიდობო ძალების ჩარევით აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებთან ურთიერთობის დათბობა ძალას იკრებდა, უკვე გამოიკვეთა მათი შემოერთების პერსპექტივები და დასავლეთმაც არ დააყოვნა, მათთვის გამზადებულ ნიადაგში ჩათესლა ლიბერასტული ბაცილის მქონე, რუსოფობიით შენელებული ქართველთ უბედურება — ნაციონალები. მათაც თავიანთი მწვრთნელების მიქსევით უაღრესად დაძაბეს გათიშულ რეგიონებთან ურთიერთობა

**გივი სომხიშვილი**,
მწერალი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

აქცია

**შეკრებილები, რომელთა შორისაც ბევრი იყო ქალი და ბავშვი, ერთხმად ამბობდნენ: „სომხეთი მხარში უდგას თავის მოკავშირეს და მშვენივრად ესმის, რომ უკრაინაში მიმდინარე პროცესების შედეგებზე დამოკიდებულია სომხეთის მომავალი. აქედან გამომდინარე, სომხებმა თავიანთ ქვეყანაში ყველას გასაგონად უნდა განაცხადონ, რომ მხარს უჭერდნენ მოსკოვსა და დენაციფიკაციის იდეას“.**



# «ჩვენ ერთად ვართ და ერთად დავამარცხებთ ნაციზმს!» — ერევანში რუსეთის მხარდამჭერი აქცია გაიმართა

**სომხეთი და სომეხი ხალხი ყოველთვის რუსეთის გვერდით იდგნენ. ჩვენი პაპები ფაშიზმის წინააღმდეგ იბრძოდნენ დიდ სამამულო ომში და დღეს სომხეთი მხარდაჭერას გამოხატავს რუსეთისადმი, რომელიც იბრძვის ნაციზმის წინააღმდეგ. სომხებმა ხომ ყურმოკვრით არ იციან, რა არის ნაციზმი, რომელსაც 100 წლის წინათ შეეჯახა არცახში სომხების გენოციდის დროს — ასეთი იყო 19 მარტს რამდენიმე პოლიტიკური ძალის ორგანიზებით ერევანში გამართული მიტინგისა და მსვლელობის მთავარი გზავნილი.**

აქცია დაიწყო შაუმიანის ძეგლთან: თავდაპირველად მღეროდნენ საბჭოურ პატრიოტულ სიმღერებს, რომლებსაც აჰყვნენ მრავალრიცხოვანი მომიტინგეები, შემდეგ დაფდაფების ხმის ქვეშ აფრიალდა სომხეთის, რუსეთისა და სსრკ-ის დროშები, აგრეთვე, უკრაინაში მიმდინარე სპეცოპერაციის მთავარი ატრიბუტი ასო Z. შეკრებილები, რომელთა შორისაც ბევრი იყო ქალი და ბავშვი, ერთხმად ამბობდნენ: „სომხეთი მხარში უდგას თავის მოკავშირეს და მშვენივრად ესმის, რომ უკრაინაში მიმდინარე პროცესების შედეგებზე დამოკიდებულია სომხეთის მომავალი. აქედან გამომდინარე, სომხებმა თავიანთ ქვეყანაში ყველას გასაგონად უნდა განაცხადონ, რომ მხარს უჭერენ მოსკოვსა და დენაციფიკაციის იდეას“.

„ყველაფერი დაიწყო საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, რაშიც ბრალი მიუძღვის **გორბაჩოვს**, რომელიც დაემორჩილა დასავლეთს. შემდეგ კი დასავლეთის ქვეყნებმა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში დაიწყეს დანერგვა არა მხოლოდ თავიანთი ფასეულობებისა, რომელშიც ერთი წვეთიც არ არის ფასეულობის, არამედ ამ ქვეყნებს წაართვეს მთავარი — სახელმწიფო იდეოლოგია“, — განაცხადა საზოგადო მოღვაწემ, მოძრაობა „ძლიერი სომხეთი რუსეთთან ერთად“ ქალთა საბჭოს ხელმძღვანელმა **ალა აკოფიანმა.** მან მაგალითად მოიყვანა სომხეთის, რუსეთისა და უკრაინის კონსტიტუციები, რომლებშიც აღნიშნულია, რომ „არანაირი იდეოლოგია არ შეიძლება დამკვიდრდეს სახელმწიფო იდეოლოგიის რანგში“.

აკოფიანის თქმით, **ცრუ პოზიციის გამო სომხეთი, ისევე როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები, რომლებსაც სჯეროდათ, რომ დასავლეთისგან საჩუქრად მიიღებდნენ დამოუკიდებლობასა და კეთილდღეობას, სინამდვილეში მოწმენი იყვნენ, როგორ გადაიქცა ერთპოლუსიანი მსოფლიო მრავალპოლუსიანად; დომინანტებად იქცნენ აშშ და დასავლეთი, რომლებიც ცდილობენ, ყველგან დანერგონ თავიანთი ცრუ ფასეულობები.**

„დღეს დასავლეთის ქვეყნები იარაღით ამარაგებენ უკრაინის ნაცისტურ რეჟიმს, რათა კიევმა შეძლოს საბოლოო განადგურება დონბასის მოსახლეობისა, რომელმაც 8 წლის წინათ უთხრა მტკიცე „არა“ უკრაინის ნაცისტურ რეჟიმს, მაგრამ მათ ეს არ გამოუვათ“, — განაცხადა ალა აკოფიანმა.

მოგვიანებით ალა აკოფიანმა უკვე სომხეთში რუსეთის საელჩოსთან ყირიმის მოსახლეობას რუსეთთან გაერთიანების მე-8 წლისთავი მიულოცა და იმედი გამოთქვა, რომ ერთ მშვენიერ დღეს სომხეთიც დაიბრუნებს თავის ისტორიულ მიწებს.

**„დარწმუნებული ვარ, რომ ფაშიზმი დამარცხდება, როგორც ეს მოხდა მეორე მსოფლიო ომში და, როგორც მაშინ, ამ კეთილშობილურ და სამართლიან საქმეში თავის წვლილს შეიტანს სომეხი ხალხი. რუსეთო, სომეხი ხალხი შენთანაა, შენ გაიმარჯვებ!“** — დასძინა ალა აკოფიანმა.

მიტინგის მსვლელობისას წამოიწია სომხეთის მომავლის საკითხმა სამოკავშირეო სახელმწიფოში, რომელიც ბოლო ხანს აღელვებთ სომხეთის პოლიტიკურ წრეებს. მაგალითად, წარმომადგენლებმა მოძრაობისა „ძლიერი სომხეთი რუსეთთან ერთად: ახალი კავშირისთვის“ **ვაგრამ მკრტჩიანმა** აღნიშნა, რომ სომხეთის რეგიონებში სტუმრობისას ხშირად ესმის კითხვა — **რატომ არ გააქვთ რეფერენდუმზე საკითხი რუსეთ-ბელარუსის კავშირის შემადგენლობაში სომხეთის შესვლის შესახებ? მკრტჩიანის** თქმით, ისინი, ვინც ადრე ოცნებით უმზერდა დასავლეთს, უკვე მიხვდა, რომ რეგიონში დასავლეთის პოლიტიკას თურქეთი ახორციელებს. **„და, თუ რუსეთი არ იქნება სამხრეთ კავკასიაში, ამ რეგიონში იქნება თურქეთი — ეს უნდა შეიგნოს ყველამ, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ მსგავსი სცენარის განხორციელება შეუძლებელია, ჩვენც არ დავუშვებთ ამას“,** — ხაზი გაუსვა მკრტჩიანმა.



**«დღეს დასავლეთის ქვეყნები იარაღით ამარაგებენ უკრაინის ნაცისტურ რეჟიმს, რათა კიევმა შეძლოს საბოლოო განადგურება დონბასის მოსახლეობისა, რომელმაც 8 წლის წინათ უთხრა მტკიცე «არა» უკრაინის ნაცისტურ რეჟიმს, მაგრამ მათ ეს არ გამოუვათ»**




შეკრებილთ მიმართა ლიდერმა მოძრაობისა „ძლიერი სომხეთი რუსეთთან ერთად: ახალი კავშირისთვის,“ თავმჯდომარემ პარტიისა „კავშირი — კონსტიტუციური უფლება“ **აიკ ბაბუხანიანმა**, რომელმაც ყველას შეახსენა, რომ სომხები და რუსები 200 წლის განმავლობაში მხარდამხარ იბრძოდნენ ღირსეული მომავლისთვის.

„ჩვენ დღეს ვხედავთ, რომ ღირსეული მომავალი არის ჩვენს მოკავშირე რუსეთთან ერთად. სხვაგვარად როგორ შეიძლება, თუ ჩვენს დღევანდელობას, ჩვენი შვილების მომავალსა და უსაფრთხოებას უზრუნველყოფენ რუსი მშვიდობისმყოფელები და მესაზღვრეები: ისინი არიან სიუნიკშიც და არცახშიც. 1915 წლის გენოციდის დროს სომეხი ხალხი ნაციზმის მსხვერპლი იყო, და ჩვენ დღეს ვალდებული ვართ, ნაციზმს ვებრძოლოთ. ეს არ ნიშნავს, რომ უკრაინის წინააღმდეგ ვართ, ჩვენ ნაციზმის წინააღმდეგ გამოვდივართ“. — თქვა ბაბუხანიანმა და დასძინა, რომ სომხეთს სხვა არჩევანი არ აქვს, გარდა ამისა, რომ იყოს ძლიერი სახელმწიფო, ეს კი შესაძლებელია, მხოლოდ რუსეთთან ერთად.

ყოფილი დეპუტატის, პარტია „ალიანსის“ თავმჯდომარის, **ტიგრან ურიხანიანის** განცხადებით, აუცილებელია, დაეხმარონ სომხურ დიპლომატიას, მიმართონ ის რუსეთთან პატიოსანი და უანგარო კავშირის ასაწყობისკენ, რადგან ეს იქნება საფუძ’ველი, რომელიც განამტკიცებს სომხეთს.

„მაგრამ, **სამწუხაროდ, ძალის გამოუყენებლად ფაშიზმთან ბრძოლა შეუძლებელია“,** — აღნიშნა ურიხანიანმა და მადლობა გადაუხადა შეკრებილებს იმისთვის, რომ მათი აქცია მიმართულია ძლიერი სომხეთის შექმნისკენ ძლიერ მეგობრებთან ერთად. და ეს არის აქციის ერთ-ერთი გზავნილი: „რუსეთი, ჩვენი სტრატეგიული მოკავშირე, უნდა იყოს ძლიერი და ეფექტიანად შეებრძოლოს ფაშიზმს, ეს არის ძლიერი სომხეთის მომავალი“.

ურიხანიანის განცხადებით, მსგავსი აქციები კიდევ გაიმართება და უფრო მასშტაბური იქნება.

**dalmanews.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა**
**ლუკა მაისურაძემ**







**ვახტანგ გორგასლის დროიდან ქართლის ეკლესიას გააჩნდა საკუთარი საეკლესიო კრება, რომელიც უფლებამოსილი იყო, თვისი შინაგანი საქმეები, ეპისკოპოსთა ხელდასმა-გადაყენება, თვითვე განეგო. ეკლესია დამოუკიდებელი გახდა.**



www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის დღე

**1917 წლის 12 (ახალი სტილით 25) მარტს აღდგა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია. გადმოცემის მიხედვით, სულთმოფენობის შემდგომ, როცა მოციქულებმა წილი ყარეს და სხვადასხვა ქვეყანაში წავიდნენ საქადაგებლად, საქართველო ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს ერგო, მაგრამ მაცხოვრის გამოცხადებით თავის ნაცვლად ივერიაში წამოსასვლელად წმიდა ანდრია პირველწოდებული აკურთხა და თან თავისი ხატი გამოატანა.**

IV საუკუნის დასაწყისში, სანამ აღმოსავლეთ საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდებოდა, დასავლეთში, კერძოდ, ბიჭვინთაში, საეკლესიო იერარქია უკვე არსებობდა: პირველ მსოფლიო კრებას ესწრებოდა ბიჭვინთის ეპისკოპოსი.

IV საუკუნის დასაწყისში, როცა რომში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, წმიდათა მოციქულთასწორთა მირიან და ნანას მეფობის ჟამს, ღვთის სიტყვის საქადაგებლად ჩამოვიდა წმიდა ნინო. შემდეგ, **მირიან მეფის თხოვნით, წმიდა კონსტანტინე დიდმა გამოგზავნა იოანე ეპისკოპოსი ორი მღვდლითა და სამი დიაკვნით, რომელთაც ნათელ-სცეს ქართველებს. ასე ჩაეყარა საფუძველი საქართველოს ეკლესიას.** იოანეს ანტიოქიის პატრიარქად არჩევამ განაპირობა ის ფაქტი, რომ კრებამ საქართველოს ეკლესიაც ანტიოქიის საპატრიარქოს მიათვალა.

წმიდა მეფე ვახტანგ გორგასლის თაოსნობით, 472 წელს ქართლის კათალიკოსად დადგინდა პეტრე და მთავარეპისკოპოსად — სამოელი. მანვე დაადგინა თორმეტი საეპისკოპოსო. ასე რომ, **ვახტანგ გორგასლის დროიდან ქართლის ეკლესიას გააჩნდა საკუთარი საეკლესიო კრება, რომელიც უფლებამოსილი იყო, თვისი შინაგანი საქმეები, ეპისკოპოსთა ხელდასმა-გადაყენება, თვითვე განეგო. ეკლესია დამოუკიდებელი გახდა.**

იმპერატორ კონსტანტინე კოპრონიმისა და ანტიოქიის პატრიარქ თეოფილაქტეს დროს ანტიოქიაში ქართლიდან მივიდნენ ქართველი ღვთისმსახურები და პატრიარქს იბერიის ეკლესიის გასაჭირი მოახსენეს, რომ სარკინოზთა შიშით ქართლსა და ანტიოქიას შორის მიმოსვლა შეწყვეტილი იყო, ამიტომ ანტიოქიის პატრიარქ ანასტასის დროიდან ქართლის კათალიკოსის კურთხევა აღარ ხდებოდა. ანტიოქიის ეკლესიის ადგილობრივმა კრებამ გადაწყვიტა, ქართლის ეკლესიისთვის მიეცა კათოლიკოსთა ხელდასხმის უფლება, სამაგიეროდ ქართლის ეკლესიას ანტიოქიიდან უნდა მიეღო მირონი და მასში 1000 დრაჰკანი გადაეხადა. ამასთან, ქართლის ეკლესიის წირვა-ლოცვაში პირველ ადგილზე უნდა მოეხსენებინათ ანტიოქიის პატრიარქი.

ცოტა მოგვიანებით **საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ ღირსი მამა ეფრემ მაწყვერელის ღვაწლით მიიღო მირონის კურთხევის უფლება.**

**XI საუკუნეში ანტიოქიის ეკლესიამ მწვავედ დააყენა მრავალჭირნახული იბერიის ეკლესიის დამოუკიდებლობის საკითხი.**

საქართველოს ეკლესია მაჰმადიანურ სამყაროსთან ჭიდილში საუკუნეების მანძილზე მოძღვრავდა, ზრდიდა და სულიერად კვებავდა ქართველობას.

1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის მე-8 მუხლში ბუნდოვნად არის ახსნილი საქართველოს ავტოკეფალიური ეკლესიის უფლებრივი მდგომარეობა.

1801 წელს იმპერატორმა ალექსანდრე I-მა ხელი მოაწერა მანიფესტს, რომლის მიხედვით საქართველოს მრავალსაუკუნოვანმა სახელმწიფოებრიობამ არსებობა შეწყვიტა და ოდესღაც დიდი ქვეყანა ორი გუბერნიის სახით შეუერთდა რუსეთის იმპერიას.

1801 წლის აქტის შემდეგ საქართველოს მთავარმართებელი უხეშად ერეოდა საქართველოს ეკლესიის საქმიანობაში.

1811 წლის 10 ივნისს ალექსანდრე I სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ანტონ II-ს სწერს: „საქართველოს სამეფოს რუსეთის სახელმწიფოსთან შემოერთების შემდეგ საქართველოს ეკლესიაც უნდა გაერთიანებულიყო უწმიდესისა და უმართებულესის სინოდის გამგეობაში. ახალ მართვა-გამგეობასთან მოუთავსებელი იქნებოდა საქართველოში კათოლიკოსის ყოფნა. გითხოვთ თქვენ საქართველოს ეკლესიის საქმეების განმგებლობისაგან, უწმიდესის სინოდის წევრობისა და კათოლიკოსის სახელის შენარჩუნებით“. ასე გაუქმდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და ანტონ II რუსეთში გადაასახლეს.

დაიწყო მძიმე წლები ქართული ეკლესიის ისტორიაში. საქართველოს ეკლესიას რუსეთის სინოდი ხელმძღვანელობდა ეგზარქოსის მეშვეობით. 1811-1817 წლებში ამ მოვალეობას ასრულებდა ვარლამ ერისთავი. მის შემდეგ ყველა ეგზარქოსი რუსი იყო. ისინი ძარცვავდნენ ეკლესიებს და მტერთა შემოსევებს გადარჩენილი ქართული ოქრომჭედლობისა და ტიხრული მინანქრის უიშვიათესი ნიმუშები რუსეთში გაჰქონდათ. მოიშალა საეკლესიო კათედრები. 24 ეპარქია, რომელთა მღვდელმთავრები, სამწყსოსთან ერთად, იტანდნენ ყოველგვარ გაჭირვებასა და სიმძიმეს, სიცოცხლესაც კი სწირავდნენ სამშობლოსათვის, საეგზარქოსომ ხუთ ეპარქიამდე შეამცირა. ქართული წირვა-ლოცვა, მრავალხმიანი ქართული საგალობლები შეიცვალა რუსულით. სულ რაღაც ორიოდე წლის განმავლობაში საქართველოს ეკლესიამ დაკარგა ის, რასაც საუკუნეების მანძილზე რუდუნებით აშენებდა და აგროვებდა.



ქართულმა ეკლესიამ, 106-წლიანი იძულებითი შუალედის შემდეგ კვლავ აირჩია კათოლიკოს-პატრიარქი. ეს პატივი და ჯვარი წილად ხვდა ავტოკეფალიისათვის დაუცხრომელ მებრძოლ კირიონს, რომელიც შემდგომ ვერაგულად მოკლეს მარტყოფის მონასტერში



მიხეილ საბინინი — „დიდება იბერიას“

ყოველივე ამან მოსახლეობის აღშფოთება და გაბოროტება გამოიწვია. ღვთივსულიერი რუსი მამები აფრთხილებდნენ საქართველოს მოწინააღმდეგე ძალებს, პატივითა და კრძალვით მოპყრობოდნენ ღვთისმშობლის წილხვედრ და მოციქულთა მოქცეულ ქვეყანას. მიუხედავად ამისა, საქართველოში იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ჩამოსვლის წინ ეგზარქოსმა ევგენიმ, „სანიტარული წესრიგის“ საბაბით, თეთრად შეალესინა სვეტიცხოვლის, ალავერდის, ერთაწმიდის უნიკალური ფრესკები. პავლე ლებედევმა, სემინარიის რექტორ ჩუდეცკისთან ერთად, გაძარცვა ხახულის ღვთისმშობლის ხატი, მიიტაცა ოქროსა და ვერცხლის ხატები, საეკლესიო ნივთები. ეგზარქოსმა, ჩუდეცკის მკვლელობის გამო, სიონის ტაძრის ამბიონიდან დაწყევლა ქართველი ერი, დიმიტრი ყიფიანმა კი საჯაროდ ამხილა ეგზარქოსი და უთხრა, რომ უფლება არ ჰქონდა, დარჩენილიყო იმ ერის სულიერ მამად, რომელიც ანათემაზე გადასცა. ამ მხილების გამო მხცოვანი მამულიშვილი სტავროპოლში გადაასახლეს და განთავისუფლების წინა დღეს მოკლეს.

XX საუკუნის დასაწყისში საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურებმა, ქართველ სამღვდელოებასთან ერთად, დაიწყეს ზრუნვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისთვის. **ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილი, წმიდა ილია მართლის მეთაურობით, მეფისნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვს ეახლა და ოფიციალურ დონეზე მოსთხოვა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის საკითხის განხილვა. მეფის მთავრობამ დანიშნა სხდომა, რომელზეც მოხსენებით გამოვიდნენ ეპისკოპოსები: კირიონი და ლეონიდე, პროფესორები: ალ. ცაგარელი, ალ. ხახანაშვილი და ნიკო მარი. კირიონის მოხსენების თემები იყო: 1) ქართული საეკლესიო საკითხი; 2) რა აიძულებს ქართველებს, იმეცადინონ თავისი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენაზე; 3) რომელ წელს მიენიჭა ივერიას ავტოკეფალია; 4) ეროვნული პრინციპი ეკლესიაში.**

ქართველებმა დაასაბუთეს, რომ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება ეწინააღმდეგებოდა მსოფლიო ეკლესიის კრებების კანონებს.

საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიისათვის მებრძოლმა მღვდელმთავრებმა და მეცნიერებმა: კ. ცინცაძემ, ნ. დურნოვომ და თ. ჟორდანიამ გამოაქვეყნეს მონოგრაფიები, რომლებშიც დასაბუთებული იყო საქართველოს ეკლესიის თავისთავადობის აუცილებლობა.

1917 წლის 12 (25) მარტს ქართველმა სამღვდელოებამ საგანგებო კრებაზე მიიღო შემდეგი შინაარსის დოკუმენტი: 1) ამიერიდან, 12 მარტიდან, გრძელდება საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია; 2) დროებით, კათოლიკოსის არჩევამდე, ეკლესიის გამგედ დაინიშნა გურია-ოდიშის ეპისკოპოსი ლეონიდე; 3) საქართველოს ეკლესიის მმართველობა ევალება აღმასრულებელ კომიტეტს, რომელშიც შედიან როგორც სასულიერო, ისე საერო პირები.

იმავე წლის **სექტემბერში ქართულმა ეკლესიამ, 106-წლიანი იძულებითი შუალედის შემდეგ კვლავ აირჩია კათოლიკოს-პატრიარქი. ეს პატივი და ჯვარი წილად ხვდა ავტოკეფალიისათვის დაუცხრომელ მებრძოლ კირიონს, რომელიც შემდგომ ვერაგულად მოკლეს მარტყოფის მონასტერში.**

ღვთის განგებით, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია მსოფლიოს ყველა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ აღიარა, მაგრამ არ არსებობდა ამ აღიარების წერილობითი დასტური, რომლის უქონლობის გამოც, ჩვენს წმიდა წინაპრებს ხშირად უხდებოდათ ბრძოლა საქართველოს მრავალტანჯული ეკლესიის დამოუკიდებლობის დასამტკიცებლად.

ღვთის შეწევნითა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის დაულალავი მოღვაწეობით, **მსოფლიოს საპატრიარქომ 1990 წელს ოფიციალურად ცნო და აღიარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურობა. ამავე წლის 4 მარტს, მართლმადიდებლობის დღესასწაულის დღეს, კონსტანტინეპოლის მთავარეპისკოპოსმა და მსოფლიო პატრიარქმა, ყოვლადუწმიდესმა დიმიტრიოსმა საზეიმო ვითარებაში გადასცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს საქართველოს უწმიდესი მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის ცნობისა და მტკიცების და საქართველოს უწმიდესი ეკლესიის მეთაურის საპატრიარქოს ტიტულის ცნობისა და ბოძების სიგელები.**

ეს იყო ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობის საბოლოო აღიარება.

**მომზადდა წიგნიდან „წმიდანთა ცხოვრება“, ტომი I, თბილისი, 2001 წ.**

**ღვთის განგებით, საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია მსოფლიოს ყველა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ აღიარა, მაგრამ არ არსებობდა ამ აღიარების წერილობითი დასტური... მსოფლიოს საპატრიარქომ 1990 წელს ოფიციალურად ცნო და აღიარა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალურობა**

ყველაზე ყველაზე...

www.geworld.ge

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**უპილოტო საფრენ აპარატს სახმელეთო ცენტრიდან მართავს ოპერატორი, რომელიც შეიძლება ათობით, ასობით ან სულაც ათასობით კმ-ის დაშორებით იმყოფება. აი ეს არის უსა-ს ძირითადი უპირატესობა თვითმფრინავის წინაშე, რომელსაც პილოტი მართავს... აპარატის ოპერატორი არ რისკავს სიცოცხლით. ის არ დაილუპება და არ ჩავარდება ტყვედ.**

# 8 საუკეთესო უპილოტო საფრენი აპარატი

**სამხედრო უპილოტო საფრენი აპარატის (უსა) მთავარი ამოცანა ჰაერიდან დაკვირვება და დაზვერვაა. ეს აპარატები პატრულირებენ ტერიტორიაზე, იცავენ მარშრუტებს, შეუძლიათ ცეცხლის კორექცია. ყველაზე მინიატურული მზვერავი უსა-ს, ამერიკული Wasp-ის სიგრძე 33 სმ-ია, წონა — 200 გრ. მას ამერიკის შეიარაღებულ ძალებში 2008 წლიდან იყენებენ. გაცილებით ძვირი ღირს (სულ ცოტა, 100-ჯერ) მძლავრი აპარატები, რომლებსაც შეუძლია, იომონ. ასეთ აპარატებს გადააქვს ბომბები (ჩინურ ჰიპერბგერით WU-14-ს შეუძლია ბირთვული იარაღის გადატანა რამდენიმე ათას კმ-ზე), ისვრის რაკეტებს და შეუძლია შეასრულოს კამიკაძის როლი — დაეცეს სამიზნეს და თავი აიფეთქოს.**

### უპილოტო საფრენი აპარატები თუ გამანადგურებელი თვითმფრინავები?

უპილოტო საფრენ აპარატს სახმელეთო ცენტრიდან მართავს ოპერატორი, რომელიც შეიძლება ათობით, ასობით ან სულაც ათასობით კმ-ის დაშორებით იმყოფება. აი ეს არის უპა-ს ძირითადი უპირატესობა თვითმფრინავის წინაშე, რომელსაც პილოტი მართავს.

### უპილოტო საფრენი აპარატების ძირითადი უპირატესობები

* **აპარატის ოპერატორი არ რისკავს სიცოცხლით.** ის არ დაილუპება და არ ჩავარდება ტყვედ;

* **უპილოტო საფრენი აპარატის დაკარგვა ისე დასანანი არ არის, როგორც გამანადგურებლის.** უსა დაახლოებით 20-ჯერ იაფია გამანადგურებელ თვითმფრინავზე: 5-6 მლნ დოლარი 100 მლნ დოლართან შედარებით. მას უნდა დაემატოს პილოტის მომზადების ხარჯები (3,4-7,8 მლნ), თანაც მის მომზადებას 7 წელი სჭირდება, უსა-ს აპარატის ოპერატორს კი სახელმწიფო 200 ათას დოლარს უხდის და მხოლოდ 1 წლის განმავლობაში ასწავლის;

* **ძალებისა და საწვავის ეკონომია.** საშუალო სიმაღლეებზე მოძრავ უსა-ს შეუძლია, დიდხანს იყოს ჰაერში — 24 სთ-ზე მეტი. უპილოტო საფრენი აპარატები ტურბორეაქტიული ძრავებითა და 200 კმ/სთ სიჩქარით შედარებით ცოტა საწვავს ხარჯავს.

### უპილოტო საფრენი აპარატის ძირითადი ნაკლოვანებები

* უსა-ს არ შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება, ის მთლიანად არის დამოკიდებული ადამიანზე, რომელმაც შეიძლება ვერც კი შეამჩნიოს ხიფათი. აპარატი სურათს იღებს ცხვირზე ან ფიუზელაჟის ქვეშ დამაგრებული კამერიდან, რაც მისი ხედვის არეალს ზღუდავს. თვითმფრინავში მჯდომი პილოტი კი პირადად ხედავს ხიფათს და მყისვე რეაგირებს;

* უსა ისეთი მტკიცე და მანევრული არ არის, როგორც გამანადგურებელი;

* ყველა უპილოტო საფრენ აპარატს არ შეუძლია დიდი სიმძიმის აწევა. უსა-ს მინუსია, აგრეთვე, დაბალი სიჩქარე.

## უძლიერესი საბრძოლო უპილოტო საფრენი აპარატები მსოფლიოში



## MQ-9 Reaper

მსოფლიოში ცნობილი და მძლავრი უსა აშშ-ის არმიის ძირითადი სადაზვერვო-დამრტყმელი აპარატია. შეუძლია აფრინდეს 14 კმ-ის სიმაღლეზე. ფრენის ხანგრძლივობა — 30 სთ., მაქსიმალური სიჩქარე — 480 კმ/სთ. შეუძლია ჰაერში აიტანოს 4,7 ტ ტვირთი; შეუძლია მიზნის ამოცნობა. ტელეკამერას შეუძლია 3 კმ-ზე დაშორებული ავტომობილის ნომრის წაკითხვა. Reaper-ი აღჭურვილია ტანკსაწინააღმდეგო რაკეტა AGM-114 Hellfire-თ, აგრეთვე, მართვადი ბომბებით. Reaper-ის საშუალებით სიცოცხლეს გამოასალმეს „ალ-ქაიდას“ ხელმძღვანელი ორი პირი და გენერალი **ყასემ სულეიმანი** — ირანის სამობილიზაციო ძალების მეთაურის მოადგილე.



## HERON TP

ისრაელის HERON-ზე მსოფლიოში ყველაზე მეტი მოთხოვნაა. ეს არის საშუალო სიმაღლეზე მოძრავი მრავალფუნქციური უპილოტო საფრენი აპარატი, რომელსაც შეუძლია დიდხანს იფრინოს. ფრთების განშლა — 26 მ-ია, აფრენის მაქსიმალური სიმაღლე — 13,7 კმ, ფრენის ხანგრძლივობა — 36 სთ. შეუძლია გადაიტანოს ცეცხლის მართვის საშუალებები და დამრტყმელი კომპლექსები. HERON TP-ს აქვს ოპტიკური და ინფრაწითელი ხედვის საშუალებები. კრეისერული სიჩქარე საათში 296 კმ-ია, მაქსიმალური სიჩქარე — 460 კმ/სთ.



## Bayraktar TB2

თურქული საფრენი აპარატი საშუალო სიმაღლეზე მოძრავ ტაქტიკური კლასის უპილოტო საფრენ აპარატებს განეკუთვნება, მისი პროგრამული უზრუნველყოფა რამდენიმე მონაცემით აღემატება კონკურენტების მონაცემებს. კრეისერული სიჩქარე საათში 130 კმ-ია. მაქსიმალური — 250 კმ/სთ. ფრენის სიმაღლე — 7 კმ. იწონის 630 კგ-ს, შეუძლია აწიოს 55 კგ საბრძოლო მასალა. ჰაერში ყოფნის ხანგრძლივობა — 24 სთ. შეუძლია, აგრეთვე, გადაიტანოს ორი ტანკსაწინააღმდეგო რაკეტა და ლაზერული სამიზნით აღჭურვილი 2 ბომბი მსუბუქი ჯავშნიანი ტექნიკის გასანადგურებლად.



## Taranis

ეს არის მეხუთე თაობის ბრიტანული მზვერავი-მოიერიშე, რომელსაც კელტუბის მეხის ღმერთის სახელი დაარქვეს, წონა — 3 ტ. სიგრძე — 11 მ. ფრთების განშლა — 10 მ. უსა დამზადებულია „სტელსის“ ტექნოლოგიით, ამიტომ ის, პრაქტიკულად, შეუმჩნეველია მოწინააღმდეგის ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემებისთვის. მაქსიმალური სიჩქარე ზებგერითია. გათვლილია საკონტინენტთაშორისო ფრენებისთვის.



## GAAS Avenger

ეს არის ავიამზიდებისთვის განკუთვნილი ამერიკული უსა — 2020 წელს შეიარაღებიდან მოხსნილი Predator-ის მოდიფიკაცია. GAAS Avenger-ის სატვირთო ნაკვეთურით შეუძლია გადაიტანოს 2 ბომბი ლაზერული სამიზნით, საერთო წონით 440 კგ.; შეუძლია აფრინდეს 18 კმ-ს სიმაღლეზე. მისი სიჩქარე 740 კმ/სთ-ია.



## Yabhon United 40

გაერთიანებულ არაბულ საემიროებში საშუალო სიმაღლეზე მოძრავი სადაზვერვო-დამრტყმელ უპილოტო საფრენ აპარატს შეუძლია 120 საათის განმავლობაში იფრინოს. შეუძლია 1030 კგ საბრძოლო მასალის გადატანა. ფრენის მაქსიმალური სიმაღლე — 7 კმ.



## CH-5 (Rainbow-5)

ჩინეთის ახალი სადაზვერვო-დამრტყმელი უპილოტო საფრენი აპარატია. შეუძლია წაიღოს „ჰაერი-მიწის“ კლასის 16 რაკეტა და სხვა მაღალი სიზუსტის საბრძოლო მასალა საერთო მასით 900 კგ. ფრთების განშლა 21 მ-ია, მაქსიმალური სიჩქარე — 400 კმ/სთ. შეუძლია, საწვავის დაუმატებლად იფრინოს 60 საათის განმავლობაში.



## C-70 «ოხოტნიკ»

რუსული „ოხოტნიკის“ ყველა მახასიათებელი გასაჯაროებული არ არის, მაგრამ ცნობილია, რომ მისი წონა 22 კგ-ია. ზოგიერთი „ოხოტნიკი“ დაკომპლექტებულია რამდენიმე რაკეტითა და ბომბებით. აპარატის მაქსიმალური სიჩქარე 920 კმ/სთ-ია. ტვირთამწეობა — 6 ტ. ფრენის მაქსიმალური სიმაღლე — 18 კმ.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**




**19 მარტს ილია თოფურია კიდევ ერთ ინგლისელ მებრძოლს, ჯეი ჰერბერტს, შეხვდა და ნოკაუტით დაამარცხა. ილიამ UFC-ში 12 ორთაბრძოლა ჩაატარა და ყველაში გაიმარჯვა.**

სპორტი

www.geworld.ge
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «თუ ვინმე მასთან ერთ ოთახში მარტო დამტოვებს, მოვკლავ მაგ არაკაცს!»

## ილია თოფურიამ პროვოკატორ ინგლისელს ქართველი ხალხის შეურაცხყოფა შეახსენა, მეორე ინგლისელი კი ნოკაუტში გაგზავნა

**UFC (Ultimate Fighting Championship — აბსოლუტური საბრძოლო ჩემპიონატი)-ში სპორტსმენებს ცოტა მეტის უფლებას აძლევენ, ვიდრე კლასიურ სახეობებში. ფეხბურთში რასისტულ გამოვლენას სასტიკად ახშობენ, UFC-ში კი ხელმძღვანელობა ისეთ სახეს იღებს, თითქოს არ ესმის ამერიკული კოლბი კოვინქტონის ბინძური სიტყვები ბრაზილიელების მიმართ და ვერ ამჩნევს ირლანდიელი კონორ მაკგრეგორის შეურაცხყოფას დაღესტნელებისადმი.**

შარშან UFC-თან კონტრაქტი გააფორმა **პედი პიმბლეტმა** — ეპატაჟურმა მებრძოლმა ინგლისის ქალაქ ლივერპულიდან. უცნაური ვარცხნილობის მქონე პიმბლეტი განაგრძობს ირლანდიელ **კონორ მაკგრეგორის** საქციელის გამეორებას — შეურაცხყოფს ყველას და ცდილობს, რაც შეიძლება, მეტი ჰაიპის (ყურადღების მისაქცევი აგრესიული უხეში რეკლამა) მოგროვებას. 27 წლის პიმბლეტს UFC-ში მხოლოდ ერთი ბრძოლა აქვს გამართული, მაგრამ მისი სახელი MMA-ს (შერეული საბროლო ხელოვნება — „ბრძოლა წესების გარეშე“) თაყვანისმცემელთა უმრავლესობისთვის ცნობილია. ასეთ ტაქტიკას, რა თქმა უნდა, აქვს მეორე მხარეც — ზოგჯერ შენი სიტყვების გამო პასუხისგება გიწევს.

ინგლისელი პედი პიმბლეტი სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ ხშირად წერს მისდამი არამეგობრულად განწყობილ მებრძოლებზე და მათ ეროვნებასა და სამშობლოს ხშირად შეურაცხყოფს. მაგალითად, შარშან ის პოლემიკაში ჩაერთო ქართველ მებრძოლ **გურამ ქუთათელაძესთან** და დაწერა: „ყველა ქართველი გონებაჩლუნგია“ და შეახსენა 2008 წლის აგვისტოს შეიარაღებული კონფლიქტი ე.წ. სამხრეთ ოსეთში. ამ შეურაცხყოფას გამოეხმაურნენ UFC-ს მებრძოლი ქართველები: **დიანა ჯოჯუა, გურამ ქუთათელაძე და ილია თოფურია.** მათ პიმბლეტი რასიზმსა და დაუშვებულ ხუმრობაში დადანაშაულეს და დაუყოვნებლივ ბოდიშის მოხდა მოსთხოვეს. ინგლისელმა საჯაროდ ბოდიში არ მოიხადა, მაგრამ, როცა მიხვდა, რომ გადაამლაშა, სასწრაფოდ წაშალა ტვიტი. მოგვიანებით პედი პიმბლეტმა თავისი საქციელი იმით ახსნა, რომ ბევრი არაფერი იცოდა საქართველოს შესახებ და ამიტომ მისცა თავს ასეთი ხუმრობის უფლება. ქუთათელაძესთან კონფლიქტი თითქოს მოგვარდა, მაგრამ თუოფურიასთან... ლონდონში 19 მარტს გასამართი UFC-ს ტურნირის (Fight Night204) წინ შოუს მონაწილეები ინგლისის დედაქალაქში ჩავიდნენ მედიასთან ოფიციალურ ღონისძიებაში მონაწილეობისთვის. სწორედ ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებაზე შეხვდნენ ერთმანეთს ილია თოფურია და პიმბლეტი და, რომ არა მაგიდა, რომელიც მათ შორის იდგა, დაუნდობელი ჩხუბი ატყდებოდა. **ილია თოფურიამ გადაწყვიტა, პასუხი გაეცა პიმბლეტისთვის, რომელმაც ქართველი ხალხი და საქართველო შეურაცხყო. ქართველმა მებრძოლმა პროვოკატორ ინგლისელს ხელი მას შემდეგ მოუქნია, როცა მან ანტისეპტიკური სითხის ბოთლი ესროლა. ქართველი სასწრაფოდ შეაჩერეს თანაგუნდელებმა, მაგრამ პიმბლეტმა სოციალურ ქსელში განაგრძო ურთიერთობის გარკვევა.**

„ძმაკაც, მიდი, გამოაქვეყნე ვიდეო, როგორ დამესხი თავს, მე კი უკან არ დავიხიე შენი 6-კაციანი ბრიგადის წინაშე და, როგორ ცდილობდი, დაგერტყა, მე კი ავიცილე, შემდეგ კი თავში ანტისეპტური სითხის ბოთლი გესროლე, პატარა ჭიაყელავ!“ — დაწერა პიმბლეტმა „ტვიტერში“.

ილია თოფურიამ გამოაქვეყნა ვიდეო, შემდეგ კი დაწერა: „მე გაფრთხილებდი! აი რა ხდება, როცა გამოხატავ უპატივცემულობას ჩემი და ჩემი ქვეყნის მიმართ! დამინახე და გინდოდა მომსალმებოდი, იმიტომ, რომ ჩაისვარე. სჯობს, მადლობა უთხრა ჩემი გუნდის წევრებს, მათ რომ არ გავეჩერებინე, თავს მოგაგლეჯდი. ეს არ არის „ტვიტერი“, ეს რეალური ცხოვრებაა!“

მოგვიანებით ილიამ განაცხადა: **„ამ დაპირისპირების შემდეგ UFC-თან პრობლემები არ შემქმნია. პრობლემები პიმბლეტს აქვს, დაცვით დადის, რადგან მშიშარაა და შარვალში ისვრის. ორგანიზაციიდან კი მხოლოდ ის მითხრეს, რომ სიმშვიდის შენარჩუნებას უნდა ვეცადო. მესმის, რომ არც ისე პროფესიონალურია, როცა ვიღაცას სასტუმროში ეჩხუბები, მაგრამ იმ მომენტში ემოციების კონტროლი ვერ შევძელი. ძალიან ძნელია, ასეთი ნაბიჭვრის დანახვაზე რეაქცია არ გქონდეს. თუ ვინმე მასთან ერთ ოთახში მარტო დამტოვებს, მოვკლავ მაგ არაკაცს“**

შეიძლება თუ არა თოფურიასა და პიმბლეტს შორის გაიმართოს ორთაბრძოლა უახლოეს მომავალში? UFC-ში გამორიცხული არაფერია, თუმცა აქ გასათვალისწინებელია ის, რომ პიმბლეტი მსუბუქ წონაში ასპარეზობს, თოფურია კი — ნახევრად მსუბუქში.







პედი პიმბლეტი



Paddy Pimblett
@PaddyTheBaddy
En respuesta a @CombatNerd29 @Topuriailia y 4 más
Lad how stupid are these Georgians man 🤣🤣🤣 no wonder the Russians terrorise their lives 🤣🤣🤣🤣🤣

დიდი ხანია, UFC-ში არ ყოფილა აყალმაყალი და ჩხუბი ოქტაგონის გარეთ. ბოლო დაპირისპირება 2019 წელს მოხდა სწორედ ლონდონში, როცა **ხორხე მასვიდალი** თავს დაესხა **ლეონ ედვარდს.**

გამორიცხული არ არის, რომ კიდევ ვიხილოთ თოფურიასა და პიმბლეტს შორის საქმის გარჩევა. აღსანიშნავია, რომ თოფურია ერთადერთი მებრძოლი არ არის, რომელიც ნეგატიურად არის განწყობილი ინგლისელის მიმართ. 2018 წელს პიმბლეტი რასობრივ საფუძველზე დაუპირისპირდა 21 წლის დაღესტნელ **მუჰამედ მოკაევს.** მისი მწვრთნელის, **დინ გარნეტის,** მანქანას კი ცეცხლი წაუკიდა.

ილია თოფურია გერმანიის ქალაქ ჰალეში დაიბადა 1997 წლის 21 იანვარს. ის 5 ქართველ მებრძოლს შორისაა, რომლებიც UFC-ში ასპარეზობენ: **მერაბ დვალიშვილი, რომან დოლიძე, გიკაძე, დიანა ჯოჯუა და ილია თოფურია.**

19 მარტს ილია თოფურია კიდევ ერთ ინგლისელ მებრძოლს, **ჯეი ჰერბერტს,** შეხვდა და ნოკაუტით დაამარცხა. მან UFC-ში ჩატარებული 12 ორთაბრძოლა ჩაატარა და ყველაში გაიმარჯვა.

აქვს ორი პასპორტი — ქართული და ესპანური. ესპანეთში გადასვლამდე დაკავებული იყო ბერძნულ-რომაული ჭიდაობით, რომელიც შემდეგ შერეულ ორთაბრძოლებში გამოსასვლელ ბაზად იქცა.

ილია თოფურია სკოლის დამთავრების შემდეგ ოჯახთან ერთად ესპანეთის ქალაქ ალიკანტეში გადასახლდა. სწორედ იქ შენიშნეს ის Climent Club-ის მწვრთნელებმა, რომლებიც შერეული ორთაბრძოლის ილეთებს ასწავლიდნენ. ილიასთან ერთად შერეულ ორთაბრძოლებში ვარჯიშობდა მისი ძმა — ალექსი, რომელსაც, აგრეთვე, აქვს წარმატებები.

ესპანეთში გულმოდგინე ვარჯიშიდან 3 წლის შემდეგ ილიას დებიუტი ჰქონდა Coast Warriors-ის მოედანზე ვალენსიაში, და სულ 3,5 წუთი დასჭირდა **ფრანსისკო ასპრილას** დასამარცხებლად, რომელსაც 7 პროფესიონალური ორთაბრძოლა ჰქონდა გამართული.

აღსანიშნავია, რომ ილია თოფურიას ბევრი სპეციალისტი უწინასწარმეტყველებს ჩემპიონობას, მაგრამ ჩემპიონის ტიტულამდე გასავლელი გზა იოლი არ იქნება.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**





ილია თოფურია მისი გუნდის წევრებმა ძლივს გააჩერეს



# ჩინეთმა აშშ-ს უკრაინაში არსებულ ბიოლაბორატორიებზე ინფორმაციის გასაჯაროება მოსთხოვა



**გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მუდმივმა წარმომადგენელმა ჩჟან ძიუნმა აშშ-ს მოსთხოვა უკრაინაში მის მიერ შექმნილ ბიოლაბორატორიებზე ილაპარაკოს. „ვაშინგტონმა და კიევმა უნდა უპასუხონ მოსკოვის შეკითხვებს უკრაინის ტერიტორიაზე სამხედრო ბიოლაბორატორიების საქმიანობის შესახებ“, — განაცხადა გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე ამ ორგანიზაციაში ჩინეთის მუდმივმა წარმომადგენელმა.**

„რუსეთმა გაასაჯაროვა ახლახან აღმოჩენილი შესაბამისი დოკუმენტები. ამ საქმეში გარეულმა მხარეებმა უნდა უპასუხონ შეკითხვებს და დროულად წარმოადგინონ ყოვლისმომცველი ახსნა-განმარტება, რათა გაფანტონ საერთაშორისო თანამეგობრობის ეჭვები. არ მიგვაჩნია, რომ მხარეებისგან ძალიან ბევრს მოვითხოვთ. ამ საკითხებზე არ უნდა არსებობდეს ორმაგი სტანდარტი“, — განაცხადა **ჩჟან ძიუნმა.**

რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ რამდენიმე დღის წინათ განაცხადა, რომ უკრაინაში შექმნილია ქსელი 30 ბიოლაბორატორიისგან, რომლებიც მონაწილეობს ამერიკულ სამხედრო-ბიოლოგიურ პროგრამაში, მათი საერთო დაფინანსება 200 მლნ დოლარს აღემატება.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე **ვიქტორია ნულანდმა** თავის მხრივ განაცხადა, რომ უკრაინაში არის ბიოლოგიური კვლევების ობიექტები. კიევი და ვაშინგტონი ახლა მუშაობენ იმაზე, რომ იქ დაგროვებული მასალები ხელში არ ჩაუვარდეს რუსულ მხარეს. რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ ნულანდის ნათქვამი უკრაინაში სამხედრო-ბიოლოგიურ პროგრამებში პენტაგონის მონაწილეობის დადასტურებად შეაფასა.

ამასთანავე, რუსეთის სამხედრო უწყებამ წარმოადგინა ამ ბიოლაბორატორიებში ნაპოვნი დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს ამერიკელი და უკრაინელი სპეციალისტების მუშაობას ბიოლოგიური იარაღის შექმნაზე.

**radiosputnik.ria.ru-ზე გამოქვეყნებული მასალების მიხედვით მოამზადა გიორგი გაჩეჩილაძემ**

# ლიბერალები ფლორიდის «გაუქმებას» ცდილობენ




**დასავლეთის ლიბერალური ელიტები „გაუქმების კულტურის“ გამოყენებას არა მხოლოდ რუსეთის, არამედ ფლორიდის შტატის მიმართაც ცდილობენ.**

აშშ-ში ბოიკოტის კამპანიას ფლორიდა შეეჯახა. შტატს აიძულებენ, უარი თქვას გადაწყვეტილებაზე, შეზღუდოს ლგბტ პროპაგანდა და აკრძალოს გაკვეთილების ჩატარება ორიენტაციასა და გენდერებზე სკოლის დაწყებით კლასებში. ამერიკის სკოლებში ლგბტ დღის წესრიგის თავს მოხვევა **ბარაკ ობამას** პრეზიდენტობის ეპოქაში დაიწყო და ნაყოფი დღეს გამოიღო. თუ აშშ-ის მოსახლეობაში მხოლოდ 6% მიიჩნევს თავს ლგბტ თემის წარმომადგენლად, „ზუმერების“ თაობაში (1997-2012 წწ.) ეს მაჩვენებელი 30%-ია.

ამერიკაში ეს ტენდენცია აღრმავებს შობადობის კატასტროფულ შემცირებას. 2021 წელს, წინასწარი მონაცემებით, შობადობის საშუალო მაჩვენებელი შეადგენს 1,59 ბავშვს 1 ქალზე. ეს ანტირეკორდია ქვეყნის 246-წლიან ისტორიაში — პირველად არის იმაზე მცირე, ვიდრე ევროპის ბევრ ქვეყანაში. ლიბერალური დისკურსისთვის ლგბტ დღის წესრიგი — ეს არის ბაზისი, ამიტომ ფლორიდას მყისვე ეცნენ „გასაუქმებლად“ — კორპორაციებისგან მოითხოვენ, ბოიკოტი გამოუცხადონ შტატს და ადგილობრივ პოლიტიკოსებს. ლიბერალებს მხარი დაუჭირა კომპანია Disney-მ, რამაც, ბედის ირონიით, დაარტყა დემოკრატებს, რომლებსაც Disney აფინანსებდა.

სასკოლო განათლებისთვის ბრძოლას არჩევნებზე მომგებიან სტრატეგიად მიიჩნევენ რესპუბლიკელები. სკოლებში „რასობრივი თეორიის“ სწავლების გაკრიტიკების შედეგად რესპუბლიკელებმა დამაჯერებლად გაიმარჯვეს ვირჯინიაში. რამდენიმე დღის წინათ მათ წარმოადგინეს კონგრესის არჩევნებში მონაწილეობის პროგრამა, რომელიც ეყრდნობა ორ თემას: ენერგეტიკული კრიზისიდან გამოსვლასა და კულტურული ომის გაგრძელებას განათლებაში.

ამომრჩევლის განწყობის გათვალისწინებით, ბოიკოტები პირველკლასელებისთვის „ტრანსგენდერობისა“ და „რასობრივი თეორიის“ მოთხოვნით ცუდად აისახება დემოკრატების რეიტინგზე. ბაიდენის ახლომხედველური პოლიტიკა კი რუსული ნედლეულისთვის ბოიკოტის გამოცხადება და სარეკორდო ინფლაცია საბოლოოდ გაანადგურებს დემოკრატიულ პარტიას კონგრესის არჩევნებში. აღსანიშნავია, რომ „გაუქმების კულტურა“ და ლიბერალური ბოიკოტები საბოლოოდ მათ ანადგურებს, ვინც წამოიწყო.

**ტ.ჰ.**

# «ჯერ არ დაბადებულა ისეთი სალივანი, რომელიც შეძლებს, დაემუქროს ისეთ ორ დიად ქვეყანას, როგორებიცაა რუსეთი და ჩინეთი»



**რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ უსაფრთხოების საკითხებში აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველ ჯეიკ სალივანის სიტყვებს რუსეთთან დადებითი ურთიერთობის გამო ჩინეთისთვის არასახარბიელო „შედეგების“ შესახებ თავხედური და აღმაშფოთებელი უწოდა.**

**„ჯერ არ დაბადებულა ისეთი სალივანი, რომელიც შეძლებს, დაემუქროს ორ ისეთ დიდ ქვეყანას, როგორიცაა რუსეთი და ჩინეთი. ეს არის ამერიკის ელიტის კლასიკური თავხედობა, რომლის უფლებასაც ისინი ბოლო წლებში აძლევენ საკუთარ თავს.**

**მენტორული ტონი ახლა, უბრალოდ, მუქარებით შეიცვალა ამერიკის მაღალჩინოსნების მხრიდან. მათ ვერავინ გააკვირვეს, უფრო — ყველა აღაშფოთეს“,** — განაცხადა მარია ზახაროვამ.

**lenta.ru-ზე გამოქვეყნებული მასალის მიხედვით მოამზადა ნიკა კორინთელმა**

# ზელენსკის მრჩეველი: ნატო უნდა დავივიწყოთ!



**უკრაინის პრეზიდენტის იფისის ხელმძღვანელის მრჩეველმა ალექსეი არესტოვიჩმა განაცხადა, რომ უკრაინამ ნატო უნდა დაივიწყოს, შეეგუოს და დაივიწყოს.**

არესტოვიჩის თქმით, ისინი, ვინც უკრაინის კონსტიტუციაში ჩაწერა პუნქტი ნატოში უკრაინის გაწევრების შესახებ, პასუხისმგებელნი არიან ქვეყანაში დღეს შექმნილ ვითარებაზე.

# მილოცვა



**სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს — ნოე სოფრომის ძე ჩაგუნავას დაბადებიდან 99 წელი შეუსრულდა. 60 წლის განმავლობაში ქვეყნის წინსვლასა და განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის იგი დაჯილდოებულია მრავალი ორდენითა და მედლით.**

ნოე ჩაგუნავა დაიბადა 1923 წლის 20 მარტს მარტვილის რაიონის სოფ. დიდ ჭყონში. 20 წლისა დიდ სამამულო ომში გაიწვიეს. უმცროსი ლეიტენანტის ჩინით მონაწილეობდა ბელორუსიისა და პოლონეთის ფაშისტებისგან გათავისუფლებაში.

1950 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1951-1964 წლებში მუშაობდა ასპინძისა და გეგეჭკორის რაიონებში პარტიულ და სამეურნეო თანამდებობებზე, ხოლო 1964-1973 წლებში გახლდათ პარტიის აბაშის რაიკომის პირველ მდივანი; ხოლო შემდეგ, 2005 წლამდე, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობებზე იმუშავა.

ვულოცავთ ამაგდარ ადამიანს იუბილეს, დიდხანს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ვუსურვებთ მას.

**ახლობლები**

# «ისეირნეთ უკრაინელების ხარჯზე, ეს უფასოა!»

**ფრანგული გამოცემა „შარლი ებდოს“ (CHERLIE HEBDO) ახალი ნომრის გარეკანი: „ორი ევრო ლიტრი ბენზინი. ისეირნეთ უკრაინელების ხარჯზე. ეს უფასოა“.**




საქართველო და მსოფლიო

თუ გსურთ, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ მიიღოთ სახლიდან გაუსვლელად და ისარგებლოთ უფასო საკურიერო მომსახურებით, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ კომპანიას „ელვა.ჯი“ — ტელ: 2 38 26 73; 2 38 26 74

www.geworld.ge
საქართველო და მსოფლიო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე. რედაქციის პოზიცია შეიძლება არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: geworld@inbox.ru

ISSN 2233-3894
9 772233 389009